პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსა[illegible] 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხ[illegible] მ[illegible] წერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

შაბათი, 22 მაისი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 114 (1569)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- რუმინეთში მთავრობა არჩევნების გამო სასტიკად სდევნის ოპოზიციას.
- საფრანგეთში გაიფიცნენ ავტომობილების ქარხნების და ტრამვაის მუშები.
- ფრანკის კურსი კიდევ ეცემა.
- ხარკოვში გაიხსნა უკრაინის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესია.
- 11 ივნისს სოხუმში გაიხსნება საქართველოს ცენტრალური აღმასკომის მესამე სესია.

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34, ტელ. 10-49

გლეხკომის მუშაობის გაჯანსაღებისათვის

„გლეხკომებს ემჩნევათ გლეხთა ურთიერთ დახმარების ორგანოებიდან ადმინისტრატიულ და მოვაჭრე ორგანოებათ გადაქცევის ტენდენცია“, —აი, სხვათა შორის, რა აღინიშნა ა.-კ. პარტთათბირმა. გლეხკომების ამ ორ მავნე გადახრაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მის აღმოსაფხვრელად არა ერთხელ ყოფილა მიღებული სათანადო ღონისძიებები, მაგრამ ამას ჯერ-ჯერობით თვალსაჩინო შედეგები არ მოყოლია.

სოფლებიდან ხშირად მოგვდის ცნობები ფუნქციების არევის შესახებ გლეხკომებსა და საბჭოთა ორგანოებს შორის. არის შემთხვევები, როცა გლეხკომები ხელს კიდებენ სოფლად აღმოცენებულ სადგილ-მამულო და სამოსამართლო დავების გადაჭრას, სცემენ პირადობის მოწმობებს და სხ. მეორე მხრივ არც ადგილობრივი საბჭოები და აღმასკომები სტოვებენ მათ „სამაგიეროს გადაუხდელად“: არ არის იშვიათი ისეთი ფაქტები, როცა ისინი თავიანთი საჭიროებებისათვის აიძულებენ გლეხკომებს თანხების გაღებას და ზღუდავენ მათ თვითმოქმედებას.

გლეხკომების წარმატებითი მუშაობა შეუძლებელია, სანამ მათსა და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს შორის არ დამყარდება სწორი ურთიერთობა, სანამ თვითეული მათგანის სამოქმედო არე მკაფიოდ არ იქნება შემოფარგლული, ან უკეთ, მათ შორის დაწესებული ფუნქციების გამიჯვნა მტკიცედ და გადაუხრელად არ გატარდება ცხოვრებაში.

გლეხკომებმა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა აიღონ ხელი მათთვის შეუფერებელ საქმეებზე, ადმინისტრატიულ ფუნქციების მითვისებაზე და იმოქმედონ მხოლოდ და მხოლოდ არსებულ წესდების ფარგლებში. რა თქმა უნდა, აგრეთვე, ბოლო უნდა მო[illegible] უკანონო ჩარევას გლეხკომების საქმიანობაში, მათი უფლებების შეკვეცას და თანხების მითვისებას.

ამავე დროს უნდა განხორციელდეს თანამშრომლობა და შეთანხმებული მუშაობა გლეხკომებსა და საბჭოებს შორის. გლეხკომების საამშენებლო მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს საბჭოებთან სრული კონტაქტით, მათთან ერთად გამომუშავებულ და დამტკიცებულ გეგმის საფუძველზე. ამასთან, გლეხკომები უახლოეს მონაწილეობას იღებენ იმ შეღავათების და დახმარების განაწილებაში, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება ღარიბ გლეხობას აძლევს.

გლეხკომების მუშაობის პრაქტიკაში, როგორც ვსთქვით, შემჩნეულია არა მარტო ადმინისტრატიული, არამედ სავაჭრო გადახრაც. ხშირად ისინი ვაჭრობენ კოოპერატივების გვერდით და მათ შორის ადგილი აქვს დაუშვებელ კონკურენციას, რომელიც ორივეს უტეხს სახელს და საქმეს დიდ ზიანს აყენებს. ვაჭრობა სრულებით არ შეადგენს გლეხკომების დანიშნულებას და მასზე მათ გადაჭრით უნდა სთქვან უარი.

სამაგიეროდ გლეხკომებმა ხელი უნდა შეუწყონ ღარიბ გლეხობის დარაზმვას კოოპერაციაში—თავის წევრებზე იდეური ზეგავლენის მოხდენით, ორგანიზაციული ღონისძიებებით, აგრეთვე ულარიბეს მათგანის საპაიო გამოსაღების გადახდით.

გლეხკომების ადმინისტრატიულ და სავაჭრო გადახრას არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მათთვის დაკისრებულ ამოცანების გადაჭრაზე. ღარიბ გლეხთა საწარმოო გაერთიანება, მათი გადაყვანა კოლექტიურ მეურნეობის ფორმებზე და ამ გზით მათი ნივთიერი კეთილდღეობის აწევა—ერთი მხრივ, გაჭირვებულთათვის უშუალო დახმარების აღმოჩენა, მეორე მხრივ—ასეთია გლეხკომების მუშაობის შინაარსი. მაგრამ სწორედ აქ მოისუსტებს გლეხკომების მუშაობა. აწი მაინც ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და გლეხკომების საქმიანობა უნდა იქნას წარმართული ამ კალაპოტით.

ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა, რომ გლეხკომები გაძლიერებული იქნენ გამოცდილი და საიმედო მუშაკებით. დღემდე იქ ზოგან საეჭვო პირებია მოკალათებული, რომელნიც თავის ჯიბეზე უფრო ფიქრობენ, ვინემ გლეხობის კეთილდღეობაზე. ამით აიხსნება, რომ საშუალებათა ფლანგვამ გლეხკომებში ერთობ ფართე ხასიათი მიიღო. ბოროტმოქმედ ელემენტებს გარდა, ბევრია ისეთებიც, რომელთაც არ გააჩნიათ მუშაობის გაძღოლის უნარი და არ ესმით თავისი მოვალეობანი. გლეხთა ურთიერთ - დახმარების საზოგადოებათა ხელმძღვანელი შემადგენლობა საფუძვლიანად უნდა იქნეს გადახალისებული.

გლეხკომები ღარიბ გლეხთა მასიურ თვითმოქმედების ორგანიზაციებს უნდა წარმოადგენდნენ. ნამდვილად კი [illegible] გლეხთა მასები არ ღებულობენ მათში აქტიურ მონაწილეობას, კიდევ მეტი: გლეხკომის წევრებიდან უმეტესად მარტო მათი თავმჯდომარეები ატრიალებენ მთელი ორგანიზაციის ბედს. დემოკრატიის პრინციპი აქ უნდა გატარდეს ყველაზე მეტად. ხელმძღვანელ ორგანოებში უნდა მოხვდნენ მოწინავე პირები, მათ მჭიდრო კავშირი უნდა გააბან მასასთან, უნდა იქნეს გატარებული არჩეულ ორგანოების სრული პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე.

ყველა ამ ამოცანების გადაჭრა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ პარტორგანიზაციები შესაფერის ყურადღებას მიაქცევენ გლეხკომებს, გაუწევენ მას მიზანშეწონილ ხელმძღვანელობას. ეს ყურადღება და ხელმძღვანელობა დღემდე ძალზე მოისუსტებდა. ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ გლეხკომების მთელი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა სოფლად საბჭოთა ხელისუფლების სოციალურ ბაზის განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის და აღმოფხვრან ის გულგრილობა, რომელსაც ისინი დღემდე იჩენდენ ამ ორგანიზაციებისადმი.

◆

ყველა კმაყოფილია

(„პრავდას“ მოწინავე)

ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო „ხეტ ფოლკ“ დიდი კმაყოფილი დარჩა ინგლისის საერთო გაფიცვის შეწყვეტით. ეს თავისი კმაყოფილება გაფიცვის ჩაშლით ყვითელმა ფურცელმა გაიძვერულათ მიაწერა ინგლისის მუშათა კლასს და მთელ საერთაშორისო პროლეტარიატს. „მშვიდობიანი შეთანხმება“ მიღწეულია, ყველა მადლიერია და უკმაყოფილონი არ არიან, გარდა „რეაქციონერებისა და კომუნისტებისა“. ასე ამცნობენ ქვეყანას ჰოლანდიის რეფორმისტები.

საკითხავია, ვინ რით არის კმაყოფილი, და აგრეთვე მართლაც ყურადღების ღირსია, ვინ რით არ არის კმაყოფილი ინგლისის ამბებში. საკმარისია [illegible] თუ ისე სერიოზულათ დავსვათ [illegible] კითხვა, რომ გამოვამჟღავნოთ ჰოლანდიის „ორგანო“, საქმის ნამდვილი მდგომარეობის შეგნებულად გადამახინჯებაში.

ტყუილად [illegible]ნებს „ხეტ ფოლკ“, რომ გაფიცვის ჩაშლით უკმაყოფილონი არიან ჰოლანდიის რეაქციონერები. სწორედ ინგლისის რეაქციონერები გრძნობენ [illegible]ავს გამარჯვებულად გენერალური [illegible] საბჭოს კაპიტულიაციის შემდეგ.

კმაყოფილი იყვენ [illegible] ტომასები, მაკდონალდები და ბევინები. კმაყოფილი იყვნენ 60.00[illegible] ინგლისელი მრეწველი და კო[illegible]ნტები, რომლებმაც მისასალმებე[illegible] დეპეშა გაუგზავნეს მთავრობას [illegible]ამარჯვების“ გამო. კმაყოფილი იყვ[illegible]ნ ბურჟუაზიის მიერ მოთრეული „[illegible]რეიკბრეხერები“. კმაყოფილი იყვენ ინგლისის კაპიტალი და მისი რეფორმისტული აჩრდილები.

მაგრამ შესაძლო იყო თუ არა, რომ გენერალური გაფიცვის დამარცხებით კმაყოფილი ყოფილიყვენ ინგლისის მუშები? განა კმაყოფილი არიან ისინი, რომ მწარმოებლები ფეხქვეშ თელავენ პროფკავშირებთან დადებულ ხელშეკრულებას? შეუძლიათ თუ არა მათ „კმაყოფილი“ იყვენ ახალი, უსათუოდ გამცინავი პირობებით რომლის ძალით კაპიტალისტები იღებენ ან მზად არიან დღეს მიიღონ ისინი სამუშაოზე? ან და შეიძლება ინგლისის მუშათა კლასი „კმაყოფილია“ მით, რომ საერთო გაფიცვის შედეგათ დაპატიმრებულთა რიცხვი, ამ „თავისუფლებათა დიდი ხარტიის ქვეყანაში“ 1000 კაცს უდრის? შეიძლება ინგლისის პროლეტარები კმაყოფილი არიან იმ უმაგალითო ლოკაუტის პოლიტიკით, რომელსაც მიმართავს ინგლისის ბურჟუაზია გაფიცვის შემდეგ და რომლითაც ანადგურებს ის დამარცხებულებს?

მეორეს მხრით შეეფერება თუ არა ინგლისის სინამდვილეს გაზეთი „ხეტ ფოლკის“ მიერ მოთხრობილი საერთო კეთილდღეობის იდილია, რომელიც თითქო დამყარდა საერთო გაფიცვის გათავების შემდეგ. განა „ნახშირის პრობლემა“, საიდანაც გამომდინარეობს ინგლისის ყველა „ცოდვები“, ვინმეს მიერ გადაწყვეტილია. ყველაფერი, რის გაკეთებაც შეუძლიათ ტომასებს და მაკდონალდებს—ეს უღალატონ ყველას, მაგრამ ინგლისის ქვა-ნახშირის „უმტკივნეულოთ გასაჯანსაღებლათ“ მათ მაინც არ მოეპოვებათ ჯადოსნური საშუალებები.

რასაკვირველია, ეს ვაჟბატონები ცდილობენ და აწიც შეეცადებიან „დაიყოლიონ“ სამთა-მადნო მუშები „მშვიდობიანობისაკენ“, ე. ი. საარსებო პირობების უკიდურესობამდე გაუარესებისაკენ. მაგრამ დღემდი ტომასების ცდას ამ მხრით წინ ეღობება გაფიცულ სამთა-მადნო მუშების რკინის ნება, რომლებმაც გადასწყვიტეს არ შესწყვიტონ გაფიცვა და რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას.

სამთა-მადნო მუშების 20 დღის გაფიცვას, საერთო გაფიცვის შეწყვეტის [illegible] არ შეიძლება გავლენა [illegible] ინგლისის სამეურნეო [illegible] თვით ინგლისის მთავრობის [illegible] რკინის-გზის მოძრაობა მთელ ინგლ[illegible] უკვე დღეს ნორმალურის მხოლოდ 30—50 პროცენტს უდრის. სამთა-მადნო მუშების გაფიცვა უფრო და უფრო შეავიწროებს წარმოების ნორმალურ მსვლელობას ინგლისის მეურნეობის ყველა დარგში, სრულიად დამოუკიდებლად იმისა „კმაყოფილია თუ უკმაყოფილო“ ამ გარემოებით ჰოლანდიის გაზეთი „ხეტ ფოლკი“.

როგორი სამწუხარო მდგომარეობაა ინგლისში „საერთო კმაყოფილების“ მხრით ნახშირის პრობლემით გვიჩვენებს ლიბერალური პროფესორის კეინსის საინტერესო მსჯელობა, რომელიც მოთავსებულია ჟურნალ „ნატინში“.

ბატონი კეინსს, რომელიც ცდილობს უფრო შორიდან განსჭვრიტოს საქმე, ვიდრე თავის დანარჩენ ბურჟუაზიულმა კოლეგებმა, კრიზისის მოგვარება შესაძლოთ მიაჩნია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება ინგლისისა და გერმანიის ნახშირის ექსპლოატატორების შორის. მაგრამ ასეთი შეთანხმების მიღწევა, თვით კეინსის აზრით, „ძლიერ ძნელია და შეიძლება შეუძლებელიც“. ჯერ-ჯერობით კეინსი ფიქრობს მხოლოდ „პირველი ნაბიჯის გადადგმას ამ მიმართულებით“. შექმნას სრულიად ინგლისის საექსპორტო არტელი. პროფ. კეინსი მაინც და მაინც დიდი კმაყოფილი არაა ქვა-ნახშირის კომისიის მოხსენებით. ეს მოხსენება, კეინსის აზრით, არ იხსენიებს „ყველაზე უფრო მწვავე ნაწილს ამ საკითხისას: საკითხს წონასწორობის რაოდენობითი განსაზღვრისას წარმოების, ფასების და ხელფასის შორის.

კეინსს ბურჟუაზიული თვალთახედვით პრაქტიკულად არ შეუძლია სხვა წინადადების წამოყენება, ვიდრე „მუშების გადაყვანა ნახშირის წარმოებიდან“ და „დროებით“ ხელფასის შემცირება. რაც შეეხება ინგლისის სამთა-მადნო მუშებს, ისინი ცხადია, არ შეიძლება „კმაყოფილი“ იყვენ მათი დიდი ნაწილის მოკირწყლულ ქუჩებში დაგაყვანით. მათ არაფერი არ დარჩენიათ გაფიცვის გაგრძელების გარდა. უკანასკნელ სადელეგატო კონფერენციაზე ეს ასეც გადასწყვიტეს და უარყვეს მთავრობის წინადადებები. არ ვიცით იქნებიან თუ არა კმაყოფილი ვაჟბატონები „ხეტ-ფოლკიდან“ სამთა-მადნო მუშების გადაწყვეტილებით. ყოველ შემთხვევაში სამთა-მადნო მუშები პოზიციების დათმობას არ ფიქრობენ. ისინი მედგრად დგანან თავიანთ პოსტებზე.

მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის მოვალეობაა კვლავ აქტიური დახმარება გაუწიონ ინგლისის სამთამადნო მუშებს.

ტელეგრაფით მოსკოვიდან.

◆

კვალიფიციურ მუშა-ხელის განაწილება

ომისა და რევოლიუციის განმავლობაში წარმოებაში დაბანდებულ მუშათა კადრმა მნიშვნელოვანი ცვალებადობა განიცადა. ომმა ამ ათითორმეტი წლის განმავლობაში მუშათა მნიშვნელოვანი რიცხვი შეიწირა მსხვერპლად, გარდა ამისა ამავე ხნის განმავლობაში ბევრი „თავისი სიკვდილით“ გარდაიცვალა (მოხუცებულობა, ავადმყოფობა, უბედური შემთხვევები წარმოებაში და სხვა).

აქედან ცხადია, რომ საწარმოო სტაჟიანი და კვალიფიციური მუშების რიცხვი ბუნებრივათ უნდა შემცირებულიყო და ასედაც მოხდა. ამავე დროს არ შეიძლება იმის თქმა, რომ წარმოებაში ჩაბმულ მუშა-ხელის რიცხვი ამხანად ნაკლები არის, ვიდრე ეს ომამდე იყო.

პირიქით, საზოგადოთ მთელ საბჭოთა კავშირში [illegible] თველოში, მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა გაცილებით წინ უსწრებს ომამდე არსებულ საერთო რიცხვს. მიუხედავათ ამისა კვალიფიციურ მუშა ხელის სიმცირე მაინც მწვავედ დგას დღეს ჩვენს წინაშე და ეს სიმცირე თავის მავნე დაღს აჩენს საბჭოთა მეურნეობის ნორმალურ განვითარებაზე.

როგორ და რა გზით უნდა იქნას დაძლეული ეს ნაკლი, ამაზე ჩვენ ეხლა არ შევჩერდებით, რადგან ეს ცალკე საკითხია. ამ წერილის მიზანია მკითხველის ყურადღების იმ არანორმალურ მდგომარეობაზე შეჩერება, რომელსაც ადგილი აქვს კვალიფიციურ მუშა-ხელის დაქირავება განაწილების საკითხში.

ჯერ ერთი, თვითონ კვალიფიკაციის შესახებ. საქმის მცოდნე და მუშაობაში დახელოვნებულ პირთა სიმცირემ ბაზარზე ასეთების გადაჭარბებული მოთხოვნილება შექმნა. ამან ხელი შეუწყო ეგრეთ წოდებულ ცრუ კვალიფიციურობას. იქ, სადაც ვერ ნახულობენ სათანადო კვალიფიკაციის მუშაკს, იძულებულნი ხდებიან აიყვანონ უფრო ნაკლებად დახელოვნებული, ნაჩქარევად მომზადებული მუშაკი, რომ საქმე არ შეჩერდეს და წარმოება არ დაბრკოლდეს.

ასეთი ძალათ კვალიფიციურობა ზოგჯერ ძვირად უჯდება სამეურნეო ორგანიზაციას, რადგან მუშის ცოდნა-მომზადებაზე ბევრათაა დამოკიდებული, როგორც შრომის იარაღების მოვლა-პატრონობა, ისე პროდუქციის ღირსება. მაგრამ, რაკი სხვა გამოსავალი არ არის, ამას ურიგდებიან ჩვენი წარმოება-დაწესებულებები მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინში.

კიდევ უფრო მწვავეთ დგას კვალიფიციურ მუშების ხელფასის საკითხი. აქ დიდი სხვადასხვაობაა და მრავალფეროვანებაა. ერთ და იმავე კვალიფიკაციის მუშას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კოოპერატიულ დაწესებულებაში სხვადასხვა ჯამაგირები ეძლევა. ეს გამოწვეულია კვალიფიციურ მუშა-ხელის იმავე სიმცირით, რომელიც იწვევს ცრუ სპეცობას.

დაწესებულება-წარმოებებს შორის ადგილი აქვს მავნე კონკურენციას. ყველა მათგანი ცდილობს თავისკენ გადაიბიროს მომზადებული მუშა და ამისათვის არ იშურებს უხვ შრომის ქირას. ბოლოს და ბოლოს იმარჯვებს ის წარმოება, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო ძლიერია ფინანსიურათ. ამ წარმოებებში თავს იყრის კვალიფიციურ მუშა-ხელის დიდი კა[illegible] მაშინ, როცა სხვა წარმოებებიდან, რომელთაც სალაროში თავისუფალი თანხა არ მოეპოვებათ, გარბიან მომზადებული მუშები და ამით წარმოება მძიმე მდგომარეობაში ვარდება.

ასეთი მოვლენა, რასაკვირველია, არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. თუ რომელიმე წარმოება ან დაწესებულება სარფით მუშაობს და მის სალაროში გროვდება თავისუფალი თანხა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ თანხის მქონე ორგანოს უფლება უნდა მიეცეს ისე მოიხმაროს თავ[illegible]ი მოგება, როგორც ამას თვითონ დაინახავს საჭიროდ. აქაც უთუოდ აუცილებელია ერთგვარი გეგმიანობა და ხარჯების საერთო ინტერესებთან შეთანხმება.

თავისუფალ თანხების ვიწრო კვალიფიკაციის მუშა-ხელის გადასაბირებლათ გამოყენება, ამით წარმოებაში დეზორგანიზაციის შეტანა და შრომის ბაზარზე გამწვავებულ მდგომარეობის შექმნა ყოვლად დაუშვებელ და გაუმართლებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. წარმოება-დაწესებულებ[illegible] იმ ხარჯ[illegible] ფარვის შემდეგ, რომელიც აუცილებელია ამავე წარმოებისა თუ დაწესებულების ნორმალურ გა[illegible]რებისათვის, სახელმწიფოს საერთო ჯამში უნდა მიდიოდეს.

ეს შეგნება უნდა განმტკიცდეს ერთხელ და სამუდამოთ ჩვენი სამეურნეო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში. უამისოთ ისედაც მცირერიცხოვან კვალიფიციურ მუშა-ხელს ჩვენ კიდევ უფრო დავქსაქსავთ მათი არარაციონალურად განაწილებით და ამით ხელს შეუშლით საბჭოთა აღმშენებლობის უმტკივნეულოთ განვითარებას.

ა. გ.

◆

საბჭოთა პრესა

ნაკლოვანებანი უნდა ავიცილოთ

საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობას უკანასკნელ ხანებში მოდუნება ემჩნევა. მათი სხდომები და კრებები არარეგულიარულად იმართება. დამსწრეთა რიცხვიც კლებულობს. კრებებს აკლია სიცხოველე. მუშათა მასები ხშირად არ იჩენენ ინტერესს და ხალისს საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობისადმი.

ეს მოვლენა მეტ წილად აიხსნება ხსენებული ორგანიზაციების არასწორი მოწყობით და მათი მუშაობის მიზანშეუწონელი დაყენებით. „რაბოჩაია მოსკვა“ ეხება ამ საკითხს და ამბობს:

> „მთელ რიგ ალაგას ცდილობენ შეადგინონ კომისიები უმთავრესად დაზგის მუშებისაგან: ტეხნიკური პერსონალი და მოსამსახურენი სუსტად არიან ჩაბმული და ზოგან სრულებითაც არ მონაწილეობენ კომისიების და თათბირების მუშაობაში. ამავე დროს კი ტეხნიკურ პერსონალის და მოსამსახურეთა მონაწილეობა მუშაობაში უაღრესად საჭიროა მუშების მიერ წამოყენებულ მთელ რიგ ტეხნიკურ საკითხების უფრო დაწვრილებით და სწრაფი დამუშავებისათვის კომისიაში, იმის მაგივრად, რომ ეს საკითხები შემდეგ ხანგრძლივად იხილებოდეს წარმოებათა ტეხნიკურ ბიუროებში.
>
> ამასთან ერთად მუშების და ტეხნიკურ პერსონალის საერთო მუშაობა უეჭველად ხელს შეუწყობდა ანტისპეცურ განწყობილების აღმოფხვრას, რომელსაც ადგილი აქვს ცალკე წარმოებებში განსაკუთრებით ტეხნიკურ—მომწესრიგებელ ბიუროებში მომუშავე სპეციალისტების მიმართ, რომელ ბიუროების როლი მუშათა მასსას ჯერ კიდევ არა აქვს საკმაოთ შეგნებული.
>
> ბევრი კომისია ვერ ახერხებს მუშაობის კონკრეტიულ გეგმების შედგენას. ჩვეულებრივ გეგმები ატარებენ ზოგად ხასიათს, შეიცავენ წარმოებათა მუშაობის ყველა დარგს. მათი შედგენის დროს ანგარიშს არ უწევენ ძალებს და შესაძლებლობათ, გეგმებში არ არის გამოყოფილი ძირითადი. „დამკვრელი“ ამოცანები, რომლებზედაც უმთავრესად უნდა იქნეს ყურადღება მიქცეული“.

გარდა ამისა, საწარმოო კომისიების და თათბირების მიზანშეწონილ დადგენილებებსაც ადმინისტრაცია ხშირად მხოლოდ „ცნობისათვის“ იღებს. არ არის განსაზღვრული საწარმოო კომისიების და თათბირების ფუნქციები, მათი ურთიერთი დამოკიდებულება. ადგილობრივი პარტიული და პროფორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მათ მუშაობას, მათი ხელმძღვანელობა ამ მხრივ მოისუსტებს.

მხოლოდ ამ დეფექტების აღმოფხვრით შეიძლება საწარმოო კომისიების და თათბირების გამოცოცხლება და მათი საშუალებით მუშათა მასების საწარმოო აღზრდა, მათი აქტიური ჩაბმა წარმოების გაუმჯობესების საქმეში.

◆

მემაღაროებმა უარყვეს ბალდუინის პირობები

მუშების გაფიცვა გრძელდება

მთავრობა განაგრძობს გაფიცულთა დევნას

მუშების პასუხი

ლონდონი, 20 მაისი. სამთომადნო მუშების კონფერენციამ ერთხმად უარჰყო გაფიცვის შეწყვეტის პირობები, რომელიც მთავრობამ წარადგინა.

ბრომლეის განცხადება

ლონდონი, 20 მაისი. რკინისგზელების ნაციონალური კავშირის მდივანი კრემპი თავის წერილში, რომელიც კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს დაეგზავნა, აცხადებს, რომ სარკინისგზო კომპანიებთან დადებული შეთანხმება ავალებს კომპანიებს უკანვე მიიღონ ყოველი დათხოვნილი რკინისგზელი.

მემანქანეების და ცეცხლფარეშების კავშირის მდივანმა **ბრომლეიმ** განაცხადა, რომ ოთხ სარკინისგზო კომპანიიდან სამი განზრახ ამცირებს მიმოსვლას, რათა ამ გზით სამსახურიდან დაითხოვონ რკინისგზელების დიდი რიცხვი. ბრომლეის სიტყვით, **სარკინისგზო კომპანიები ამ ზომას უცქერიან, როგორც რეპრესიას მუშების წინაამდეგ**, რომლითაც მათ სურთ მუშებს „კარგად ჩაუნერგონ“, რომ ასეთი შედეგები საყოველთაო გაფიცვამ გამოიწვია.

ბრომლეი იმუქრება, რომ რკინისგზელები ასეთ ტაქტიკას იმგვარ პასუხს გასცემენ, რომელსაც სარკინისგზო კომპანიები არ მოელიან.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა მთავარ სარკინისგზო ცენტრებში გამოარკვია, რომ ბევრ ადგილას მხოლოდ მუშების 40 პროცენტი დააბრუნეს სამუშაოზე.

რეპრესიები გრძელდება

ლონდონი, 20 მაისი. **მოდის მრავალი ცნობები, რომ რკინისგზის ტრანსპორტის და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშების მიმართ რეპრესიები გრძელდება.**

ხმები დადის, რომ რკინისგზელების კავშირის მდივანმა **კრემპმა**, მემანქანეების კავშირის მდივანმა **ბრომლეიმ** და რკინისგზების კანტორების მოსამსახურეთა კავშირის მდივანმა **უოკდენმა** ბალდვინს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც გაფიცვის გამოცხადებით იმუქრებიან, თუ რეპრესიები არ შეწყდა.

გაფიცულთა მატერიალური მდგომარეობა

ლონდონი, 20 მაისი. გაფიცულ მაღაროს მუშათა მატერიალური მდგომარეობა სხვადასხვანაირია რაიონის მიხედვით, რადგან პროფკავშირების ფონდები მაღაროს მუშათა სრულიად ინგლისის ფედერაციის განკარგულებაში კი არ იმყოფება, არამედ პროფკავშირების საოლქო გაერთიანებების ხელში. ყველაზე დიდ დახმარებას იღებენ გაფიცული მაღაროს მუშები იორკშირში და დერბიშაირში. მეორე მხრივ, პროფკავშირები, ზოგიერთ საგრაფოებში, მაგალითად ნოტინგამის ოლქში, სრულიად უსახსროდ დარჩენ. ასეთი დიდ ორგანიზაციების ხელში, როგორიც არის სამხრეთ უელსის, ლანკაშირის და შოტლანდიის კავშირები, ძლიერ მცირე საშუალებებია.

ბალდუინის ინტრიგები გამოაშკარავეს

ლონდონი, 20 მაისი. ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს წევრებმა: სუელსმა მანქანების საამშენებლო მუშების სახელით, **ხიქსმა**—აღმშენებელ მუშების სახელით, და **ტილეტმა**—ტრანსპორტის მუშათა სახელით გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ამჟღავნებენ მთავრობის ინტრიგებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ „მთავრობა თავის ცნობებში გაფიცვის შეწყვეტას ახასიათებს, როგორც დანებებას ყოველგვარი პირობების გარეშე“. **განცხადება გენერალურ საბჭოს ასეთ მოქმედების ასეთ დახასიათებას უწოდებს „უსინიდისო ფალსიფიკაციას და ჭეშმარიტების საძაგლად გადამახინჯებას“.**

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია: „უკანასკნელ ხანებში მუშათა ზოგიერთ წრეებში გაისმის ხმები, რომ ინგლისელ მუშათა სოლიდარობის ბრწყინვალე გამოხატულება—საერთო გაფიცვის გამოცხადება—შემცდარი ნაბიჯი იყო. ეს არის სისუსტე ზოგიერთ ჩვენი ამხანაგების, რომლის წინააღმდეგ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. ის გარემოება, რომ მწარმოებლები დაჟინებით ცდილობენ, რათა პროფკავშირებმა თავისი მოქმედება შემცდარად აღიარონ, უფრო ბურჟუაზიის სისუსტეს ამტკიცებს და არა მუშებისას“.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, **რომ მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდში“ ამ განცხადების უკანასკნელი ნაწილი, რომელიც ტომასის მოქმედების ფარულ კრიტიკას წარმოადგენს, გამოტოვებულია.**

ბრძოლა ხანგრძლივი იქნება

ლონდონი, 20 მაისი. სამთო მრეწველობის მუშათა ფედერაციის წრეებში იმ აზრის არიან, რომ ბრძოლა ხანგრძლივი და შეურიგებელი იქნება. მაღაროს მუშებმა, მიუხედავად გაჭირვებისა და საშუალებების სიმცირისა, გადასწყვიტეს იბრძოლონ იმ დრომდე, სანამ მათ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ.

მთავრობის შიში

ლონდონი, 20 მაისი. მთავრობის და ფინანსიურ წრეებში დიდად არიან შეშინებული გაფიცვის გაგრძელებით ნახშირის მრეწველობაში და აღნიშნავენ, რომ ასეთ მდგომარეობას შეუძლია შეარყიოს მთელი ეკონომიური სისტემა.

ხიკსის განმარტება

ლონდონი, 20 მაისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, თემთა პალატაში შინაგან საქმეთა მინისტრს ხიკსს შეკითხვა მისცეს—ხელს შეუშლის თუ არა იმ ფულის მიღებას, რომელსაც მოსკოვიდან უგზავნიან ინგლისის სამთამადნო მუშებს.

ხიკსმა უპასუხა, რომ ფულის გამოგზავნას იმ გაფიცვის მონაწილეებისათვის, რომელიც ჩვეულებრივმა კონფლიქტმა გამოიწვია მრეწველობაში, მთავრობა ხელს ვერ შეუშლის. ხიკსმა დასძინა, რომ მან აკრძალა 100,000 გირ. სტერლინგის მიღება, რომელიც გენერალურ საბჭოს ეგზავნებოდა იმიტომ, რომ მისი აზრით ამ ფულით სურდათ დახმარების აღმოჩენა უკანონო გაფიცვისათვის, რომელიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა.

პილსუდსკის დიქტატურა

პილსუდსკის მომხრეები

ბერლინი, 20 მაისი. პოლონეთის [illegible] პარტიამ მიიღო რეზოლიუცია, **რომელშიაც მოითხოვს, რომ პილსუდსკიმ დაუყოვნებლივ აიღოს ხელში უზენაესი ძალა-უფლება და დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები**. ამ მოთხოვნებს მხარს უჭერენ ლეგიონერების კავშირი და პოლონეთის თავისუფლების ორგანიზაცია.

მხოლოდ ვარშავაში

ბერლინი, 20 მაისი. სეიმის თავმჯდომარე **რატაიმ** განაცხადა, რომ **ნაციონალური კრება რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად უნდა გაიხსნას არა უგვიანეს 29 მაისისა**; ამასთანავე ნაციონალურ კრების მოწვევის ერთად-ერთი ადგილი შეიძლება იყოს ვარშავა.

მოლაპარაკება პოზნანში

პარიზი, 20 მაისი. პოზნანიდან იტყობინებიან, რომ იქ ჩავიდენ ვარშავადან გაგზავნილი პოლკები.

სენატის თავმჯდომარე **ტრომპჩინსკი** აგრძელებს მოლაპარაკებას მემარჯვენე ჯგუფებთან. მემარჯვენე ბლოკი კვლავ მოითხოვს ნაციონალურ ყრილობის მოწვევას არა ვარშავაში, არამედ რომელიმე სხვა ადგილას. მემარჯვენენი მოითხოვენ აგრეთვე ისეთი პრეზიდენტის არჩევას, რომელსაც არც ერთ პოლიტიკურ განჯგუფებასთან არ აქვს კავშირი და რომლის პიროვნება პოლიტიკურ შეხედულებათა და მორალურ ღირსების მიხედვით ყოველ ეჭვს გარეშე სდგას. მემარჯვენენი მოითხოვენ მთავრობის შედგენას იმ პირთა მონაწილეობის გარეშე, რომლებიც გადატრიალებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

◆

თეთრი ტერორი რუმინეთში

ვენა, 20 მაისი. საპარლამენტო არჩევნები რუმინეთში დაიწყება 25 მაისს. **არჩევნების წინ ავერესკუს მთავრობა აძლიერებს ტერორს. მთელს რუმინეთში ხდება ოპოზიციის კანდიდატების და გლეხთა პარტიის წევრების დაპატიმრება.** ჩხრეკამ მასიური ხასიათი მიიღო. გლეხთა პარტიის გაზეთ „ავრორა“-ს, რომელშიც ტერორის წინააღმდეგ საპროტესტო წერილი იყო დაბეჭდილი, პოლიციამ კონფისკაცია უყო.

განსაკუთრებით მძვინვარებს ტერორი ბესარაბიაში, სადაც ოპოზიციონური განწყობილების ყოველგვარი **გამოხატულების აღმოსაფხვრელად თავმოყრილია ჯარები და ჟანდარმები. მოსახლეობა აწიოკებულია.**

კალარაშში ჟანდარმერიის უფროსმა გლეხთა კრების მოწვევის ცდისათვის მოკლა 4 გლეხი.

◆

აჯანყება სირიაში

ანგორა, 20 მაისი. სირიაში აჯანყებასთან დაკავშირებით, უკანასკნელი თვეების განმავლობაში სირიიდან ტრანსიორდანიაში გადასახლდა 12.000 სირიელი.

ტრანსიორდანიის დედა-ქალაქი ამმანი, რომელიც რამოდენიმე წლის წინად წარმოადგენდა პატარა სოფელს, ორი ათასი მცხოვრებით, სწრაფად იზრდება და ახლა 15 ათასი მცხოვრებია.

◆

„განიარაღების“ კონფერენცია

ბერლინი, 20 მაისი. 20 მაისს განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა რუმინეთის წარმომადგენელი გენერალი **დიმიტრესკუ**, რომელმაც დაიცვა საფრანგეთის თვალსაზრისი, ვინაიდან, მისი აზრით, რუმინეთის საზღვრებს საფრთხე მოელის.

ფინეთის წარმომადგენელმა **ერიკმა** მწუხარება გამოსთქვა, რომ **საბჭოთა კავშირი, რომლის მშვიდობიან მიზნებში მას ეჭვი არ ეპარება**, მონაწილეობას არ იღებს კონფერენციის მუშაობაში, რაც ართულებს უკანასკნელის ამოცანებს.

პოლონეთის წარმომადგენელმა **სოკალმა** განაცხადაა, რომ „შეიარაღება კი არ იწვევს შიშიანობას, არამედ იარაღის უქონლობაო“.

„პოლონეთიო,—განაცხადა მან,—დასთანხმდებოდა თავისი შეიარაღების საგრძნობლად შემცირებაზე, თუ მიიღებდა უშიშროების საფუძვლიან გარანტიებს“.

გერმანიის წარმომადგენელმა **ბერნსტორფმა** განაცხადა, რომ **კამათის დროს მოყვანილი საბუთები იმის დასამტკიცებლად უფრო გამოდგებოდენ, თუ როგორ იქნეს აცილებული თავიდან განიარაღება, ვიდრე იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ განხორციელდეს განიარაღება.**

„ეს საბუთებიო—სთქვა ბერნსტორფმა,—იმას წააგავს, თითქოს ვთათბირობდეთ მსოფლიო ომის დაწყების წინ“. ბერნსტორფმა შემდეგ განაცხადა, რომ ის ძალიან გაკვირვებულია, რატომ ასე ცოტას ლაპარაკობენ უშიშროებაზე, რომელსაც ერთა ლიგა უზრუნველყოფს. ის აყენებს კითხვას—რატომ განიარაღებას საჰაერო და ქიმიური ომების აკრძალვით არ იწყებენ?

ბერნსტორფის აზრით საჭიროა აიკრძალოს მძიმე არტილერიის გამოყენება, რაც გერმანიასაც აკრძალული აქვს.

◆

გაფიცვები საფრანგეთში

15,000 მუშა

პარიზი, 20 მაისი. **რენოს საავტომობილო ქარხნის 15.000 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა უკვე გაფიცულ მუშების სოლიდარობის ნიშნად. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის მომატებას, 8 საათის სამუშაო დღის დაცვას და ლოკაუტის გამო დათხოვნილ მუშების უკანვე მიღებას.**

ტრამვაელების გაფიცვა

პარიზი, 20 მაისი. **ლიონში გაიფიცა 3.500 ტრამვაის მუშა, რომლებიც ხელფასის მომატებას თხოულობენ.**

ფრანკი ეცემა

პარიზი, 20 მაისი. სოციალისტებმა, ფრანკის კრიზისის გამო, პარლამენტის მოწვევის მოთხოვნილება წარუდგინეს ბრიანსა და ერიოს.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

2.158 ტრაქტორი

მოსკოვი, 21 მაისი. **მოსკოვიდან გამოწერილი 2.158 ტრაქტორი მიღებულია სრულიად დაუზიანებლად.**

ეკონომიის რეჟიმისათვის

მოსკოვი, 21 მაისი. ს. ს. რ. კ—ის სამხედრო — რევოლიუც. საბჭომ ბრძანება გამოსცა სამხედრო უწყებაში მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ.

ბრძანებაში ნათქვამია, რომ თანამედროვე პირობებში მხოლოდ მტკიცე სისტემატიურ მომჭირნეობის რეჟიმის მეოხებით შეგვიძლიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ჩვენი მატერიალურ - ტეხნიკურ ძალების გამაგრება. მიუხედავათ ამისა, შემჩნეულია დაუდევარი უყაირათო ხარჯვა იმ თანხებისა, რომლებსაც სახელმწიფო მუშურ - გლეხურ წითელ არმიის შესანახად სდებს.

ამის გამო ს. ს. რ. კ—ის სამხედრო - რევოლიუციონური საბჭო უბრძანებს ყველა სამმართველოებს, რომ დამნაშავენი ყოველგვარი ფლანგველობის, ფულისა და მატერიალურ საშუალებათადმი დაუდევარი მოპყრობისა, ხალვათობისა და ბიუროკრატიზმისათვის სასტიკ პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემულნი.

მომჭირნეობის რეჟიმისადმი გაცხოველებული ყურადღების მიქცევა მუშა-გლეხთა წითელი არმიის მმართველობის მხრით, შეამსუბუქებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო დაბრკოლებებს, გააძლიერებს მუშა - გლეხთა წითელ არმიის მატერიალურ უზრუნველყოფას და გააუმჯობესებს მისი ცხოვრების პირობებს. საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველი უფროსი პრაქტიკულად მიუდგეს მომჭირნეობის საკითხს.

პარტგანათლება მუშათა შორის

მოსკოვი, 21 მაისი. 20 მაისს გაიხსნა საკავშირო კომპარტიის ცეკას სრულიად საკავშირო თათბირი მუშათა შორის პარტგანათლების საკითხების შესახებ. დღის წესრიგშია: 5 მოხსენება ადგილებიდან მუშათა შორის პარტგანათლების პერსპექტივებისა და მუშაობის ანგარიშის შესახებ მისი იდეური შინაარსისა და თვისების მიხედვით; მუშათა შორის საერთო - განმანათლებელ მუშაობის საქმის კარგ დონეზე დაყენება; მუშათა შორის თვითგანათლების საქმის მოგვარება; პროპაგანდისტების საზაფხულო ხელმეორე მომზადება.

ცეკას აგიტ - პროპის გამგემ—კნოპირმა თათბირის გახსნის დროს სთქვა: „ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ უკანასკნელ ხანებში შემჩნეულ წვრილ - ბურჟუაზიულ სულიერ განწყობილების გაცხოველებას, რომელიც სოფლად ემყარება „კულაკებს“, ხოლო ქალაქად კაპიტალისტურ ელემენტებს. აგიტპროპის მუშაობის კარგად და სწორად დაყენებით ჩვენ უნდა მოვსპოთ ამ ელემენტების გავლენის შესაძლებლობა მუშათა წრეებში.

ნათესები

მოსკოვი, 21 მაისი. რ. ს. ფ. რ—ის მიწათ-მოქმედების კომისარიატის ცნობით მაისის პირველი ნახევრის ცივმა ამინდმა ნათესებს, ბაღებს და ბოსტნებს ვნება ვერ მიაყენა. ნათესების აყვავილების ხანა კარგ პირობებში ჩატარდა.

ურთიერთობა უცხოეთთან

მოსკოვი, 21 მაისი. საბჭოთა-გერმანია-ბალტიის რკინისგზების კონფერენციის შესახებ ამხ. **კირსალოვმა** შემდეგი განაცხადა: „კონფერენციამ გადასწყვიტა საკომისიო-საექსპლოატაციო ხასიათის საკითხების მთელი რიგი, რომელიც საქონლის გადაზიდვას აადვილებს საბჭოთა კავშირის-ლატვიას-გერმანიის შორის ლატვიისა და ესტონიის გზით. ევროპის გზების ლიანდაგზე ვაგონებით სარგებლობის წესები—განსხვავდება საბჭოთა კავშირის, ლატვიის და ესტონიის ფართო ლიანდაგიანი გზის წესებისაგან. კონფერენციის წინაშე დასმულ საკითხების გადაჭრის სიძნელე ამ სხვადასხვაგვარ სისტემათა შეთანხმებაში და ერთ-ერთ წესების შემუშავებაში მდგომარეობდა.

მომჭირნეობის რეჟიმი

მოსკოვი, 21 მაისი. საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ დირექტივები გასცა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებისადმი ადგილობრივ პროფკავშირთა ორგანიზაციების მიერ მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების შესახებ. უმთავრესი ღონისძიებანი შემდეგში მდგომარეობენ: სახელმწიფო ბიუჯეტის სწორი შენება, თანხების მიზანშეწონილი ხარჯვა, მმართველობის სტრუქტურისა და ტეხნიკის გამარტივება, ზედმეტი შტატების მკაცრი შემცირება, უკვე მომქმედ და ახლად ასამოქმედებელ სამრეწველო წარმოებათა ნორმალური დატვირთვა, კოოპერატიულ და სახელმწიფოებრივ საქონლის გამტარებელ ქსელის მაქსიმალური შემჭიდროება და ზედნართ ხარჯებისა და შუამავალ ინსტანციების ლიკვიდაცია.

პროფკავშირებმა არა მარტო დახმარება უნდა გაუწიონ საბჭოთა ხელისუფლებას და სამეურნეო ორგანიზაციებს ამ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, მაგრამ თვითონ უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა იმ ზომების განსახორციელებლად, რომელიც აუცილებელია მომჭირნეობისათვის.

ამასთან ერთად პროფკავშირებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ თავისი წევრების ინტერესების დაცვას და უნდა მოახდინონ წარმოებითი ხარჯების შემცირების მტკიცე აღრიცხვა, ვინაიდან მომჭირნეობით მიღებული მარაგი და შრომის ნაყოფიერების აწევა ერთად - ერთი წყაროა სამუშაო ხელფასის ზრდისა და მუშათა კლასის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

კინოს საქმის გაერთიანება

მოსკოვი, 21 მაისი. სახ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა გაერთიანოს კინოს საქმე და შექმნას ამისათვის ფილმების წარმოებისა და გაქირავების მთლიანი სააქციო საზოგადოება. კინოს საქმის იდეოლოგიური ხელმძღვანელობა ისევ განათლების სახ. კომისარიატის ხელში რჩება. კინოს საქმის ორგანიზაცია 1926 წლის 1 სექტემბრისათვის უნდა დამთავრდეს.

სესხი

მოსკოვი, 21 მაისი. ს. ს. რ. კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკმა თანხმობა განაცხადა, რომ სესხის სახით ფინანსიურ დახმარებას მიაწვდის აღმოსავლეთის ვაჭრებს, რომელნიც ნიჟეგოროდის ბაზრობაზე ნედლ მასალას გაგზავნიან. ეს სესხი მიაღწევს ფრახტის ღირებულების 120 %-დე.

უ კ რ ა ი ნ ა

გლეხებისთვის ტყეების გადაცემა

ხარკოვი, 21 მაისი. 20 მაისს ულარიბეს გლეხების ცეკას სესიაზე უკრაინის მიწათმოქმედების კომისარმა ფედოტოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ წინედ განზრახულ 995.000 დეს. მაგიერ გლეხობა მიიღებს 1.580.000 დესიატინას, ე. ი. უკრაინის ტყის ფონდის 40 პროც.-ს. გადაცემულია უკვე 1.150.000 დეს., დანარჩენი 410.000 დეს. გადაეცემა 1926 წლის განმავლობაში.

ფედოტოვმა აღნიშნა აგრეთვე, რომ გლეხების ტყეებს, ველური გაჩეხის გამო, განადგურების საფრთხე მოელის. მრავალი ტყე სრულიად გაჩეხილია. ომამდე უკრაინაში ყოველ წლივ 18.000 შემთხვევა ხდებოდა ხის თვითნებურად მოჭრისა, ამ წელში კი აღმოჩენილია 130.000 შემთხვევა. მიწათმოქმედების კომისარიატი მთავრობის წინაშე დასვამს საკითხს, ტყეების დაცვის შესახებ.

ცაკის მესამე სესია

ხარკოვი, 21 მაისი. 20 მაისს **გაიხსნა უკრაინის ცაკის მესამე სესია.** სესიის გახსნისას პეტროვსკიმ სთქვა.

უკრაინის ცაკის მეორე სესიამ აღნიშნა ჩვენი სასოფლო - მეურნეობის დიდი მიღწევები. ეხლა ჩვენ შეგვიძლიან აღვნიშნოთ ახალი წარმატება. მიწათ-მოწყობის საქმე უკრაინაში ამჟამად სამესამედოთ უკვე დამთავრებულია. დანათესის სივრცე 1 მილ. დესიატინით გაიზარდა, სასოფლო - სამეურნეო მანქანების მიწოდებამ 50 პროც.-ით იმატა.

ეხლა ჩვენი ძალღონე მრეწველობის განვითარებისაკენ უნდა მივმართოთ“.

ლი ბიბლიოთეკა

გონების დამამშვიდებელი წამალი

პოლონეთის მთავრობამ გადასწყვიტა არ გააუქმოს ცენზურა გაზეთებზე, რადგან ეს აუცილებელია მოსახლეობის გონების დასამშვიდებლად.

დეპეშებიდან.



მოქალაქე.—აქ აღარაფერი აღარაა წასაკითხავი?
პოლიციელი—ნუ ცხარობთ, ეს გონებათა დასამშვიდებელი წამალია.

უკანასკნელი ცნობები

მაროკოში

პარიზი, 21 მაისი. რიფების ფრონტის ცენტრი გარღვეულია. აბდ-ელ-ქერიმი ოჯახით გაიქცა.

გერმანიაში

პარიზი, 21 მაისი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის მთავრობა ახლო მომავალში მოკავშირეებს მოსთხოვს მეორე და მესამე ზონის საოკუპაციო სამხედრო ნაწილების შემცირებას.

პოლონეთში

პარიზი, 21 მაისი. პოლონეთის ნაციონალური კრება მოწვეულია 29 მაისისათვის.

სირიაში

პარიზი, 21 მაისი. ჩრდილოეთში მცხოვრებ დრუზებმა მორჩილება გამოუცხადეს საფრანგეთს.

ინგლისში

ლონდონი, 21 მაისი. სამთა-მადნო სადელეგატო კონფერენცია დღეს განახლდა, მაგრამ სხდომა მალე გათავდა. გამოირკვა, რომ მთავრობას ჯერ არ მიუცია პასუხი. დელეგატები თვიანთ რაიონებში წავიდნენ.

გუშინ განახლდა მოლაპარაკება რკინის გზის ტრედიუნიონებსა და რკინის გზის კამპანიებს შორის. მოლაპარაკება ეხება მუშების უკან მიღებას. საქმე ისაა, რომ სამთამადნო მუშების გაფიცვის გაგრძელების გამო, რკინის გზის მოძრაობა 50 პროც. შემცირდა; ასეთ პირობებში მუშების მთელი შტატის უკან მიღება მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი.

ეხლა წარმოებებში მდგომარეობა თანდათან ნორმალურ ჩარჩოებში დგება.

ბელგიის კაბინეტი

პარიზი, 21 მაისი. ჟასპარის კაბინეტში პორტფელები შემდეგნაირათაა განაწილებული: გარეშე საქმეთა მინისტრი—**ვანდერველდე**, სამხედრო **დე-ბროკველ** ფინანსთა—**ხეტარ**, უპორტფელო—**ფრანკი**.

განიარაღების კონფერენცია

ბერლინი, 21 მაისი. ჟენევის განიარაღების კონფერენციის დადგენილებით ყველა საკითხები გადაცემულია კომისიებში გასარჩევად. „დეილი ტელეგრაფი“ ამ მდგომარეობაში ხედავს განიარაღების საკითხის დიდი ხნით გადადებას და საფრანგეთის დიპლომატიურ გამარჯვებას. გაზეთი ფიქრობს, რომ კონფერენციის შედეგები ამერიკის და ნეიტრალურ სახელმწიფოების დამარცხებაა, რადგან განიარაღების საკითხი უკვე აღარ არის დღევანდელი დღის პოლიტიკის საგანი.

პილსუდსკის სასარგებლოდ

ვარშავა, 20 მაისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პარტია „ვიზვოლენიემ“ და გლეხთა პარტიამ გადასწყვიტეს ხმა მისცენ პილსუდსკის პრეზიდენტათ არჩევას.

მუშურ-გლეხური პარტიის მოთხოვნილებანი

ვარშავა, 20 მაისი. ბელორუსეთის მუშურ-გლეხური პარტია მოითხოვს: პარლამენტის დათხოვნას და ახალი არჩევნების დანიშვნას, ადმინისტრატიულ ორგანოების გაწმენდას რეაქციონერებიდან, გლეხებზე მიწების გადაცემას შეუსყიდველად, სიკვდილით დასჯის მოსპობას, გადასახადების შეძლებულ კლასებზე განაწილებას და ნაციონალური პოლიტიკის შეცვლას ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

მატარებლის დაჯახების საქმე

ოზურგეთი, 21 მაისი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ განიხილა საქმე საბარგო მატარებლის დაჯახების შესახებ, რომელიც მოხდა წარსული წლის ნოემბერში ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე სადგურ ჯუმათთან. მატარებლის დაჯახების დროს მოკვდა მემანქანის თანაშემწე, ცეცხლთ-ფარეში, ორი მგზავრი და დაიმსხვრა 28 ცისტერნი. ამის გამო სასამართლოში იქნა მიცემული დაჯახებულ მატარებლების მემანქანენი—ისაკია და სოსელია, აგრეთვე მორიგი მეისრე—დოლიძე. ზარალი 25.000 მანეთამდე აღწევს.

სასამართლოში მოწმეების ჩვენებით გამოირკვა, რომ მატარებლის დაჯახების ღამეს ძლიერი ნისლი იყო, რომელიც ხელს უშლიდა სანიშნე ცეცხლის გარკვევას სულ ახლობელ მანძილზეც კი. სადგურზე არ იყო გასანათებელი მასალა. საოლქო სასამართლომ ორი კვირის ძიების შემდეგ პასუხისგებაში მიცემულნი გაამართლა.

მაუდის ქარხანაში

ქუთაისი, 21 მაისი. მაუდის ქარხანაში მალე დამთავრდება ორი ახალი ორთქლის ქვაბის დადგმა. ამჟამად 10 შენგერის დაზგა მუშაობს. ფაბრიკის ყოველდღიური წარმოების რაოდენობა 300 მეტრამდე აღწევს. ქარხანაში მოვიდა 3 ვაგონი მატყლი. ნედლეული საკმარისია ფაბრიკისათვის რამოდენიმე თვის განმავლობაში.

მომჭირნეობის რეჟიმისათვის

ქუთაისი, 21 მაისი. მუშკოოპმა გამოჰყო სპეციალური კომისია მომჭირნეობის რეჟიმის ადგილობრივ ჩატარებისათვის. მუშკოოპში მოხდა შტატებისა და საკანცელარიო ხარჯების შემცირება. კოოპერატივების განტვირთვა ხდება გაუყიდავ საქონლისაგან ფასების დაკლებით და იმ რაიონებში გადაზავნით, სადაც მათი გასაღება მალე მოხდება.

რადიო-მიმღების დადგმა

ქუთაისი, 21 მაისი. რკინისგზელების კლუბში დადგმულია რადიო-მიმღები. კლუბის წევრებს საშუალება აქვთ ყოველ საღამოს მოისმინონ მოსკოვიდან და როსტოვიდან რადიო-კონცერტები.

მანუფაქტურა

ქუთაისი, 21 მაისი. ამ.-კავკასიისა და საკავშირო საფეიქრო სინდიკატის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით საფეიქრო სინდიკატის ქუთაისის სააგენტო ყოველთვიურად ჩააბარებს ცეკავშირს ერთ ვაგონ მანუფაქტურას, კოოპერატივებს შორის გასანაწილებლად.

კოოპერაცია

ქუთაისი, 21 მაისი. გლეხების თავისუფალ თანხების კოოპერაციაში გამოსაყენებლად ქუთაისის მუშკოოპი შეუდგა გლეხკომების კოოპერაციაში შეტანილ ანაბარის 9 პროცენტის და პერსონალურ ანაბარის 12 პროცენტის გაცემას.

კვების გამოკვლევა

ქუთაისი, 21 მაისი. სტატბიურო 24 მაისს შეუდგა ქალაქის და სოფლის მცხოვრებთა სავაზაფხულო კვების გამოკვლევას. ქალაქში გამოკვლეულ იქნება 55 მეურნეობა, მაზრაში 35 სასოფლო მეურნეობა.

მინერალური წყაროები

ქუთაისი, 21 მაისი. ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა ყველა ადგილობრივ მნიშვნელობის მინერალური წყლები საექსპლოატაციოდ გადასცა ადგილობრივ აღმასკომებს. აღმასკომებმა სათანადო რემონტი უნდა მოახდინონ.

კურორტი წყალტუბო ცენტრალურ საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში რჩება.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა

ქუთაისი, 21 მაისი. ივნისის შუა რიცხვებში ქუთაისის მაზრაში სტატბიურო ჩაატარებს ათპროცენტიან სასოფლო-სამეურნეო აღწერას.

ცაკის მესამე სესია

1926 წლ. ივნისის 11-ს სოხუმში გაიხსნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი მესამე სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
2. აფხაზეთის ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
3. ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის პროექტის განხილვა.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
5. შრომა-გასწორების კოდექსი
6. სამაზრო აღმასკომების დებულება.
7. სახალხო სასამართლოები.
8. საბჭოთა არჩევნები.
9. სესიიდან სესიამდე ს. ს. ცაკ—ის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ კანონთა დამტკიცება.
10. მიმდინარე საკითხები.

ცაკის წევრების გამგზავრების დღე და წესი იქნება გამოცხადებული დამატებით.

2—1 ს. ს. ცაკ—ის მდივანი ს. თოდრია.

უცხოეთში

თანამედროვე პოლონეთი

მოსახლეობა.

პოლონეთს უჭირავს 386.634 კვადრ. კილომეტრი. მოსახლეობა, 1921 წ. აღწერით, უდრის 27.177.000 კაცს. მოსახლეობის სიმკვრივე—70 კაცი 1 კვადრ. კილომეტრზე. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის 28 პროცენტს.

ოფიციალური ცნობებით, მოსახლეობის 31 პროც. შეადგენენ ეროვნული უმცირესობანი—უკრაინელები, ბელორუსები, გერმანელები, ებრაელები და სხვ. სინამდვილეში კი **ეროვნული უმცირესობანი შეადგენენ მთელი მოსახლეობის 45 პროცენტს**. ეროვნულ უმცირესობათა უმრავლესობას უკრაინელები (5½ მილიონი) და ბელორუსები (2½ მილიონი) შეადგენენ. **არის ოლქები, სადაც ეროვნული უმცირესობა მოსახლეობის 85 პროცენტს უდრის.**

მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა.

მოსახლეობის 61,3% სოფლის მეურნეობას მისდევს, 15,8%—მრეწველობაშია ჩაბმული, 8,1%—სავაჭრო დაწესებულებებში და ტრანსპორტზე მუშაობს, 4,4%—სახელმწიფო სამსახურში, 6,3%—ხელზე მოსამსახურეები და შავი მუშები შეადგენენ, 4,1%—გაურკვეველი პროფესიისაა.

პოლონეთის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა ასეთია: მემამულეები შეადგენენ მთელი მოსახლეობის 0,3%, ფაბრიკანტები—3,6%, წვრილი და საშუალო ბურჟუაზია—14,1%, თავისუფალი პროფესიის მოქალაქენი—4,6%, შეძლებული გლეხები (20-დან 100-მდე დესეტინის მფლობელნი)—1,2%, საშუალო შეძლების გლეხები (2-დან 5 დესეტინამდე)—13,0%, მცირე შეძლების მქონე გლეხები—12,6%, სამრეწველო პროლეტარიატი—7,%, სოფლის მოჯამაგირენი—20,0% და სხვა მუშები და მოსამსახურეები—10,6%.

მართვა-გამგეობა.

პოლონეთი არის რესპუბლიკა. საკანონმდებლო ძალა-უფლება ეკუთვნის პარლამენტს, რომელიც ორი პალატისაგან შესდგება—სეიმი და სენატი. აღმასრულებელი ძალაუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და მინისტრთა საბჭოს.

მთავარი საკანონმდებლო ორგანოა სეიმი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევენ. სეიმი შესდგება 444 დეპუტატისაგან (372 დეპუტატი საარჩევნო ოლქებიდან, 72 კი—საერთო სახელმწიფოებრივი სიით).

სენატი შესდგება 111 სენატორისაგან. საარჩევნო უფლებით სარგებლობენ ყველა მოქალაქენი, რომლებსაც 30 წელიწადი შეუსრულდათ, იმ პირობით, თუ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილი არ გამოუცვლიათ.

აღმასრულებელ ხელისუფლებას სათავეში უდგას პრეზიდენტი, რომელსაც შვიდი წლის ვადით ირჩევს „სახალხო კრება“, ე. ი. სენატისა და სეიმის გაერთიანებული სხდომა. პირველი პრეზიდენტი იყო გაბრიელ ნარუტოვიჩი, რომელიც მოკლა ფაშისტმა ნევიადომსკიმ. 1922 წ. პრეზიდენტათ არჩეულ იქნა სტანისლავ ვოიცეხოვსკი.

სოფლის მეურნეობა.

პოლონეთი აგრარული ქვეყანაა. მრეწველობაც საკმაოთ არის განვითარებული. კარგი მოსავლის დროს პოლონეთს არა თუ შეუძლია მთელი თავისი მოსახლეობის გამოკვება, არამედ მოსავლის ნაწილი შეუძლია უცხოეთში გაიტანოს. სოფლის მეურნეობის ცენტრალური საკითხია მიწის ნაკლებობა. ყველა იმ მიწების 36,6%, რომლებიც ითესება, მემამულეების ხელშია. მიწის ნაკლებობა განსაკუთრებით საგრძნობია აღმოსავლეთ გალიციაში და უკრაინელებით და ბელორუსებით დასახლებულ რაიონებში.

მრეწველობა.

მრეწველობის მთავარი დარგებია—ლითონის მრეწველობა, საკვებ ნივთიერებათა დამზადება, შაქრის და საფეიქრო მრეწველობა. ლითონის დამმუშავებელი და საფეიქრო მრეწველობა ომამდე უმთავრესად რუსეთის ბაზრისათვის მუშაობდნენ. ზემო-სილეზიის მრეწველობა გერმანიის ბაზართან არის მჭიდროთ დაკავშირებული. პოლონეთი კი ამჟამად მოწყვეტილია ორივე ამ ბაზარს. პოლონეთს დღემდე არ დაუდვია სავაჭრო ხელშეკრულება არც საბჭოთა კავშირთან, არც გერმანიასთან. მრეწველობის შინაური ბაზარი ძლიერ მცირეა და ამიტომ პოლონეთის მრეწველობა საქონლის გასაღების უდიდეს კრიზისს განიცდის.

სამეურნეო კრიზისი.

სამეურნეო კრიზისმა პოლონეთში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი 1924 წ. დასაწყისში მიიღო, ფინანსიური რეფორმის გატარების ცდასთან დაკავშირებით. რეფორმას შედეგათ მოჰყვა გადასახადების გადიდება და შემცირება სუბსიდიების, რომელსაც მრეწველობა იღებდა სახელმწიფო საშუალებებიდან.

პოლონეთის კაპიტალმა სამეურნეო კრიზისი მუშათა კლასზე თავდასხმისათვის გამოიყენა. 8 საათის სამუშაო დღე, პოლონელ მეწარმეების მოღალატეობის წყალობით, გაუქმებულია მრეწველობის მთელ რიგ დარგებში.

ფინანსიური „რეფორმა“.

1924 წ. დასაწყისში პოლონეთში ჩატარებული იქნა ფინანსიური რეფორმა და წინანდელი ფასდაკარგული ფულის ერთეული—მარკა—შეცვლილ იქნა „მტკიცე“ ერთეულით — ზლოტით. ზლოტი, რომელიც გადაცვლილ იქნა წინანდელ 1.800.000 პოლონურ მარკაზე, პარიტეტით უდრის ერთ ოქროს ფრანკს ე. ი. 37½ კაპ. 1925 წლის მეორე ნახევარში ამ „მტკიცე“ ვალუტასაც მარკის კურსი ეწვია, და მისი კურსი განუწყვეტლივ ეცემა.

კოოპერაცია

ცეკავშირის სავაჭრო საქმიანობა

ცეკავშირის სავაჭრო საქმიანობა 1925—26 სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ძლიერ მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. ერთის მხრივ საქონლის ნაკლებობა ბაზარზე და მეორეს მხრით კრედიტების საგრძნობი შემცირება აღნიშნულ პერიოდში ხელს უწყობდნენ ამ გარემოებას.

რაც იქნა გაკეთებული ამ ხნის განმავლობაში, ამას ხელი შეუწყო კოოპერატიული ცენტრის მიერ საწარმოო ტრესტებთან და სინდიკატებთან უშუალოდ გენერალურ ხელშეკრულებების დადებამ, რაც ასე თუ ისე შესაძლებლად ხდიდა ადგილობრივი კოოპერატივების უზრუნველყოფას საქონლით.

საანგარიშო პერიოდში ცეკავშირმა შეისყიდა 3.165.264 მან. 49 კაპ. საქონელი—147.518 მან. 52 კაპ. მეტი ვინემ 24—25 წელს. ამავე პერიოდში გაიყიდა 3.569.292 მან. 57 კაპ., ე. ი. 20 პროც. მეტი ვინემ 24—25 წელში.

პირველი ადგილი საქონლის ყიდვა-გაყიდვაში უჭირავს ფართალს, შემდეგ ნავთს, ასანთს და სხ. მარილის ბაზარი კოოპერაციის სრული 100 პროცენტით აქვს დაპყრობილი. კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან შეძენილია საქონლის მთელი რაოდენობის 26,4 პროც., სახელმწიფო ორგანიზაციებიდან — 72,4 პროც. და კერძო პირების და ფირმებისაგან 1.2 პროცენტი.

საქონლის მიწოდება ნაწილდება ასე: 78,2 პროც. საქონლისა მიეცა მოკავშირე კოოპ. ორგანიზაციებს, 0,6 პროც. არა მოკავშირე ორგანიზაციებს, 20,3 პროც. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და 0,9 პროც. კერძო პირებს და ფირმებს.

საანგარიშო პერიოდში ცეკავშირის სავაჭრო აპარატის საშუალებით დამზადებია: 8.000 ვედრა ღვინო, 4000.000 გრადუსი არაყი, 5.000 ფ. ლობიო, 40.000 ფ. თხილი და ღორის ჯაგარი, ცხვრის ტყავი და ბეწვეული საერთოდ 442.000 მანეთად ღირებული.

პარტიული ცხოვრება

შვებულებაში მიმავალი და სოფლის პარტსაბჭოთა ორგანიზაციები

წინა წერილში ჩვენ ვლაპარაკობდით შვებულებაში მიმავალთა შორის მუშაობის შესახებ.

გამოცდილებიდან ვიცით, რომ ეს მნიშვნელოვანი მუშაობა თითქმის უნაყოფოდ ჩაივლის, თუ სოფლის ორგანიზაციები, პირველ რიგში, პარტიულ ორგანოები, ისეთივე ყურადღებით და სერიოზულობით არ მოეკიდებიან შვებულებაში მყოფ ამხანაგების გამოყენების საკითხს, როგორც მას ეკიდება ქალაქის ორგანიზაციები.

პირველად ყოვლისა, სოფლის ორგანიზაციებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ ქალაქიდან ჩასული მუშა თუ მოსამსახურე არც „რევიზორია“, არც „ხელმძღვანელი“, და რომ მას საერთოდ არავითარი განსაკუთრებული დავალებები არა აქვს დაკისრებული. სოფლად მიმავალი შვებულებაში მყოფი მუშა, მოსამსახურე და უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლე კისრულობს ნაწილობრივ ხელი შეუწყოს სოფლის პოლიტიკურ, კულტურულ, სამეურნეო წინმსვლელობას და ამით დაეხმაროს მუშათა კლასს და საბჭოთა ხელისუფლებას უდიდეს მნიშვნელობის ამოცანის—სოფლის ყოველმხრივი აღორძინების—გადაწყვეტის საქმეში. მოკლევადიან შვებულების დროს მუშა-მოსამსახურეს, თავის ცოდნის და ძალღონის მიხედვით, შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს გლეხობას და ადგილობრივ მუშაკებს სოფლის საკითხების მოგვარების საქმეში რჩევა-დარიგების, ახსნა-განმარტების მიცემით და სხვა. ამისათვის კი საჭიროა ამხანაგური და ძმური დამოკიდებულება შვებულებაში მყოფ და ადგილობრივ მუშაკებს შორის.

ამას გარდა, ადგილობრივ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ სოფელში ჩასული მუშა და მოსამსახურე, პირველად ყოვლისა, შვებულებაში მყოფია, რომ ის უმთავრესად დასასვენებლად ჩავიდა სოფელში და აგრეთვე თავისი ოჯახის მეურნეობაში მონაწილეობის მისაღებად. ამ გარემოებას ბევრი ივიწყებს და არის შემთხვევები, როცა შვებულებაში მყოფს ზედმეტად ტვირთავენ საზოგადოებრივი სამუშაოთი. ასეთ მდგომარეობის შედეგათ ვღებულობთ იმას, რომ შვებულებიდან მუშა თუ მოსამსახურე ბრუნდება ისეთივე დაღლილი, როგორიც იყო წასვლისას, და უკმაყოფილი ადგილობრივი ორგანიზაციებით. ცხადია, ამის შემდეგ ის ყოველთვის ეცდება თავიდან აიცილოს საზოგადოებრივი მუშაობა შვებულების დროს.

როგორ შეიძლება პრაქტიკულად გამოყენებული იქნას სოფლად შვებულებაში მყოფი?

შვებულებაში მყოფ ამხანაგის გამოყენება შეიძლება ორი მიმართულებით: განმარტებითი და ორგანიზაციულ - პრაქტიკული მიმართულებით. მაგრამ მათი გამოყენების ასეთი დანაწილება არ შეიძლება აუცილებლივ ყველგან და ყველას მიმართ იქნას მიღებული: შეიძლება ერთ და იმავე ამხანაგმა ორივე მიმართულებით აწარმოოს მუშაობა.

სოფლად არა მარტო გლეხობის ზოგიერთ ნაწილში, არამედ პარტიულ ორგანიზაციებშიაც გაუგებრობას აქვს ადგილი დაქირავებული შრომის და იჯარის შემოღების გამო და, საერთოდ, სოფლის მუშაკებს და გლეხობის აქტივს ჯერ კიდევ არა აქვს შეთვისებული პარტიის ახალი კურსი სოფლად მუშაობაში; ღარიბ გლეხობის ორგანიზაცია და სხვა მრავალი საკითხები ჯერ ახალი ხილია სოფლისათვის. ამ საკითხებით დღეს სოფელი დიდათ არის დაინტერესებული და ამ საკითხების განმარტებას უნდა მიაქციოს შვებულებაში მყოფმა მთავარი ყურადღება. უნდა განუმარტოთ გლეხობას პარტიის პოლიტიკა სოფლად, თუ რითი არის გამოწვეული ახალი კურსი და სხვ. ზედმეტი არ იქნება აგრეთვე ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა არის მიზეზი მრეწველობის ნაწარმოების ნაკლებობის, როგორია მისი დაძლევის საშუალებები და სხვა.

ამაზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საუბარს გლეხობასთან იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობს მუშა ქალაქში, როგორია მისი მუშაობის პირობები.

ამ საუბრების ჩასატარებლად არ არის საჭირო სოფლად განსაკუთრებულ მიტინგების მოწვევა. მიტინგმა ყველას თავი მოაბეზრა და, მით უფრო, გლეხობას. საუბრების საწარმოებლად გამოყენებული უნდა იქნას ყოველი ადგილი, სადაც იკრიბება გლეხობა, მაგ., ქოხ-სამკითხველო, ადგილობრივი საბჭო და სხვ. პატარა მოხსენებებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას ის კრებები თუ კონფერენციები, რომელსაც მოიწვევს ადგილობრივი ორგანოები თავის მუშაობის და საჭიროების მიხედვით. ვრცელ მოხსენებებს უნდა ვერიდოთ, ეს არც გლეხობას აინტერესებს და ზოგიერთ მუშისათვის მიუწვდომელიც არის. ყველაზე უფრო მეტი წარმატებით საუბრის ჩატარება შეიძლება შემთხვევით შეკრებილ გლეხობის ჯგუფთან, მეზობელთან, ამხანაგურ წრეში და სხვ.

შვებულებაში მყოფი გლეხობას იმ საკითხებზე კი არ უნდა ესაუბროს, რომელიც თვით მას აინტერესებს და რომელზედაც მას სურს ილაპარაკოს, არამედ იმ საკითხების შესახებ, რომელიც გლეხობას აინტერესებს, აღელვებს, მათში გაუგებრობას ბადებს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები უნდა დაეხმარონ შვებულებაში მყოფთ გლეხობის განწყობილების და მოთხოვნილებების შესწავლის საქმეში.

რაც შეეხება შვებულებაში მყოფის გამოყენებას ორგანიზაციულ და პრაქტიკულ მუშაობაში—აქ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუ სოფლის საზოგადოებრივ აღმშენებლობის რომელ დარგს უკეთ იცნობს ესა თუ ის ამხანაგი. თავზე მოხვევა აქ დაუშვებელია. წინასწარ უნდა შეთანხმებული იქნას ყოველ შვებულებაში მყოფთან ამა თუ იმ სამუშაოში მონაწილეობის მიღების საკითხი.

შვებულებაში მყოფს შეუძლია საქმიანი დარიგება მისცეს ადგილობრივ ორგანოებს და გლეხობას რომელიმე საზოგადოებრივ საქმის წამოწყების და დაყენების საკითხში, მაგ., ამხანაგობის დაარსების, სკოლის და ქოხ-სამკითხველოს მოწყობის, კოოპერატივის მუშაობის გაჯანსაღების და აგრეთვე მისცეს იურიდიული ხასიათის განმარტება სხვადასხვა საკითხებში. ამ უკანასკნელისათვის საჭიროა შვებულებაში მყოფმა კავშირი იქონიოს ქალაქის საშეფო ორგანოსთან და საცნობარო მაგიდასთან. შეიძლება დაუსვან მას ისეთი საკითხი, რომელსაც ის არ იცნობს. ასეთ შემთხვევებში მან საჩქაროდ უნდა მიმართოს საცნობარო მაგიდას და მიიღოს აქედან საჭირო ცნობებს.

მაგრამ შვებულებაში მყოფის მუშაობა მარტო ამით არ განისაზღვრება. მას შეუძლია შვებულებიდან დაბრუნების შემდეგაც გაუწიოს დახმარება სოფელს. ჩვენი აზრით, მეტად კარგი იქნება მუდმივი კავშირის დაჭერა სოფელთან. შვებულებიდან დაბრუნებულ მუშის თუ მოსამსახურის რეგულიარულ კავშირს და მიწერ-მოწერას სოფლის ორგანოებთან და მოწინავე გლეხობასთან დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

პრაქტიკიდან ვიცით, რომ ქალაქში დაბრუნებისას შვებულებაში მყოფს ტვირთავენ აუარება დავალებებით, თხოვნით და სხვა, რომ მან სასამართლოში თუ სხვა რომელიმე ორგანოში მოაგვაროს მიწის, საძოვრის, ტყის და სხვ. საკითხი. აქ ადგილობრივი ორგანიზაციების მოვალეობაა გამოარჩიოს ამ საკითხებიდან ისეთები, რომელთა მოგვარება ადგილობრივ შეიძლება და დანარჩენის საჩქაროდ გადაჭრაში დაეხმაროს გლეხობას. ამ საქმეში სიფრთხილე მართებთ შვებულებაში მყოფთ. მათ არ უნდა მოჰკიდონ ხელი დავალებას, რომლის გადაწყვეტა იქავე შეიძლება,—ეს ადგილობრივი ორგანოს ავტორიტეტის დაცემა იქნება,—და აგრეთვე არ უნდა დაჰპირდნენ გლეხობას ის, რისი გაკეთების იმედი არა აქვს.

თუ ყველა ზემოჩამოთვლილი მომენტები გათვალისწინებული იქნება როგორც ადგილობრივ ორგანოების, ისე შვებულებაში მიმავალთა მიერ,—გამართლებული იქნება ის მიზანი, რომელსაც ჩვენ ვისახავთ შვებულებაში მიმავალ მუშების და მოსამსახურეების სოფლად მუშაობის საქმეში.

ს. კ.

მესამე რაიკომის გაფართოებული პლენუმი.

(თბილისის ორგანიზაცია).

მესამე რაიკომის გაფართოებულმა პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1) საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის ანგარიში, 2) საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ხელახალი არჩევნები და ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება, 3) მუშათა გაფართოებული კონფერენციის შედეგები.

თბილისის კომიტეტის მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. სვანიძემ. მომხსენებელს მისცეს შეკითხვები მომჭირნეობის რეჟიმის გატარების, პარტორგანიზაციის ზრდის, ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის შესახებ და სხვა. ყველა საკითხებზე მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა. მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „თბილისის კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო მუშაობის ხაზი ცნობილ იქნეს სავსებით სწორად: თბილისის კომიტეტის განვლილი საქმიანობა მოწონებული იქნეს; მომავალ მუშაობას საფუძვლად დაედოს თბილისის კომიტეტის პლენუმის მიერ შემუშავებული პრაქტიკული წინადადებანი“.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ფანცხავას მოხსენება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ხელახალი არჩევნებისა და ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ. პლენუმმა დაადგინა: უჯრედებმა უახლოესი მონაწილეობა მიიღონ ხელახალი არჩევნების ჩატარებაში.

მუშათა გაფართოებულ კონფერენციის მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ვართაპეტოვმა. პლენუმმა საჭიროდ სცნო—დაევალოს კონფერენციის მონაწილე დელეგატებს გააშუქონ ადგილებზე კონფერენციის მუშაობა, რათა ამ გზით მუშათა ფართო ფენები გაეცნონ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობას.

ულ.

კოლექტიური მეთოდი.

(ტყიბული).

ტყიბულის რაიკომში შემავალ უჯრედების მუშაობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. ეს იმით აიხსნება, რომ ერთის მხრით უჯრედები გეგმიან მუშაობაზე გადავიდნენ, ხოლო, მეორეს მხრივ, თვით რაიკომის ხელმძღვანელობაც გაძლიერდა. ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში რაიკომმა შემოიღო თათბირების სისტემა: ის იწვევს უჯრედების მდივნების, ქალთა შორის და კომკავშირში მომუშავე ამხანაგების თათბირს. ამ თათბირზე კეთდება მოხსენებები ადგილებიდან, სწარმოებს მსჯელობა და ამხანაგებს სათანადო რჩევა-დარიგება ეძლევათ. მუშაობის კოლექტიური მეთოდი ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა, მან ხელი შეუწყო ბევრი ნაკლის გამოსწორებას.

შ. ცირი.

საწარმოო თათბირების მუშაობა

(საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მიერ გამოყოფილი იყო კომისია, რომელმაც გამოიკვლია საწარმოო თათბირების და ეკონომიური თათბირების მუშაობა.

სულ გამოკვლეული იქნა 30 ორგანიზაცია; აქედან 15 ფაბრიკა და ქარხანაა, 9 სავაჭრო-ადმინისტრატიული დაწესებულება და 6 სხვადასხვა წარმოებები.

საქართველოს 19 პროფესიონალურ კავშირში სხვადასხვა დროს მოწყობილი იყო 105 საწარმოო და ეკონომიური თათბირი; თათბირების მოწყობა დაიწყო 1924 წლიდან. პირველ ხანებში საწარმოო თათბირების სხდომები იმართებოდა საკმაოდ ხშირად, მაგრამ შემდეგ თათბირების მუშაობა შესუსტდა და მხოლოდ 1926 წლის დასაწყისიდან ეტყობა მათ ერთგვარი გამოცოცხლება.

ეკონომიური თათბირები საერთოდ სუსტად მუშაობდნენ. სხდომები იმართებოდა იშვიათად, ამასთანავე ხშირად ყოველგვარი გეგმის გარეშე. 24 წარმოებიდან და დაწესებულებიდან საწარმოო თათბირების და ეკონომიური თათბირების მუშაობის გეგმა სრულიად შედგენილი არ ყოფილა 15 წარმოება-დაწესებულებაში.

თათბირების მუშაობაში შემჩნეულია მრავალი დეფექტები.

საწარმოო თათბირების და განსაკუთრებით ეკონომიური თათბირების მუშაობაში სჭარბობდა არა ცალკე კონკრეტიული საკითხები მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, არამედ საერთო ხასიათის საკითხები.

ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ზედნადები ხარჯები, პროდუქციის ღირებულების გაუმჯობესება და სხვა, მეტად მცირე ყურადღებას აქცევდნენ საწარმოო და ეკონომიური თათბირები.

იმავე დროს ისინი არჩევდნენ მუშა-მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის და ხელფასის საკითხებს.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ცუდათ იყო დაყენებული ცხოვრებაში გატარებულ და არგატარებულ დადგენილებების და წინადადებების აღრიცხვის საქმე; მიღწევათა აღრიცხვა კი სრულებით არ ხდებოდა.

გამოკვლეულ წარმოებებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უჯრედი არსებობს მხოლოდ ა.-კ. რკინისგზების სახელოსნოებში. კავშირების საინჟენერო-ტეხნიკური სექციები და ინჟენერების ცენტრალური ბიურო თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საწარმოო თათბირების მუშაობაში.

საერთოდ კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიუხედავად მთელ რიგ არახელსაყრელ პირობებისა, საწარმოო თათბირები საერთოდ დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ: მათ შესძლეს მუშათა მასების დაინტერესება წარმოების მუშაობით.

საწარმოო და ეკონომიური თათბირების მუშაობის გაცხოველების მიზნით, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ საჭიროთ სცნო, რომ გაძლიერებული იქნეს ხელმძღვანელობის გაწევა თათბირების მუშაობისათვის პროფკავშირების მხრიდან. აღმოფხვრილი იქნეს ყველა შემჩნეული დეფექტები და მუშაობის არახელსაყრელი პირობები და შეიქმნეს უფრო შესაფერი პირობები მუშაობისათვის.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

როგორ არ უნდა გატარდეს მომჭირნეობის რეჟიმი

მომჭირნეობის რეჟიმის გატარება ზოგან ხდება დაჩქარებით, და უფრო მეტი ყურადღება ექცევა გარეგნულ მხარეს. ხდება სხვადასხვა ხარჯების შემცირება, მხოლოთ, იმიტომ, რომ ყველამ გაიგოს—ამ წარმოება-დაწესებულებაში მომჭირნეობის რეჟიმი ენერგიულათ ჩატარდაო. ამ გარეგნულ ეფექტისათვის, ნაჩქარევათ ისეთი რამ კეთდება, რომელიც მომჭირნეობის რეჟიმთან ძალიან დაშორებულია. მოვიყვანოთ უმთავრესი შეცდომები, რომელნიც უკვე გვაქვს მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების დროს.

ბევრგან მომჭირნეობის რეჟიმი გაიგეს, როგორც შტატების შემცირება. ბევრს გონია, რომ, თუ შემცირდა შტატები, ამით მომჭირნეობის რეჟიმი ამოწურულათ ჩაითვლება. ყველგან პირველ რიგში შტატების შემცირებას კიდებენ ხელს. ზოგან ამოკლებენ კურიერებს, რომელთა ჯამაგირიც ისე მცირეა, რომ მათი შემოკლება თვალსაჩინო ეკონომიას არ მოგვცემს, ზოგან მთელ განყოფილებებს და სპეციალისტებს ამოკლებენ. არის შემთხვევები, რომ ზოგიერთ ორგანიზაციებმა, მთელ რიგ მნიშვნელოვანი ფუნქციები ზედმეტათ ჩათვალეს, მხოლოთ იმიტომ, რომ შტატები შეემცირებიათ და სხვებისათვის ეჩვენებიათ: „შეხედეთ, როგორი ეკონომია გავაკეთეთ!“. ზოგან, იმის და მიხედვით, რომ აქამდი ზედმეტი მუშაობა სწარმოებდა, რადგან არსებული შტატი ვერ უდიოდა მუშაობას, შტატები შეამცირეს. საერთოთ, შტატების შემცირებამ მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის გამო ძალიან უარყოფითი ხასიათი მიიღო. ასეთი ნაჩქარევი, მოუფიქრებელი და გარეგნულ ეფექტისათვის შტატების შემცირება, უთუოთ მეტ ხარჯებს გამოიწვევს.

შეიძლება თუ არა შტატების შემცირება? უნდა ითქვას, რომ დიდ იმედს ამაზე ვერ დავამყარებთ. გასულ წელში ზედმეტი ნამუშევარ საათების რიცხვი საქართველოში უდრიდა თითქმის ერთ მილიონს. საჭიროა ამ აუარებელ ზედმეტ მუშაობის შემცირება. ეს უფრო მეტ ნაყოფს მოიტანს, ვიდრე შტატების შემცირება. მიზანშეუწონელი შტატების შემცირების შემდეგ ზედმეტი მუშაობა უფრო გაიზრდება და თუ შარშან ის ერთ მილიონს საათებს უდრიდა, ორ მილიონამდე ავა. ზედმეტი მუშაობა კი ცხადია მეტი დაგვიჯდება.

არის შემთხვევები, რომ მომჭირნეობის რეჟიმის სახით ატარებენ და ყოფა-ცხოვრებას აუარესებს. მაგალითად, ერთ ქარხანაში აპირებდნენ მუშებისათვის დასასვენებელ და საჭმელის მისაღებ ოთახის მოწყობას. თავი დაანებეს, მხოლოთ იმიტომ, რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარება დაიწყო. პირიქით მომჭირნეობის რეჟიმი მოითხოვს, რომ მუშების სამუშაო ბინა და დასასვენებელი ადგილი კარგი იყოს. ეს აწევს შრომის ნაყოფიერებას, რაც მომჭირნეობის რეჟიმისათვის არის საჭირო.

ზოგან განიზრახეს სანარდო ფასების და გამომუშავების ნორმების გადასინჯვა მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის გამო. ფიქრობენ სანარდო ფასების შემცირებას და გამომუშავების ნორმების გადადებას. ასეთი მომჭირნეობა უნდა ჩაითვალოს ყოვლათ დაუშვებლათ. მუშების ხელფასის შემოკლება მომჭირნეობის მოტივით მიუღებელია. გამომუშავების ნორმები და სანარდო ფასების გადასინჯვა უნდა ხდებოდეს მხოლოთ იმ შემთხვევებში, როცა მუშაობის ტეხნიკური პირობები იცვლება (ახალი მაშინის დადგმა და სხვა).

ერთ სამეურნეო ორგანიზაციაში მომჭირნეობის რეჟიმის გამო გადასწყვიტეს კოლექტიური ხელშეკრულების გაუქმება. მათი ფიქრით ეკონომიის თვალსაზრისით ასეთი რამ დასაშვებია. ზოგან აპირობენ საქარხნო მოწაფეობის ხარჯების შემცირებას. ზოგანაც კიდევ განზრახულია საქარხნო მოწაფეების სკოლების გაუქმება. ვითომ ესეც მომჭირნეობის რეჟიმია! მაშინ, როცა სწორეთ მომჭირნეობის რეჟიმისათვის საჭიროა კვალიფიციურ მუშების მომზადების საკითხს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს და ეს საქმე უფრო გაფართოვდეს. მომჭირნეობის რეჟიმი ტარდება ინდუსტრიის შექმნისათვის. ინდუსტრიის შექმნა კი შეუძლებელია კვალიფიციურ მუშების მოუმზადებლათ.

აღსანიშნავია, რომ მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის გამო ძალიან გამრავლდა რეჟიმის გამტარებელი კომისიები. თვითეულ წარმოება-დაწესებულებაში რამოდენიმე კომისიაა შემდგარი, კომისიათა სიმრავლის გამო ბევრს უხდება სამუშაოს თავი გაანებოს. მიმდინარე საქმიანობა ფერხდება და ეს უფრო მეტ ზარალს იძლევა, ვიდრე ამ კომისიების მიერ გამონახული ეკონომია.

მთელი სიმძიმე მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში უნდა დააწვეს წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს. ისინი აგებენ პასუხს და ისინი არიან მოვალე ენერგიულათ გაატარონ მომჭირნეობა. სადაც საჭირო იქნება ორგანიზაციების ხელმძღვანელები თვით შექმნიან კომისიებს. მაგრამ ამ კომისიების რიცხვი არ უნდა იყოს ზედმეტი.

საერთო მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიას არ უნდა ექნეს გარეგნული ხასიათი. ის უნდა ტარდებოდეს დაკვირვებით, ხანგრძლივათ და არა ნაჩქარევ კამპანიით.

ტომელი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

საბჭოთა პრესა გამოცდას იჭერს

მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია ერთგვარი გამოცდაა საბჭოთა პრესისათვის, როცა მან უნდა დაამტკიცოს, რამდენად ახლოა ის ქვეყნის პირ-ვარამთან, რამდენათ სრულათ გამოხატავს მასის სულისკვეთებას და რამდენათ სწორად ხელმძღვანელობს მშრომელთა საზოგადოებრივ აზრს.

მაგრამ, ცხადია, გაზეთს არ შეეძლება ამ გამოცდის ღირსეულათ ჩაბარება, თუ მას ფართო დახმარება არ ექნა თვით წარმოება-დაწესებულებებისაგან და მკითხველი მასისაგან. ქ. ნოვგოროდის „ზვეზდა“ ამის შესახებ სწერს:

> „ჯერ-ჯერობით ჩვენი მრავალი კორესპონდენტები, მუშები და გლეხები, საბჭოთა აპარატის და სამეურნეო ორგანოთა პროფკავშირების და კოოპერატივების, პარტიული და უპარტიო ორგანოები, ცოტას სწერენ ამაზე.“

ქ. პსკოვის „ნაბატი“ ჩივის იმაზე, რომ მომჭირნეობის კამპანია ჯერ კიდევ ვერ გაიგო ყველამ ისე, როგორც ამას მდგომარეობა ითხოვს და გავლენას ახდენს გაზეთის მუშაობაზეც, რადგან თავს დიდათ არავინ იწუხებს, ცნობებისა და წერილების დროულათ მოწოდებისათვის. სამეურნეო მუშაკები „ნაბატის“ სიტყვით, რომ გაამართლონ თავიანთი გულგრილობა მომჭირნეობის რეჟიმისადმი, ასე ამბობენ: „ჩვენ დღემდისაც ვიცავდით მომჭირნეობის რეჟიმს“-ო.

გაზეთის საკითხს და მომჭირნეობას ეხება მოსკოვის „იზვესტია“-ში ამხ. მ. ო., რომელიც სწერს:

> „საბჭოთა პრესა გამოცდას იჭერს მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარებაში. ეს არაერთხელ თქმულა. კამპანიის წარმატებით მსვლელობა ბევრათაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დაიჭერს პრესა ამ გამოცდას. ეს არ უნდა დაივიწყონ არც გაზეთის მუშაკებმა. ეს უნდა გაიგოს აგრეთვე პარტიულ და საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო ფენებმა და უნდა დაეხმარონ პრესას კამპანიის ჩატარებაში“.

ქრონიკა

ლითონის ტრესტი

როგორც სხვა დაწესებულებებში, ისე ლითონის ტრესტში, მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად მოწყობილია სპეციალური კომისია. ჯერ-ჯერობით კომისიამ გამოიკვლია აპარატი და შესაძლებლად სცნო საკომერციო განყოფილებაში შტატის 5 კაცით შემცირება.

კომისიის მიერ შემცირებულ იქნა აგრეთვე შეკვეთების მისაღებად დანიშნული აგენტების რიცხვის შემცირება. აგენტთა რაოდენობა შემცირებულ იქნა; როგორც თბილისში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, სადაც მრავალ აგენტების ნაცვლად დაწესებულ იქნა ერთი რწმუნებულის თანამდებობა. ტრესტის ავტო -ტრანსპორტი ერთ მანქანაზე იქნა დაყვანილი. გაუქმებულ იქნა აგრეთვე მივლინებისათვის თანხების გაღება. ტრესტმა უარი სთქვა აგრეთვე საგაზეთო რეკლამებზე. წელიწადში ერთხელ მოთავსებული იქნება მხოლოდ ტრესტის საბალანსო ანგარიში.

ტრესტის წარმოებაში სწარმოებდა ბრძოლა სამუშაო დროის გაცდენასთან. წარმოებებში შემცირებულ იქნა აგრეთვე ზედმეტი დამუშავების ნორმები.

ტრესტის ყველა ქარხნებში კოქსიდან გადაყვანილ იქნა ქვანახშირის ხმარებაზე, რაც იძლევა სათბობ მასალის საგრძნობ ეკონომიას. ამ საშუალებით წელიწადში მომჭირნებულ იქნება 13 ათასი მანეთი.

საკომისარიატო - სავაჭრო კომისიაში

შესდგა მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ საკომისარიატო - სავაჭრო კომისიის სხდომა; რომელსაც დაესწრნენ სახალხო კომისარიატების და სავაჭრო კოოპერატიულ დაწესებულებების წარმომადგენელნი. სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები შესრულებულ პრაქტიკულ მუშაობის შესახებ მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად. კომისიამ დაადგინა ყოველ წარმოება დაწესებულებასთან შექმნას ქვე-კომისიები მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლად. ქვე-კომისიებმა 3 დღის განმავლობაში უნდა წარადგინონ თავის მუშაობის გეგმა ამ მიმართულებით. მთელ რიგ წარმოებებში კომისიამ მიამაგრა თავისი რწმუნებულნი, გარდა ამისა, კომისიამ დაადგინა ყოველ დაწესებულებაში მოაწყოს კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ქვე-კომისიის ხელმძღვანელის საანგარიშო მოხსენება. აქვე ქვე-კომისიის წევრებს მიეცემათ სახელმძღვანელო დირექტივები. პირველი ასეთი კრება მოეწყო საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის სამმართველოში 19 მაისს.

ფასების დაკლების გარშემო

იმ მიზნით, რომ შექმნილი იქნეს ხელსაყრელი პირობები ფასების დამკლებ კომისიების მუშაობისათვის და რათა ამ მუშაობაში ჩაბმული იქნენ თვით სამეურნეო ორგანიზაციები, ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო, რომ თვითეულ მსხვილ სამეურნეო ორგანიზაციასთან გამოყოფილი იქნეს მუშა-მოსამსახურეთა შემადგენლობიდან ფასების დამკლებ კომისიის ხელის შემწყობი განსაკუთრებული უჯრედი, რომელსაც უნდა დაეკისროს ფასების დაკლებასთან დაკავშირებულ საკითხების ტეხნიკური დამუშავება, კომისიისათვის საჭირო მასალების შერჩევა და იმ საკითხების გადაცემა კომისიაში, რომლებიც ხელს უწყობენ ფასების საერთო შემცირებას და, კერძოთ, თავისი ორგანიზაციის ზედნადები ხარჯების შემცირებას.

უჯრედების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა ეკისრება ფასების დამკლებ კომისიას.

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი რწმუნებულების სახელზე დაგზავნილ ცირკულიარში აღნიშნავს, რომ ხელის შემწყობ უჯრედების დაარსებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს რაიმე დამატებითი ხარჯები და მათი მუშაობისათვის შემოღებული არ უნდა იქნეს ზედმეტი საათები.

მომჭირნეობის გამტარებელი კომისია

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან დაარსდა მომჭირნეობის გამტარებელი კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

ასეთივე კომისიები დაარსდა რწმუნებულების სამმართველოებთან.

ფინსახკომში

საქართველოს ფინსახკომთან დაარსდა ეკონომიის რეჟიმის გატარების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე შ. პიპაშვილი, კომისიის წევრები: 1) ი. ფანცხავა, 2) ვართანესოვი, 3) წულუკიძე, 4) ალექსანდრია. კომისია შეუდგა მუშაობის გეგმის შედგენას.

პოლიგრაფიულ ტრესტში

ს. მ. ე. საბჭოსთან არსებულმა მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელმა კომისიამ პოლიგრაფტრესტში მოაწყო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ პოლიგრაფ-ტრესტის ყველა განყოფილებების, სტამბების გამგეები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და საწარმოო თათბირების წევრები და კავშირების წარმომადგენელნი, თათბირის მიზანი იყო კონკრეტულ ღონისძიებათა გამომუშავება ტრესტის და მისი წარმოებების დანართი ხარჯების შესამცირებლად. თათბირზე მოხსენება გააკეთა ეკონ. რეჟიმის გამტარებელ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ჯანაშიამ, რომელმაც კრებას გააცნო ცენტრ. კომისიის მიერ გამომუშავებული ინსტრუქციები მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ.

წარმოებებთა ახლო მდგომ ამხანაგების ცნობებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ სტამბებში ადგილი აქვს უსაქმურობას და დროს ფუჭადგაცდენას დიდ ტვირთად აწევს აგრეთვე პოლიგრაფ. წარმოებებს ბინის ქირა, რომელიც თვეში 36 ათასს მანეთს შეადგენს.

ექიმთა მეოთხე კონგრესი

კონგრესის გახსნა

გუშინ, დილის 12 საათზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში გაიხსნა საქართველოს ექიმთა მე-4 კონგრესი.

კონგრესის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტის სახელით პროფ. **ა. ნათიშვილი** ხსნის კონგრესს და პირველ სიტყვას აძლევს პროფ. **მ. წინამძღვრიშვილს**, რომელიც აკეთებს მოხსენებას ადამიანის კონსტიტუციის საკითხებზე.

პროფ. წინამძღვრიშვილის მოხსენება

მომხსენებელს მოჰყავს სხვადასხვა მეცნიერების აზრი ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესახებ. იხილავს ლიტერატურაში არსებულ შეხედულებებს ამ საკითხზე და ადამიანის აგებულების თავისებურებათა არსებულ კლასიფიკაციებს. აღნიშნავს, რომ საერთოთ ადამიანის კონსტიტუციის შესწავლა მეტად რთული და ძნელია. ამ საკითხის გამორკვევა ჯერ კიდევ დიდ შრომას და დიდ დროს მოითხოვს. მომხსენებელი ამბობს, რომ ნორმალური აგებულების დარღვევა (კონსტიტუციის ანომალიები) ერთის მხრივ დამოკიდებულია გარეშე მიზეზებზე და მეორეს მხრივ მას კავშირი აქვს შინაგან სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლასთან.

მოხსენება დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი.

მისალმებანი

კონგრესი ისმენს ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის ამხ. **მიხა ცხაკაიას** და სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის **ივ. ჯავახიშვილის** წერილობით მისალმებებს, რასაც დელეგატები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს საქართველოს ცაკის თავმჯდომარე **ფილიპე მახარაძე**.

ფ. მახარაძის სიტყვა

ფ. მახარაძე აღნიშნავს, რომ საქ. ექიმთა კონგრესი არ არის პოლიტიკური ყრილობა, მაგრამ მას აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს მეოთხეთ იმართება ექიმთა სამეცნიერო კონგრესი. საბჭოთა ხელისუფლება და მმართველი პარტია ყოველ მხრივ ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის კულტურულ წინსვლას. მეცნიერებას გახსნილი აქვს ფართო გზა საერთოთ მთელ საბჭოთა კავშირში. ამას ამტკიცებს ლენინგრადში ამჟამად გახსნილი რენტგენოლოგების და რადიოლოგების ყრილობა და აგრეთვე მთელი რიგი სხვა სამეცნიერო - საექიმო ყრილობებისა, რომელიც ამ დღეებში გაიხსნება.

ორატორი ხაზს უსვამს იმ ფაქტებს, რომელიც მოწყვეტილია სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრების დარგში:

სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ექიმებმა უნდა ითამაშონ უდიდესი როლი, რადგან ხალხის საერთო კეთილდღეობით არ არიან ისე დაინტერესებული არც ერთი სხვა პროფესიის წარმომადგენლები, როგორც ექიმები.

ექიმებმა უნდა შეუწყონ ხელი ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის კულტურულ წინსვლას.

ფ. მახარაძე მოუწოდებს ქართველ ექიმებს მჭიდრო კავშირი დაიჭირონ ყველა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებთან და არ გამოეთიშონ არაქართველ ექიმებს.

დასასრულ ორატორი გამოსთქვამს იმედს, რომ კონგრესის გამოტანილ დასკვნებს და რეზოლუციებს არ ექნებათ მარტო თეორიული და კაბინეტური ხასიათი, არამედ იგი პრაქტიკულად იქნება განხორციელებული და გადატანილი ხალხში.

ფ. მახარაძე ათავებს მისალმებას შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს მეცნიერებას და ცხოვრების კავშირს“.

ამის შემდეგ მოსმენილი იქნა საქ. წითელი ჯვრის, აფხაზეთის, წარმომადგენლების, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების, კავკასიის საექიმო საზოგადოების და სხვ. მისალმებანი.

პრეზიდიუმის არჩევა

დასასრულ კონგრესი ირჩევს პრეზიდიუმს. კონგრესის თავმჯდომარეთ და საერთო ხელმძღვანელად [illegible] იქნა პროფ. **სიმონ გოგიტიძე**. რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ საზეიმო სხდომა დაიხურა.

საბჭოთა საქართველო

საძოვარი უკან დაგვრჩა

(კინჩხა, ქუთ. მ.)

კინჩხა-გორდის თემს აკრავს საუცხოვო ტყე—თურჩუს აგარაკი, რომელსაც უჭირავს არა ნაკლებ ცამეტი ათასი დესეტინისა.

ამასთან ერთად ამ თემებს ახლავს მთელ იმერეთში და სამეგრელო-ლეჩხუმში განთქმული საბალახო მთა „ასხი“.

როგორც კინჩხა-გორდის თემებში, ისე ტყე და საძოვარი ეკუთვნოდა სენაკის მაზრას. სენაკის მაზრის შემოსავალ სალაროში შედიოდა პროცენტული ანარიცხები ტყისა და საძოვარიდან შემოსავლისა.

მას შემდეგ, რაც ჩვენი თემები გადაეწერა ქუთაისის მაზრაში, ჩვენ გვეგონა, რომ სენაკის მაზრას გამოვეყავით არა მარტო მცხოვრებნი, არამედ მთელი ჩვენი ტერიტორიით, რომელშიაც შედიოდა ტყე „თურჩუს აგარაკი“ და საძოვარი მთის დიდი ნაწილი. მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. სენაკის მაზრა დაეპატრონა როგორც ტყეს, ისე საძოვარ მთას. ამან გამოიწვია ერთგვარი გაუგებრობა და დავა ჩვენსა და სენაკის მაზრას შორის. თურჩუს აგარაკი გადმოვიდა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში თუ არ ვცდები 1922 წელს. საძოვარი მთა კი დარჩა სადაოთ და დღემდე მთის შემოსავალის პროცენტულ ანარიცხებს იტოვებდა სენაკის მაზრა.

საქმე იქამდი მივიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს კინჩხის გლეხობა თავს დაესხა საძოვარის მცველებს და, რომ საქმე მორიგებით არ გათავებულიყო, უბედურება მოხდებოდა.

სენაკის მაზრასა და ქუთაისის მაზრას შორის ატეხილი დავა საძოვარის შესახებ არ გამოპარვია ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს; დაინიშნა საგამომძიებლო კომისია ამხ. ს. თოდრიას თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა გამოეკვლია და მოეწესრიგებია ატეხილი დავა. გამოითქვა ასეთი აზრი: ვინაიდან საბალახო მთა შუა ადგილზე ძევს, სენაკისა, ლეჩხუმისა და ქუთაისის მაზრებისა, მთელი შემოსავალი განაწილებულ იქნეს სამივე მაზრაზე. მაგრამ საბოლოოთ დასკვნა კომისიისა ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობია.

უკვე დადგა სეზონი საბალახო მთისა, გასული წლების სეზონზე დიდ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, მეჯოგენი, სარგებლობდენ ამ გაუგებრობით და ადრე მირეკავდენ საქონელს, რომელიც სპობდა ჯერ კიდევ ნორჩ ბალახს და ანადგურებდა საბალახოს. რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა ეხლავე იქნეს მიღებული სათანადო ზომები, რათა დანიშნულ დრომდე არ იქნეს ჯოგები შერეკილი.

საბალახო მთას აქვს სამი ბუნებრივი შესასვლელი „კარი“. გარდა ამ „კარებისა“ არავის შეუძლია არსაიდან შესვლა. ეს კარები არის სამივე მაზრების მხრიდან. და თუ სხვა მხრიდან არ მოგვარდება საქმე, თვითეული კარის დაცვა-პატრონობა უნდა დაეკისროს თვითეულ მაზრას, და შემოსავალიც მას უნდა დარჩეს. ასეთია ჩვენი თემის გლეხობის შეხედულება.

ჭარიშვილი.

იექსკურსიეს, ანუ ჩაიქაშვეთეს

(ქუთაისი)

თამბაქოს ტრესტის პიონერებს მოუნდათ ქალაქ გარეთ გავლა, წმინდა ჰაერის გადაყლაპვა, თან კიდევ სოფლის ავ-კარგის ნახვა და გაცნობა. მოგეხსენებათ, ჩვენს ქალაქს ირგვლივ მრავალი და მეტად მიმზიდველი სოფლები ახლავს. ასე რომ, დიდი ფიქრი და თავის მტვრევა არ იყო საჭირო საექსკურსიო ადგილის ამოსარჩევად.

არჩევანი ფარცხანაყანევზე გაჩერდა. საქმე დღეზე მიდგა და მოხერხებული დღეც მალე იქნა შერჩეული. ეს გახლდათ 16 მაისი, ანუ, როგორც ექსკურსიის ხელმძღვანელები იტყვიან, ქაშვეთობა. ტრესტი სხვა დაწესებულებასავით წყალწაღებული არ გეგონოთ. მას ფულიც ბლომათა აქვს. თუთუნიც და ავტომობილიც, ოღონდ კი მოისურვოთ, ხელად კარებზე მოადგებათ.

ამ დღეს სწორედ ასე მოიქცენ. თვალის დახამხამებაში გააჩინეს ავტო, ჩასხეს შიგ პიონერები, თვითონაც გვერდით მოუსხდენ და გაფრინდენ ფარცხანაყანევისაკენ, თან რევოლიუციურ სულისკვეთების ასაღორძინებლათ წითელი დროშებიც გაიძღვანეს.

პირველყოვლისა ექსკურსანტები შვიდწლედის სკოლას მოადგნენ. აქ დააბინავეს ბავშვები და ხელმძღვანელები თავის გზას გაუდგნენ. მოატრიალეს ავტომობილი და ზედ ამბროსი ბაძგარაძის ჭიშკარს მიაყენეს. დაფაცურდა ამბროსი. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: ქალაქიდან ჩამოსული, ინტელიგენტი სტუმრები და ისიც ავტომობილით. ისე როგორ წახდებოდა კაცი, რომ ქაშვეთობა დღეს საპატიო სტუმრების წინაშე პირშავად გამოსულიყო.

ხელად სუფრა მწვანეზე, ჩაცივებული ღვინო, შემწვარ-შეხრაკულები. მართლა გამოთაყვანებული უნდა ყოფილიყო კაცი, რომ ასეთ სუფრაზე თავი არ მოეხმარა. ქუთაისის თამბაქოს ტრესტელები ამას როგორ იზამდენ? და შეიქნა შენი მოწონებული ქეიფი.

ბავშვები კი უტრიალებდენ დროშებს სკოლის ეზოში და ერთმანეთს შესტიროდენ ხელმძღვანელების დაკარგვას... დღეს, რომ კითხოთ 16 მაისის ფარცხანაყანეველ გმირებს, რას აკეთებდენ ისინი ამ დღეს, პატიოსანი კაცივით გიპასუხებენ: „ექსკურსიაზე გეახელით“-ო. მე კი პირადათ, გავიმეორებდი იმ გლეხების სიტყვებს, რომლებიც ამბროსის სტუმრებზე გაიძახოდნენ: „ყოჩაღ ბიჭებო, რა ლამაზათ ჩაიქაშვეთესო“.

თოთარის მამა.

წერილებიდან

ახალგორი

(ოსეთი)

კავშირის გარეშე დარჩენილები. ახალგორში საკმაოთ ბევრი შინამრეწველი ხელოსნები არიან. საკმაოა აგრეთვე ერთეულ მუშათა რიცხვიც. შეკავშირებული კი ისინი არავითარ ორგანიზაციაში არ არიან, უკვე ორი თვეა, რაც აძრულია შუამდგომლობა სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭოს წინაშე მათი რომელიმე კავშირში ჩაწერის შესახებ, მაგრამ ჯერ არავითარი პასუხი არ სჩანს.

სოფლელი.

ს. ვაშლოვანი (თბილ. მაზრა).

ექიმია თუ მოქეიფე? ამას წინათ აქ საზიზღარი ამბავი დატრიალდა. ძმამ მოჰკლა ძმა და თავისი ფეხმძიმე ცოლი. საჭირო იყო მიცვალებულების ექიმის მიერ გასინჯვა და გარდაცვალების შემოწმება. მიმართეს ასურეთში ახლად ჩამოსულ ექიმს შურღაიას. მან უარით გამოისტუმრა გლეხები. „ეხლა უქმეებია და მაგისათვის არა მცალიან“-ო. [illegible] მიცვალებულთა, როცა უკანასკნელნი [illegible] ნაწილობრივად გაიხრწნენ. ამ ხნის განმავლობაში სოფელში ერთი ვიშის და ზარის ხმა იდგა, რადგან მიცვალებულები გულშემზარავად და უპატრონოდ ეყარენ ექიმის მოლოდინში.

ვაშლოველი გლეხი.

საგარეჯო (გარე-კახეთი).

ულირსი მასწავლებელი. აქ მასწავლებლობს კვერენჩხილაძე, რომელიც ქეიფსა და ნარდის თამაშს უფრო მეტ დროს ანდომებს, ვიდრე სკოლას. ეს კიდევ არაფერი, რომ დათვრებოდეს და თავის ტყავში დაეტეოდეს. ამას წინად მივარდა მთვრალი კვერენჩხილაძე მ. გურგენიძეს და დაუზოგავად სცემა მას. რომ სხვები არ მიშველებოდენ, გურგენიძე ლოთ მასწავლებელს ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა.

ურანი.

მოლითი (შორაპნის მაზრა).

ძველებურს არ იშლის. ქალბატონი ლუბა ყიფიანი მიჩვეულია გლეხების, ტანჯვას და არც ეხლა უნდა მოიშალოს ეს ჩვეულება. ამას წინათ დაიჭირა მის პურში შესული 21 სული გლეხების საქონელი და სამი დღის განმავლობაში უჭმელ-უსმელი ჰყავდა გამომწყვდეული ბოსელში. არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა. გლეხები დაჰპირდენ დანაკლისის ანაზღაურებას, მაგრამ ყიფიანი ეხლავე მოითხოვდა ზარალის ან ფულით ან პურით გადახდას. „თუ მოკვდება საქონელი, გამოვათრევ დავმარხავ“-ო, გაიძახოდა ყიფიანი. დროა მის თავგასულობას საზღვარი დაედოს.

ვაჭრაულის თაველი.

სოფლის ქრონიკა

— **ამბულატორია.** ახალციხეში გაიხსნა ამბულატორია.

— **დუშეთის** გლეხკომმა მაზრის ქვრივობლებს დაურიგა დახმარების სახით 505 მანეთი.

— **გორში** გაიხსნა თბ. კომუნალური ბანკის განყოფილება.

— **ციხის ძირში** (აჭარა) პოლიტკატორღელებისათვის გაიხსნა დასასვენებელი

— **ახალქალაქის** მაზრაში ამჟამად ითვლება 22 ქოხ-სამკითხველო.

— **წერაკითხვის უცოდინარობის** სალიკვიდაციო სკოლები ახალქალაქში გასულ თვის დამლევს დაამთავრა 721 კაცმა.

— **ნაქალაქევის** (ქუთაისის მაზრა) თემში იხსნება კოოპერატიული სავაჭრო.

— **რაჭის მაზრის** კოოპერატივებში ამჟამად ითვლება 4.459 წევრი. საპაიო თანხა აღწევს 12.000 მანეთამდე.

— **თამაკონში** (ქუთ. მაზრა) გაიხსნა ახალი კოოპერატივი.

მუშათა ცხოვრება

მუშის ნაამბობი

ვერიდები საქმეს, ლაჩრულს,
გაურბივარ ქცევას ქუჩურს,
ვეთვისები ჩაგრულ-ტანჯულს,
და შევხარი შრომას მუშურს.

ვერიდები ბატონ-კაცურს,
ამაყსა და ამპარტავანს,
გავურბივარ ცუღლუტ-მაცდურს,
„ეშმაკების“ ავანჩავანს.

ვერიდები ძუნწს და კრიჟანგს;
ვეთვისები სადა-მარტივს,
გავურბივარ ღამის ნიანგს,
რესტორანულ სარფის პატივს.

ვერიდები ჯიბგირების
უკანონო ხელის ფათურს,
მკლავაძიურ ფლიდ-გმირების
ხარჯვა-ფლანგვას ბედოვლათურს.

ვერიდები ძაღლურ ლაქუცს,
გავურბივარ უნდილ ფუფუნს,
ვენაცვალე ურო-ჩაქუჩს,
ხალისიან ქარხნის გუგუნს.

ზიზღით უცქერ ქონებიანს.
უსამართლო ღონიერსა.
გაუმარჯოს გონებიანს,
ყველაფერში ზომიერსა!

გიგო ხეჩუაშვილი.

უნდა აღმოიფხვრას „ნათლიმამობა“

რკინისგზის მთავ. სახელოსნოს სადურგლო სამქროში ვინ გინდათ, რომ „ნათლიმამებით“ არ დგებოდეს შავ მუშად და მერე უცებად მაღალ ხელობაზე გადაჰყავთ. ამას შედეგათ მოსდევს ხოლმე მანქანების დამტვრევა ან და უბედური შემთხვევა, როგორც მოხდა მაგ. 17 მაისს, როდესაც დაიმტვრა სხერხი მანქანა № 682—მეთასმე (შორნიკი) ნიკო ახობარდიის წყალობით.

ეს მუშა სულ ახლო ხანში დადგა სადურგლო ცეხში შავ მუშად. ამ ბოლო დროს მან საიდღანაც იყო მოიტანა „რეკომენდაცია“. გამგე ახობაძე კი ასეთ შემთხვევაში კოჰაღია; ოღონდ კი მუშამ დაასახელოს ვინმე პასუხისმგებელი პირი და იგი ხელად გადაიყვანს მას მაღალ თანამდებობაზე, სადაც მოისურვებს მას.

კარგი რომ, რაღაც ბედმა შეეწია მხერხავ ათანასე ნინუას, თორემ მარტო მანქანის დამტვრევით არ გათავდებოდა საქმე. მუშის სიცოცხლეც მოჰყვებოდა მას.

ამჟამად ყველა გაზეთები აშუქებულია სახელმწიფოს ქონების მომჭირნეობის და ყაირათიანობის ლოზუნგით. მეურნეობა ყოველი მხრით შეიკვეცება. მაგრამ თუ ჩვენს სახელმწიფოში „ნათლიმამობა“ და პროტექციები იქნება, მომჭირნეობაზე ზედმეტია ლაპარაკი.

დაიმტვრა მანქანა. ვინ იცის, რამდენი დღე მოუნდება მის აღდგენას. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც მუშები თვეობით შეჩერებული არიან შეკეთების მიზეზით და კიდევ ვერ კეთდება ისე, როგორც საჭიროა.

ამიტომ უნდა მიიღოს ზომა, ვისაც ეს საქმე ევალება, რათა აღმოფხვრილ იქნეს სამქროებში „ნათლიმამობა“ და პროტექცია. ამით აცილებული იქნება ჩვენი მანქანების დამტვრევა და უბედური შემთხვევები [illegible].

მუშკორი [illegible]

დაპირებას შესრულება უნდა

(რკ.-გ. მთ. სახელოსნოს უფროსის საყურადღებოდ)

1 წელი გადის მას შემდეგ, რაც საკითხი დაისვა ადგილობრივი საწარმოო თათბირზე და სათანადო დადგენილებაც გამოიტანეს სადურგლო ცეხის რგვალი სახერხი, მანქანის № 676-ის ძალის მომატებაზე და კარგად მოწყობაზე. თითქმის ყოველ დღე მოდიან ტეხნიკები დახედავენ, გაზომ-გამოზომავენ მანქანას, მაგრამ დრო გადის და მანქანა ისევ ძველებურად დაჩანჩალობს. ეს წარმოებას უშლის ხელს. ეს ალბად ეცოდინება სახელოსნოს უფროსს და იმედია, დადგენილების სისრულეში მოსაყვანად გასცემს სათანადო განკარგულებას.

მუშკორი ჩიკო.

როდის მოარჯულებენ ასეთ „მამებს“?

პლეხანოვის გამზირზე № 117 სახლში სცხოვრობს მოქ. ალექსანდრე ავდიშვილი, რომელიც „ცოლების“ გალახვაში და გაგდებაში განთქმული და დახელოვნებულია.

ამას წინათ არც უკანასკნელი ცოლი (წინათ სხვა ცოლებიც ყავდა) დასტოვა უყურადღებოთ ჩვეულებისამებრ და გააგდო კარში. უჩვენა...

მე 10 კომისარიატმა თუმცა გამაფრთხილებელი ხელწერილი ჩამოართვა მას, მაგრამ ავდიშვილი ისეთი შუბლ-მაგარი კაცია, რომ მასზე ასეთები არ მოქმედობს, პირიქით, როდესაც ქალის ძმა მოვიდა თავის დის წასაყვანად, ავდიშვილი გამოცხადდა კომისარიატში და უსირცხვილოდ განაცხადა: „ბავშვი დამიტოვოს და თვითონ ჯანდაბაში წავიდეს“.

რა თქმა უნდა, დედამ ძუძუთა ბავშვი არ მისცა, ან კი რაზე უნდა მიეცა?—თუ ბავშვის დედა არ უნდა, არც მისი ბავშვი უნდა უნდოდეს.

სხვათა შორის, ავდიშვილი უჩივის ცოლს ბავშვის შესახებ. მე არ ვიცი რა სინიდისით უნდა მივიდეს იგი სასამართლოში და მოსთხოვოს იმ ცოლს ბავშვი, რომელიც მან კარში გააგდო და დღე და ღამე სცემდა და აწვალებდა.

კარგი იქნებოდა, რომ სასამართლო თვით ავდიშვილს წამოასკუპებდეს დამნაშავის სკამზე ცოლის გალახვისა და წამებისათვის.

მუშკორი ზღვისპირელი.

ჩვენც გაგვიხსენეთ

(ქუთაისის კომუნალურ მეურნეობის გამგის საყურადღებოდ)

ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველა რესპუბლიკებში განაგრძობს დაჟინებით მუშაობას აღმშენებლობითი დარგში. ქუთაისმა გასაბჭოების დღიდან მხურვალე მონაწილეობა მიიღო აღმშენებლობაში. ამ ჟამად ქუთაისში მიმდინარეობს მუშაობა ქალაქში გზებისა და ქვაფენილების შეკეთებაზე, რისთვისაც გადადებულია სათანადო თანხა.

მაგრამ არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ქუთაისშივე ნინოშვილის ქუჩის მე-2-ე შესახვევი, სრულიად მივიწყებული, სადაც ზამთრობით სრულიად არ შეიძლება გავლა. ზაფხულობით კი ლორებისა და სხვა მწერების საბუდარ ადგილად არის გადაქცეული, რის გამო მცხოვრებნი მალარიით არის დაავადმყოფებულნი.

კარგი იქნებოდა, კომუნალურ მეურნეობის გამგე [illegible] ინახულებდეს [illegible] და ყოველივეს დახედვის შემდეგ მიიღებდეს ზომებს მის შესაკეთებლად, [illegible] იქნეს გამოჩენილი მისი შეკეთება.

ქუთაისელი.

წითელ ჯარში

კავშირის სამოქალაქო ორგანიზაციებთან

ტერიტორიალურ აღმშენებლობის ხანაში ჯარის ნაწილების კავშირს სამოქალაქო ორგანიზაციებთან დიდი მნიშვნელობა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ ეს კავშირი მოისუსტებს, არ არის მჭიდრო, ტერაღმშენებლობა შეფერხდება და ვერ მივიღებთ სასურველ შედეგებს. განვლილმა შეკრებებმა, რომლებიც ჩატარებული იყო ჩვენი ტერიტორიალური დივიზიის მიერ, დაგვანახვა, რომ იმ ადგილებში, სადაც ჯარის ნაწილებს ჰქონდათ მჭიდრო კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან, შეკრებები, როგორც მოკლე ისე გრძელ ვადიანი, სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩავადრენ. იმ რაიონებში კი, სადაც კავშირი მოისუსტებდა, ადგილი ჰქონდა ცვალებადელების გამოუცხადებლობას და მრავალ არა სასურველ მოვლენას.

როგორი უნდა იყვეს კავშირი, რომ მისგან სასურველი შედეგები მივიღოთ?

კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან უნდა იყვეს არა შემთხვევითი ხასიათის, არამედ მუდმივი და ორგანიული. ამას გვიკარნახებს თვით ტერიტორიალურ სისტემის არსი, ვინაიდან აქ ყოველი მოქალაქე არის ერთ და იმავე დროს მებრძოლი წითელი არმიელი, ტერსისტემის დროს იშლება საზღვარი სამხედრო ნაწილებსა და მოსახლეობის შორის.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა ერთიანი ხაზის გამონახვა პოლიტმუშაობს სფეროში; შემდეგ საჭიროა სამხედრო ნაწილის და ადგილობრივ ხელისუფლების მუშაობის გეგმების შეთანხმება, ერთმანეთისათვის ინფორმაციის მიწოდება და ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა.

ამჟამად მიღებულია და ცხოვრებაში ტარდება სამხედრო ნაწილში მომუშავე პარტ ამხანაგების მიმაგრება სამოქალაქო უჯრედებზე სოფლად და ქალაქად.

ერთმანეთისათვის ინფორმაციის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამხანაგების მიმაგრება სამოქალაქო ორგანიზაციებზე სავსებით გამოყენებულ უნდა იქნეს ამ ინფორმაციისათვის.

როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციები თანდათანობით გადადიან გეგმიან მუშაობაზე. აქ საჭიროა, რომ სამხედრო პოლიტმუშაკებმა ადგილებზე მიიღონ აქტიური მონაწილეობა სამოქალაქო ორგანიზაციის გეგმის გამომუშავებაში და თავისი მხრივ ჩაურთონ გეგმაში ტერიტორიალურ ნაწილის მუშაობის ელემენტები.

დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირს (გარდა პარტიულისა) აგრეთვე საბჭოთა ორგანიზაციებთან. შეთანხმება მათთან შეკრებების ვადის, წვევამდელთა მზადების საკითხების, გამოძებნა შენობების და სხ. წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, ვინაიდგან, თუ ეს საკითხები არ არის მოგვარებული რიგიანად, შეიძლება ჩაიშალოს სამხედრო ნაწილის სამუშაო გეგმა.

ე. ხუციშვილი.

სკოლის გარეშე მუშაობა ჩვენთან.

(მე-6-ე ლეგიონი).

სკოლის გარეშე მუშაობას ლეგიონში ხელმძღვანელობს გამგეობა, რომელშიაც შედიან, როგორც წითელარმიელნი, აგრეთვე უფპოლიტშემადგენლობის წარმომადგენელნი.

კლუბის გამგეობა იმუშავებს ყოველთვიურად გეგმას. მუშაობა განიყოფება სამ დარგად: 1) მუშაობა ცვალებადელებთან, 2) წვევამდელებთან და 3) ძირითად შემადგენლობასთან.

ძირითად შემადგენლობასთან ჩამოყალიბებულია 12 ჯგუფი, რომლებშიაც მუშაობს 275 წითელარმიელი. გვაქვს 8 სხვადასხვა ხასიათის წრე 175 წევრით. წრეებში დამუშავებული თემები და საკითხები გადაგვაქვს მასიურ მუშაობაში.

ექვსი თვის განმავლობაში წრეების მიერ მოწყობილია 51 მასიური საღამო. სიღნაღის და თელავის მაზრებში ასეულების მიერ მოწყობილია 22 საღამო-წარმოდგენა, ლიუქსემბურგსა და დუშეთის მაზრაში—5 საღამო-წარმოდგენა.

სოფლებში ნაჩვენები იქნა ცვალებადელებისათვის კინო-სურათები 19-ჯერ.

კლუბი აწყობდა ექსკურსიებს მუზეუმებში და ქარხნებში. ჩატარებულია 12 კითხვა-პასუხის საღამო.

წვევამდელთა წერტებზე მოწყობილია კლუბის მიერ ლენინის კუთხე. ყველა წერტებზე გამოშვებულია კედლის გაზეთები.

ე—ლი.

რკინის გზებზე

შეღავათიანი მგზავრობა მოსწავლეთათვის

საკავშირო ცაკმა გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად წინადადება ეძლევა გზათა მიმოსვლის კომისარიატს ქალაქების ახლომავალ მატარებლებში მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შემოიღოს 50 პროცენტით დაკლებული საგზაო ტარიფი.

დატვირთვის შემცირება

მაისის პირველი ათი დღის განმავლობაში დატვირთვა ა.-კ. რკ. გზებზე შემცირდა 25 პროცენტით. ეს აიხსნება წარსულ უქმე დღეებით და ზაფხულის მოახლოებით.

საბინაო აღმშენებლობა

ზაქოს უბანზე საბინაო აღმშენებლობისათვის გადადებულია 250 ათასი მანეთი. საბინაო აღმშენებლობის პირობების გამოსარკვევად უბანზე მივლინებულ კომისიის წინადადებით სამ სართულიან (100 ბინით) სახლის აგების მაგიერ სადგ. ქიშლისთან უნდა გაშენდეს მუშათა სოფელი 25 სახლისაგან. თვითეული სახლი შესდგება ოთხი ბინისაგან.

საბინაო პირობების გამოკვლევა

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს, საგზაო კომიტეტთან ერთათ განზრახვა აქვს გამოიკვლიოს რკინისგზელების საბინაო პირობები როგორც გზების ფარგლებში, ისე მის გარეშე.

საგზაო ტარიფის გადიდება

საკავშირო საგეგმო კომისიის სატრანსპორტო სექციამ აუცილებლად ჩასთვალა რკინის-გზებზე ა.-წ. 1 ივნისიდან 20 პროცენტით გადიდება. ეს მომატება გზათა მიმოსვლის კომისარიატის შემოსავალს გაადიდებს 1.415.000.000 მანეთით.

კომისიის ჩამოსვლა

დღეს თბილისში ჩამოვა საკავშირო კომპარტიის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სპეციალური კომისია ა.-კ. რკ.-გზებზე სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირის და ელექტრო-ტეხნიკის საქმის გამოსაკვლევად ინჟ. შახ-ბუდაგოვს მიცემული აქვს წინადადება დაამზადოს კომისიისათვის მასალები ა.-კ. რკ.გზების ელექტროფიკაციის შესახებ.

ვაგონების გადავარდნა

20 მაისს, საღამოს 9 საათზე, სად. ნახიჩევანში მატ. № 4-ს შემადგენლობის უკან დახევის დროს საყუდის ხაზზე ლიანდაგს ასცდა ორი ვაგონი. მათგან ერთი ამოღებულ იქნა 10 საათზე და 50 წუთზე, ხოლო მეორე 21 მაისს. ვაგონების გადავარდნის მიზეზად სთვლიან ისრის გადაყვანას. ამ შემთხვევის გამო დაკავებულ იქნა ორთქლმავლები მატ. № 11 -თვის და № 4-თვის. სახალხო მატარებელი № 4 ჯულფიდან წამოვიდა 4 საათის დაგვიანებით.

◆

შრომის ხელფასი

სახელმწიფო დაწესებულებებში

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულია დადგენილება საქ. სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა ხელფასის ნორმების დაწესების შესახებ. ამ დადგენილებით თანამდებობათა ნომენკლატურა და ხასიათი გარკვეული უნდა იქნეს წესით, რომელიც განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კანონმდებლობით.

სახელმწიფო დაწესებულებათა შტატების დაწესება და მათში ცვლილებების შეტანა დაკისრებული აქვს მუშათა და გლეხთა ინსპექციას და შრომის სახალხო კომისარიატს. შტატს ამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო.

დაწესებულ შტატებთან შეფარდებით იქნება განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა შრომის ხელფასისათვის. ამ კრედიტებს მიემატება თანხები ზედმეტი სამუშაოების, (იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტი სამუშაოები ნებადართულია შრომის სახალხო კომისარიატისაგან).

მაღალ კვალიფიკაციის თანამდებობის პირთა დამატებითი ჯამაგირების, სამივლინებო ხარჯების გასასტუმრებლად, გამოუყენებელი შვებულებების საკომპენსაციოდ და აგრეთვე დროებითი მოსამსახურეების შრომის ხელფასის გასასტუმრებლად. კრედიტები დროებითი მოსამსახურეების გასასტუმრებლად ნებადართულია მხოლოდ იმ დაწესებულებებისათვის, სადაც მთელი საოპერაციო წლის განმავლობაში აუცილებელი იქნება დროებითი მუშაობის წარმოება. ასეთი კატეგორიის მოსამსახურეთა ჯამაგირები არ უნდა აღემატებოდენ შტატით დაწესებულ სათანადო თანამდებობის პირთა ხელფასს. სახარჯთაღრიცხვო წლის განმავლობაში პირდაპირი დანიშნულების მიხედვით გამოუყენებელი კრედიტები არ შეიძლება დაიხარჯოს სხვა საჭიროებაზე და უნდა გადაირიცხოს ხაზინის შემოსავალში.

შრომის ხელფასის ნორმების ეს სისტემა დადგენილებით გატარებულ უნდა იქნეს 1926-27 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებებში. შტატების დაწესება თვითეულ დაწესებულებებში ხდება, საშტატო კონტინგენტთან შეფარდებით,—მოსამსახურეთა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით.

ყოველ საშტატო თანამდებობას ეძლევა მტკიცეთ განსაზღვრული ჯამაგირი. ჯამაგირები თანამდებობისათვის, რომელნიც კვალიფიკაციის და პასუხისმგებლობის მიხედვით ერთგვარნი არიან, ყველა დაწესებულებებში შეძლების დაგვარად გათანაბრებულნი უნდა იქნენ.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებში ხელფასის განწესრიგება უნდა ხდებოდეს ისევ ძველი სისტემით—კოლექტ. ხელშეკრულებებით. მხოლოდ შრომის ორგანოებს ევალებათ კოლექტ. ხელშეკრულების დადების დროს მოსამსახურეებს უხელმძღვანელონ ზემოხსენებული დადგენილებით.

პროფკავშირებში

ცოტა რამ პროფესიონალურ დისციპლინაზე

პროფდისციპლინის ცნება იმდენად ფართო და რთული შეიქნა, რომ ზოგიერთი ამხანაგები მას იყენებენ არასასურველად და განმარტავენ თავისებურად. ამ სიტყვის ქვეშ ჩვეულებრივად აყენებენ უსაფუძვლო, უკანონო და (ხანდახან) პროფკავშირული ეთიკის წინააღმდეგ მოქმედებას. მაგალითად: თუ კავშირის წევრი არ დაიარება კრებებზე, მას პროფდისციპლინის წესით პირველად გამოეცხადება საყვედური და მეორეჯერ კი გამოირიცხება კავშირიდან და სხვა.

ისმება საკითხი, თუ რა არის პროფდისციპლინა და რა და რა შემთხვევებში უნდა მიმართოს მას კავშირმა კავშირის წევრზე ზეგავლენის მოსახდენად? ვიცით, რომ წესდება ითვალისწინებს კავშირის წევრების შემდეგ ვალდებულებებს: იხადოს თავის დროზე საწევრო გადასახადი, დაექვემდებაროს კავშირის წესდებას, საკავშირო დისციპლინას, საკავშირო ორგანოების ყველა გადაწყვეტილებას და დადგენილებებს.

თუ გაფართოებულ ახსნა-განმარტებით მივუდგებით ზემოჩამოთვლილ მუხლებს წესდებისას, გამოვა, რომ რა დადგენილებაც არ უნდა გამოიტანოს ადგილკომმა, კავშირის წევრი მაინც ვალდებულია შეასრულოს იგი.

ფორმალური მხარე საქმის ასეთია. პრაქტიკულად შეუძლია თუ არა კავშირებს იარონ ასეთი გზით კავშირის წევრთა საკავშირო მუშაობაში მიზიდვა-ჩაბმისათვის? მიზანშეწონილია თუ არა, იძულებითი მეთოდი საკავშირო მუშაობაში, რომელიც მიმართულია კავშირის წევრთათვის მუშაობისადმი აუცილებელ ინტერესის შესაქმნელად?

რასაკვირველია, არა. შეიძლება ბევრჯერ დაავალდებულოთ კავშირის წევრი გამოცხადდეს კრებაზე; შეიძლება მიყვანილ იქნას ასეთი წესით კავშირის წევრთა კრებებზე გამოცხადება 100 პროცენტამდე, მაგრამ ამისგან არაფერი არ გამოვა. საკავშირო მუშაობის „ჯოხით გამოკვეთა“ ყოვლად შეუძლებელია, თუ არ არის ინტერესი თვით კრებებისადმი და არ ცხადდებიან მასზე, ალბად, ამას აქვს თავისი მიზეზები: ან კრებებზე ლაპარაკობენ არა იმ საკითხებზე, რაც საჭიროა განხილულ იქნას, ან კრებები იწვევა ძალიან ხშირად, ან კოლექტივი არ ენდობა თავის ადგილკომს და ფიქრობს, რომ სულ ერთია, კრებაზე გამოცხადებით მაინც არაფერი გამოვა. ყოველ შემთხვევაში, „ჯოხის დისციპლინით“—დამუქრებით და საყვედურებით—არაფერი გაკეთდება.

კავშირის წესდება სავსებით ნათლად და გარკვეულად ამბობს, რომ კავშირის წევრი ვალდებულია აასრულოს ყველა დადგენილებები საკავშირო ორგანოებისა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საკავშირო ორგანიზაციებს უფლება ჰქონდეს გამოიტანოს ყოველგვარი დაუფიქრებელი დადგენილებანი.

საკავშირო მუშაობა შეიძლება აშენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ საკავშირო მასის აღმზრდელობით მეთოდზე. კავშირის წევრთა დავალდებულების შესახებ დადგენილებანი გამოტანილ უნდა იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას ითხოვს კავშირის წევრთა საერთო ინტერესი და ინტერესი კერძო ჯგუფებისა.

საკავშირო დისციპლინის დარღვევად უნდა ჩაითვალოს დარღვევა კავშირის ისეთი დადგენილებებისა, რომლებიც მიდიან კავშირის მთელი მასის ან კავშირის წევრთა კერძო ჯგუფების ინტერესების წინააღმდეგ.

ასეთ დარღვევად კი შეიძლება ჩაითვალოს შეუსრულებლობა თავის-თავზე აღებულ საკავშირო ვალდებულებათა და სხვ.

ყველა დანარჩენ შემთხვევებში არ შეიძლება დამყარება მარტო აბსტრაქტულ პრინციპზე პროფკავშირულ დისციპლინის შესაქმნელად. მუშაობა, აშენებული „ჯოხის დისციპლინის“ პრინციპზე,—არ არის საკავშირო მუშაობა. ამიტომ კავშირებს ჰმართებს კავშირის წევრთა შორის აწარმოონ მეტი და ხანგრძლივი აღმზრდელობითი მეთოდზე დამყარებული მუშაობა.

ო. კალანდაძე.

ემიგრანტების ჩამოსვლა

ვინ მოდის

საქართველოს ცაკმა ნება დართო ქვემოჩამოთვლილ ემიგრანტებს დაბრუნდენ საქართველოში.

მიმდინარე წლის ივნისში ჩამოვლენ:

1. ადონიკ ანდრონიკაშვილი, 2. რაფიელ მომცემლიძე, 3. იოსებ გაბუნია, 4. შალვა ჯაფარიძე, 5. ალექსანდრე ხაზურზანია, 6. ევსიმი გვილავა, 7. ირაკლი ურუშაძე, 8. ნიკოლოზ ქადაგიძე, 9. მოსე იმნაიშვილი. 10. ტერეზა იმნაიშვილი, 11. რაჟდენ აროშიძე, 12. ვახტანგ ლოლუა, 13. სიმონ ნინუა, 14. შალვა გედევანიშვილი და 15. იპოლიტე ნარსია.

უცხოელები ჩვენში

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს შ. ს. ს. ქ. უცხოელთა განყოფილების უფროსმა ამხ. **ეგოროვმა** უცხოელთა მოძრაობის შესახებ საქართველოში განაცხადა:

შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებული უცხოელთა განყოფილება უმთავრესად განაგებს რესპუბლიკის საზღვრებში შემოსულ უცხოელთა რეგისტრაციის, მათთვის აქ საცხოვრებელ საბუთების მიცემის, უცხოეთში მიმავალ საბჭოთა მოქალაქეებისათვის საბუთების მიცემის და უცხოელების პასპორტების შემოწმების საკითხს.

ყველა ამ საკითხების შესახებ გამოცემულია სპეციალური დადგენილებები და წესები. რესპუბლიკაში შემოსვლის მოწმობების გაცემა კი სწარმოებს მხოლოდ საბჭოთა მთავრობის სრულუფლებიან წარმომადგენლობებში და საკონსულოებში:

უკანასკნელ ხანებში ხშირია შემთხვევები, როცა უცხოელები ღებულობენ საბჭოთა მოქალაქეობას.

სულ 1926 წლის იანვრიდან 1 მაისამდე საქართველოში შემოვიდა 245 უცხოელი. უკანასკნელ ხანებში კი ჩამოსულ უცხოელთა რიცხვი განსაკუთრებით გადიდდა ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით.

ტრაქტორისტები

შულავერის დათვალიერება

გუშინ თბილისში დაბრუნდენ ფორდის ტრაქტორისტები, რომლებიც გამგზავრებული იყვნენ შულავერის მებამბეობის რაიონის დასათვალიერებლად.

შულავერში ისინი დარჩნენ ორი დღე. დაათვალიერეს ტრაქტორების რაზმი და ახსნა-განმარტება და ინსტრუქციები მისცეს ჩვენს ტრაქტორისტებს, რომლებიც იქ მუშაობენ.

ფორდის ტრაქტორისტებმა აღნიშნეს, რომ შულავერში ტრაქტორებს მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა, რადგან ისინი იძულებული არიან იმუშავონ ბუჩქნარიან მიწებზე. საჭიროა მიწების წინასწარი გაწმენდა ბუჩქებისაგან.

საერთოდ მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ერთი ტრაქტორი დღეში ხნავს 2 დესეტინა მიწას, ჩვეულებრივი წესით კი დღეში 6 წყვილი ხარი 5 მომუშავით ხნავს მხოლოდ ნახევარ დესეტინა მიწას.

ერთი დესეტინის მოხვნა ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტს უჯდება 15 მანეთი, ჩვეულებრივი წესით მუშაობის დროს კი უჯდებოდა 30 მანეთი.

ამჟამად ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტი იმუშავებს ფორდის ტრაქტორისტების სხვა რაიონებში მოგზაურობის გეგმას. შემდგომი მოგზაურობა დაიწყება ორშაბათიდან.

საბამბო კომიტეტს განზრახული აქვს თვითეული სატრაქტორო რაზმიდან ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნოს თითო ტრაქტორისტი და მექანიკოსი, რომლებსაც გამოფენაზე ახსნა-განმარტებებს მისცემენ ფორდის ინჟინერ-ტრაქტორისტები.

ხორცით ვაჭრობა

20 მაისს მოხდენილმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ „მიასოტორგ“-ი, წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 13 მაისის განკარგულებისა კერძო ბაზარზე ხორცის ბითუმად გაყიდვის აკრძალვის შესახებ, მაინც განაგრძობს ხორცის ბითუმად გაყიდვას კერძო ვაჭრებზე; ასე, მაგალითად, 18 მაისს „მიასოტორგ“-ის ხორცის სავაჭროდან № 5 კერძო ვაჭარ **პოპოვს** ბითუმად მიყიდეს 13 ფუთი 20 გირ. ხორცი.

რწმუნებულის სამმართველომ გამოკვლევის მასალები განსახილველად გადასცა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს.

კვალიფიციური მუშები

კვალიფიციური მუშა ხელის მოსამზადებლად ამ რამდენიმე თვის წინათ მშენებელთა კავშირმა მოაწყო საამშენებლო სასწავლებელი. სკოლასთან მოწყობილ იქნა შემდეგი საამქროები: სამღებრო, საშტუკატურო, სადურგლო და საკალატოზო.

სასწავლებელში ხელობაში გასავლელად და მოსამზადებლად აყვანილ იქნა 40 ახალგაზრდა ჰასაკით 16—18 წლიანი. საამშენებლო სასწავლებელში სწავლება შესდგება თეორიულ და პრაქტიკული მეცადინეობიდან. მოწაფეები პრაქტიკულად ითვისებენ მას, რაც წინადღით სპეციალური საგნების თეორიიდან შეითვისეს. ამგვარად ამ სასწავლებელში საგნების თეორიული შესწავლა მჭიდროთ არის დაკავშირებული შეძენილ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასთან.

თვითეულ საამქროს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი — გაწვრთნილი კვალიფიციური — ხელოსანი-ოსტატი. ახალგაზრდები დღეში მუშაობენ 6 საათს.

ადგილობრივი თბილისელი შეგირდი თვიურად ღებულობს 15 მანეთ სტიპენდიას, ხოლო მაზრის პროფორგანოებიდან გამოგზავნილნი 25 მანეთს თვეში. მაზრებიდან ჩამოსულთათვის სასწავლებელთან მოწყობილია საერთო პანსიონი.

უკვე დამთავრდა სამოსწავლო წელი და საამშენებლო სასწავლებელიც სავსებით გადავიდა პრაქტიკულ მუშაობაზე: ახალგაზრდა შეგირდების მიერ შესრულებულ იქნა სამუშაოები გლეხთა ცენტრალურ სახლში, განათლების სახალხო კომისარიატში, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში და სხვაგან. ქალების მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიამ ახალგაზრდებს გადასცა სამუშაოები სასურსათო საწყობის შენობაში, სადაც ახალგაზრდები ასრულებენ სადურგლო, სამღებრო და საკალატოზო საქმეებს.

დახმარება კოოპერაციას

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ამიერ-კავკასიის 1925-26 წლის ბიუჯეტით კოოპერაციის გასაძლიერებლად გადადებული თანხიდან—864.000 მან. გამორიცხული იქნეს 18.000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს პურის ცხობის გაუმჯობესების საქმეს ბაქოში.

დანარჩენი თანხა 796.000 მანეთის რაოდენობით განაწილებულია შემდეგნაირად: საშინამრეწველო-სასარწყავო კოოპერაციას ეძლევა—97.908 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას—418.696 მანეთი.

სამომხმარებლო კოოპერაციისათვის გადადებულ თანხიდან, მის განაწილებამდე ცალკე რესპუბლიკებს შორის, ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებას უნდა მიეცეს 12.556 მანეთი და სამხედრო სამომხმარებლო საზ-ბა „ბოეც“-ს—8.382 მანეთი.

კოოპერაციის ცალკე სახეებისათვის მისაცემი თანხა განაწილებულია შემდეგნაირად. საშინამრეწველო-სასარწყავო კოოპერაცია: საქართველოს—39.163 მანეთი, აზერბეიჯანი—39.163 მანეთი და სომხეთი—19.582.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია: საქართველო—167.478 მანეთი, აზერბეიჯანი—167.479 და სომხეთი—83.739 მანეთი.

სამომხმარებლო კოოპერაცია: საქართველო—100.582 მანეთი, აზერბეიჯანი—100.582 და სომხეთი—50.291 მანეთი.

სულ: საქართველო—307.225 მანეთი, აზერბეიჯანი—307.225 და სომხეთი—153.612 მანეთი.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება დაევალა ამიერ-კავკასიის ფინსახკომს.

სულით ავადმყოფები

ამჟამად თბილისის ფსიქიატრიულ ინსტიტუტის საავადმყოფოში მოთავსებულია 105 სულით ავადმყოფი.

ავადმყოფები განაწილებული არიან ცალკე კორპუსებში. ერთ კორპუსში მოთავსებულნი არიან მწვავე ხასიათის ავადმყოფნი, შემდეგ—ისეთები, რომელნიც მორჩებიან და მესამეში—რომელნიც იოლ მკურნალობას საჭიროებენ. ავადმყოფთა შორის 35 ქალია; მათში კი 20 მწვავე ხასიათის ავადმყოფია.

მარტო თბილისის საავადმყოფო ყოველთვიურათ ჰკურნავს 30—40-მდე ავადმყოფს. ხოლო ღებულობს საავადმყოფოში საშუალოთ თვეში 40 ავადმყოფს. ყოველთვიურად შემოდის 150 თხოვნა ახლად დაავადმყოფებულთა მიღების შესახებ. ფსიქიატრიულ ინსტიტუტს ჯერ-ჯერობით არა აქვს საშუალება დააკმაყოფილოს ყველა მთხოვნელები.

ინსტიტუტს გახსნილი აქვს სანიმუშო საავადმყოფო სურამში, სადაც ამჟამად მოთავსებულია 140 ავადმყოფი. სურამის საავადმყოფოში უმთავრესად იგზავნებიან ისეთები, რომელთა მორჩენის და გაჯანსაღების იმედი აღარაა.

თბილისის საავადმყოფოს მღელვარე განყოფილებაში სულ მოთავსებულია 50-მდე ავადმყოფი.

გარდა ამისა არსებობს შერეული ტიპის სულით ავადმყოფთა საავადმყოფო ქუთაისში, სადაც მოწყობილია 50 საწოლი.

ეკონომიური ცხოვრება

ცენტრალური ბანკების ფილიალებისათვის საოლქო კონტორების შექმნის საკითხი

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ წარსულ წელში დასვა ცენტრალურ ბანკების ფილიალებისათვის საოლქო კანტორების შექმნის საკითხი, რის გამო წინასწარ დაეგზავნა შეკითხვები ა.-კ. რესპუბლიკებს, რათა მათ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები ხსენებული საკითხის შესახებ.

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ ეს საკითხი გადასცა დასკვნისათვის საგეგმო კომისიას. საგეგმო კომისიაში მოწვეულ თათბირზე, რომელსაც დაესწრო თბილისში არსებული ბანკების წარმომადგენლები, საგარეო ვაჭრობის და სამრეწველო ბანკების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი განყოფილებებისათვის საოლქო კანტორის შექმნას არ მოითხოვს ბანკების მუშაობის ინტერესები. საოლქო კანტორების დაარსების შესახებ ასეთივე აზრი გამოსთქვა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელმაც. ანალოგიური დასკვნები წარმოადგინეს სახკომსაბჭოში საქართველოს სას.-სამ. ბანკმა და თბილისის კომუნალურმა ბანკმა.

ამის გამო საგეგმო კომისიამ გამოიტანა შემდეგი დასკვნა:

1. საკრედიტო პოლიტიკის მთლიანობა და გეგმიანობა უზრუნველყოფილია არსებული მდგომარეობით, განსაკუთრებით კი საკრედიტო გეგმების შედგენისა და დამტკიცების წესით.

2. უკეთუ ა.-კ. ორგანოები საჭიროდ დაინახავენ საკრედიტო პოლიტიკის მთლიანობის კიდევ უფრო მტკიცედ უზრუნველყოფას, ეს შეიძლება მიღებულ იქნეს ა.-კ. ბანკების თათბირის დაარსებით.

3. საოლქო კანტორების დაარსება მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ამას მოითხოვს ბანკების ოპერატიული მუშაობის ინტერესი. ამ თვალსაზრისით კი საოლქო კანტორების შექმნა მიზანშეუწონელია.

ეკონომიურმა საბჭომ 29 აპრილის სხდომაზე განიხილა ხსენებული საკითხი და სავსებით გაიზიარა საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნა, საოლქო კანტორების შექმნის შესახებ.

თბილისის ბირჟაში

ახალ წესდების დამტკიცება

ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა თბილისის საფონდო-საქონლის ბირჟის ახალი წესდება, რომელიც შეთანხმებულია საკავშირო ცაკის მიერ დამტკიცებულ საბჭოთა კავშირის ბირჟების დებულებასთან.

საბირჟო ყრილობა

საბჭოთა კავშირის ბირჟების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო 25 მაისისათვის გადაიდო გამოურკვეველ დრომდე.

ბირჟის გარეშე გარიგებების შესახებ

ბირჟის გარეშე გარიგებების შესახებ გამოცემულ ახალი კანონის თანახმად, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ყველა ბირჟის გარეშე გარიგებები.

რაიონული რწმუნებულები

თბილისის ბირჟა პროვინციაში ნიშნავს თავის რაიონულ რწმუნებულებს. ქუთაისში უკვე დანიშნულია რწმუნებული.

ძეხვების ქარხანა

კარუსელის ქუჩის ერთ-ერთ კუთხეში თბილისის მუშკოოპერატივს მოწყობილი აქვს ძეხვების ქარხანა. წინად ეს ქარხანა ეკუთვნოდა ცეკავშირს, რომელმაც მუშკოოპს ქარხანა გადასცა 1925 წლის სექტემბერში. ქარხნის მაღალი ტეხნიკური მოწყობილობის გამო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ქარხანაში მუშაობს ორი გაუმჯობესებული მანქანა „კუტტერი“-ს და „კაჰალკი“-ს სისტემის, ქარხნის ნაყოფიერება უკანასკნელ ხანებში დიდათ გაძლიერდა.

ქარხანა კალბასის და ძეხვის ნაწარმოებს აწვდის მუშათა კოოპერატივების ყველა განმანაწილებელ პუნქტებს და საქართველოს კოოპერატიულ დაწესებულებებს. იმ თავითვე, დაარსებიდან—უკანასკნელ დრომდე ქარხანას ჯერ დეფიციტი არ ჰქონია.

ქარხანაში სულ მუშაობს 20 კაცი. აქედან მუდმივი შტატის მუშა—8. დანარჩენი დროებითი, სეზონის მუშები არიან. დღიდან მუშკოოპის ხელში გადასვლისა,—ე. ი. პირველ სექტემბრიდან აპრილის პირველამდე ქარხანამ დაამუშავა 6.200 ფუთი მსხვილ ფეხა საქონლის ხორცი და 4.800 ფუთი ღორის ხორცი. ამ ხნის განმავლობაში დამზადებულ იქნა 4.700 ფუთი ძეხვი და 1.500 ფუთი სხვადასხვა ხარისხის ვეჩინა.

ქარხანაში მუშაობა სწარმოებს ერთ რიგათ სრული ტემპით.

ზედმეტი სამუშაოები ქარხანაში არ არის შემოღებული. მუშების საშუალო ხელფასი უდრის 49 მანეთს. გარდა ამისა მუშები იღებენ საწარმოო და სპეც. ულუფას. ყველა მუშები დაზღვეულნი არიან. 6 აპრილს მოწყობილ იქნა სასადილო; სასადილოს მოუწყობლობა ძალიან მოქმედებდა შრომის ნაყოფიერებაზე, რადგან სასადილოთ სხვაგან წასვლა მუშებს ბევრს დროს ართმევდა. მუშაობის დროს ადმინისტრაციასა და მუშებ შორის სრული კონტაქტი არსებობს. შრომის დაცვის და სანიტ-ჰიგიენური პირობები ქარხანაში დამაკმაყოფილებელია.

პატარა ფელეტონი

სამხრეთ სლავიის პრემიერ უზუნოვიჩის მოლაპარაკება რადიჩთან კომპრომისით დამთავრდა.

ხმებია, რომ სტეფანე რადიჩს მისცემენ შესაძლებლობას ისევ დაუბრუნდეს ხელისუფლებას, რის გამო იგი ვალდებულებას იძლევა რომ ორი თვის განმავლობაში არ მოაწყობს არავითარ საზოგადო კრებებს და თავს შეიკავებს ყოველგვარ საზოგადო განცხადებისაგან.

(დეპეშებიდან)

ბებია ჩემი შვიდ დღეს არ სჭამდა,
რომ შესულიყო სასუფეველში
და მეშვიდე დღეს ნამარხვ-ნათმენი
ძლივს ზიარებას ივლებდა ყელში.
არ ვიცი, კითხვა სასუფეველზე
შემდეგ ვით დარჩა გადაწყვეტილი;
მხოლოთ ბებია, ნამშიერევი,
ვიდოდა გულ და წელ-დაწყვეტილი...
და წლიდან წლობით სულ გრძელდებოდა
მისი ასეთი გაიცადენი,
სანამ ბოლოს მთლად არ გარდიცვალა
და ჩვენც არ დაგვსვა ცრემლ-დანადენი...
თუმც შვიდეულის თმენა და მარხვა,
ეს ადამიანს ასუსტებს უფრო,
მაგრამ ორი თვით, მაინც ძნელია,
შეიკრა კაცმა ყბა სასაუბრო;
და იყვე მუნჯათ მხოლოთ იმისთვის,
რომ მინისტრობას ამით ელოდე
და ასე ზიდო ჯვარი სიმუნჯის
ძალდატანებით ორთვის ბოლომდე;
მით უფრო, როცა ამ ბოლო ხანში
დასჩემდათ ქვეყნებს საერთო სენად;
მთავრობის კრიზისს მოსდევს კრიზისი
და ცვივა ის ძირს ფენად და ფენად!..
მაშ, გარანტიად რა რჩება რადიჩს,
რომ მთავრობაში იგი მოხვდება,
და ამ ორ თვეში ან იმ მთავრობას,
ან თვით მას სული არ ამოხდება?!
ბებიაჩემის თმენა შვიდი დღის,
მერწმუნეთ, იყო უფრო რეალი,
რადგან მას, მოხუცს, ასაზრდოებდა
სულ სხვა სიბრიყვე და იდეალი...
მაგრამ სტეფანე რადიჩი ხვედრით
სჯობდეს ბებიას, ამას ვერ ვიტყვი,
რადგან მის უღელს ქვეყნად დაათრევს
განურჩეველად ყველა პირუტყვი!..

ონისიმე.

◆

მელიორაცია

იმერეთის სარწყავი არხები

ამ ჟამად მიმდინარეობს მუშაობა ქუთაისის და შორაპნის მაზრის სარწყავი არხების ხელოვნურ ნაგებობათა სარემონტოდ და არხების კალაპოტების გასაწმენდათ.

ამ ჟამად ზემო და ქვემო იმერეთში მოქმედობს სულ 17 არხი, რომელნიც სათესს მოედანს გასულ წელთან შედრებით 20%-ით ადიდებენ. გასულ წელს არხებით მორწყული სათესი მიწის მოედანი უდრიდა 8.400 დესეტინას.

სარწყავი არხები ახალციხის მაზრაში

უკვე დამთავრდა ხებაშის და წიონრების სარწყავი არხების (ახალციხის მაზრა) მდგომარეობის გამოკვლევა. ამ ჟამად მიმდინარეობს არხების ხელოვნურ ნაგებობათა შეკეთება და კალაპოტების გაწმენდა.

სარწყავი არხების გაყვანა სამხრეთ ოსეთში.

სამხრეთ-ოსეთის მიწათ-მოქმედების კომისარიატმა შეადგინა სამელიორაციო მუშაობის გეგმა. გეგმის მიხედვით, განზრახულია გაყვანილ იქნეს წუნარის სარწყავი არხი და აგრეთვე აღდგენილი და გაფართოებულ იქნეს ქეხვის სარწყავი არხი. გეგმით გათვალისწინებულ სამელიორაციო სამუშაოების შესრულებას სამხრეთ-ოსეთის მიწათ-მოქმედების სახ. კომ. გამოანგარიშებით სჭირდება დაახლოებით 385.000 მანეთი. შედგენილი პროექტის მიხედვით წუნარის არხის სათავე იქნება სოფელ კეხვში და მორწყავს დაახლოებით 10 ათასს დესეტინა მიწას. კეხვის არხის სათავეც იწყება ამავე სოფელში, ხოლო ნაწილი თავდება სოფელ ქვემო ხვითში. არხს აქვს 15 ვერსი სიგრძე და მორწყავს იმ სოფლებს, რომლის მოსახლეობა მისდევს მებაღეობას და მეხილეობას.

პროექტათ განზრახულია ამ არხის გაფართოება, რაც საგრძნობლად გაადიდებს სასარგებლო მიწებით საერთო სივრცეს.

◆

ქალაქის კეთილმოწყობა

მუშაობა 26 კომუნარის სახელობის ბაღში

უკვე თვეზე მეტია, რაც მიმდინარეობს მუშაობა 26 კომუნარის სახელობის ბაღის (ყოფილ ალექსანდრას) შესაკეთებლად და კეთილ მოსაწყობად. სამუშაოების სამი მეოთხედი უკვე დასრულებულია. მუშაობა სწრაფად მიმდინარეობს. მოსალოდნელია მთელი სამუშაოების ერთი კვირის განმავლობაში დამთავრება.

ქუჩების მოკირწვლა

ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება ამჟამად ქალაქის სხვადასხვა უბნებში ანახლებს ქუჩების მოკირწვლას. ამჟამად ქვაფენილის აგება რუსთაველის პროსპექტის ზედა ნაწილი ოპერის თეატრის ზევით.

კანალიზაცია

ამჟამად ქალაქის განაპირა უბნებში მიმდინარეობს მუშაობა კანალიზაციის ქსელის გასაფართოებლად. წელს გაზრახულია საკანალიზაციო ქსელის 4 კილომეტრით გაფართოება.

ქალაქის გაწმენდა

ქალაქად მთავარი ქუჩები გაწმენდილ იქნა უკანასკნელი ნიაღვრების მიერ მოტანილი სილა შლამისაგან. ამ მოკლე ხანში გასუფთავებულ იქნება ქალაქის მაღლობი ადგილების ქუჩები.

წყალსადენი

ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილების სამაზრო სექცია შეუდგა წყალსადენის გაყვანას სოფელ წყნეთში. იგივე სექცია ამჟამად აწარმოებს თიანეთის გზატკეცილის შეკეთებას; ამ საქმისავის აღმასკომს გადადებული აქვს 12 ათასი მანეთის კრედიტი.

ფუნიკულიორის წყალთსაცავის აუზის შეკეთება

წყალსადენის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელს საფუძვლიანად შეაკეთოს ფუნიკულიორის ზედა სადგურის წყალთსაცავი აუზი. ამ საქმისათვის წყალსადენის განყოფილებას გადადებული აქვს 4.000 მანეთი.

◆

ნავთსადგურებში

ბათომის და ფოთის ნავთსადგურებს აქვთ თავისი სახელოსნოები, რომელთა მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ბათომის ნავთსადგურის სახელოსნო მოთავსებულია ნავთსადგურის ძველს ეზოში სრულიად მოუწყობელ შენობაში. სახელოსნოს იარაღები და მოწყობილობა მეტად უვარგისია. სამჭედლოში მუშაობს მხოლოდ ორი ქურა და რამდენიმე გრდემლი. მექანიკურ სამქროში არის მხოლოდ რამოდენიმე ძველი დაზგა—სახარატო, საზეინკლო, სადურგლო დაზგები და სხვა. ოდესღაც ეს სახელოსნოები კარგათ იყვნენ მოწყობილნი და კარგი იარაღებითაც იყვნენ აღჭურვილნი. 1920 წელს ინგლისელებმა სახელოსნოებიდან გაიტაცეს საუკეთესო დაზგები და, სახელოსნოები დარჩნენ უვარგისი იარაღების ამარა.

წინად სახელოსნოებში მუშაობდა 250—30 კაცი, ახლა ამჟამად კი მუშაობს მხოლოდ 40 მუშა.

სახელოსნოებს აქვთ ნავების სამქრო, სადაც ნავები კეთდება. აპრილის დამლევისათვის სამქრომ დაამზადა კასპიის ზღვის ვემთა სამმართველოს მიერ შეკვეთილი 28 ნავი. სახელოსნომ დაამზადა აგრეთვე ორი დიდი ნავი თბილისისათვის მტკვარზე სამუშაოდ.

ბათომის ნავთსადგურის სახელოსნოები აწარმოებენ უმთავრესად დიდ ნავების და პატარა გემების შეკეთებას. ამ რამოდენიმე კვირის წინად სახელოსნოებმა დაამთავრეს პატარა გემი „წითელი ბათომი“, მოტორიანი ნავის „ჰოროხის“ და ორი მცურავი ონკანის კაპიტალური შეკეთება.

ხანდახან სახელოსნოებს უხდებათ ბათომში გასულ უცხოეთის გემების შეკეთების შესრულება, ფოთში სახელოსნოები მოწყობილ იქნა 1924 წელს, ამჟამად ფოთის სახელოსნოებში მუშაობს 180 კაცი. ბათომთან შედარებით ფოთის სახელოსნოები უფრო უკეთ არის მოწყობილი. მომავალი წლისათვის განზრახულია სახელოსნოების უკეთ მოწყობა და გაფართოება.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღება

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამიერ-კავკასიის მომხმარებელ კოოპერატივთა კავშირმა უცხოეთის და შინაურ ბაზრებზე გაასაღა 1.200 ათას მანეთის სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რომელიც დამზადებულ იქნა მომხმარებელ კოოპერაციის სისტემაში შემავალ ორგანიზაციების მიერ. გასაღებათა პროდუქტებში რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს თხილსა და ნიგოზს, რომელიც დამზადებულ იქნა 120 ათასი ფუთი ანუ 650 ათასი მანეთისა. მეორე ადგილი უჭირავს აბრეშუმის პარკს, რომელიც დამზადებულ იქნა აზერბეიჯანსა და აფხაზეთში. აბრეშუმის პარკი დამზადებულ იქნა სულ 5.300 ფუთი. საზღვარ-გარეთ გატანილ იქნა 2 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი და 6 ათასი ფუთი თხილი, რომელიც დიდ წაგებებით გასაღებულ იქნა საფრანგეთის ბაზარზე.

ამ ჟამად მიმდინარეობს მატყლის დამზადება საქციო საზ. „შერსტ“-თან დადებულ ხელშეკრულების შესასრულებლად. სულ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირებმა საზოგადოება „შერსტ“-ს უნდა ჩააბაროს 32.500 ფუთი მატყლი. კოოპ. კავშირის გამგეობის ცნობით, მიუხედავად ფასების გვიან გამოცხადებისა და მრავალ ორგანიზაციების კონკურენციისა, დამზადება წარმატებით მიმდინარეობს და გამგეობას სრული იმედი აქვს, რომ იგი შესძლებს ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულების შესრულებას.

აფხაზეთის კოოპერატ. კავშირი ამ ჟამად „ზაკსოიუზის“-ათვის აწარმოებს 25 ათასი ფუთი ხმელი თამბაქოს დამზადებას, რომელიც სავსებით უცხოეთში იქნება გატანილი. 15 მაისისათვის აფხაზეთში უკვე დამზადებული იყო 10 ათასი ფუთი. თამბაქოს ოპერაციებისათვის თანხებს იძლევა მოსკოვის სახალხო ბანკი. მიმდინარე სეზონში ა.-კ. კოოპერატივთა კავშირს განზრახვა აქვს დაამზადოს ათი ათასი ფუთი ხმელი პარკი. ამ ათი ათას ფუთისაგან აზერბეიჯანში დამზადებულ იქნება 3 ათასი, ხოლო 7 ათასი აფხაზეთში. პარკი გატანილ იქნება უცხოეთის ბაზარზე.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში

კრედიტი ღარიბ გლეხობას

საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ საკავშირო რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებს შორის განაწილა ფონდი ღარიბ გლეხებისათვის სესხის სახით დასარიგებლათ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს ერგო 520 ათასი მანეთი.

ვის მიეცემა სესხი

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა განმარტება დაუგზავნა საკრედიტო ამხანაგობებს იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიეცეს სესხი.

პირველ რიგში გლეხობას სესხი უნდა მიეცეს მიწის კოლექტიურ დამუშავებისათვის. სესხის გაცემის დროს საკრედიტო ამხანაგობებმა მხედველობაში უნდა მიიღონ სესხის მთხოვნელის კეთილსინდისიერება, საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელები დარწმუნებული უნდა იყონ, რომ სესხი ნამდვილად მეურნეობას მოხმარდება.

ქრონიკა

სამკურნალო დაწესებულებათა შეკეთება

ამ ორიოდე დღის წინად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შესდგა თათბირი, რომელმაც განიხილა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებების შეკეთების საკითხი.

როგორც გამოირკვა, ჯანმრთელობის კომისარიატის ქვემდებარე სამკურნალო დაწესებულებების უმრავლესობა საგრძნობლათ არის დაზიანებული და საჭიროებს საფუძვლიან შეკეთებას.

თათბირმა დაადგინა დაუყოვნებლივ იქნას შედგენილი შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვა, სადაც მტკიცედ იქნება გათვალისწინებული სამკურნალო დაწესებულებების შეკეთების ხარჯები.

შეკეთებას შეუდგებიან ამ დღეებში.

პირველად შეკეთდება რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო.

თბ. ალმასკომში

— **წყალსადენის მუშაობა.** თბ. წყალსადენმა აპრილის განმავლობაში ქალაქს მიაწოდა 29.357.496 ვედრო წყალი.

— **სასაკლაოზე.** გასულ თვეში ქალაქის სასაკლაოზე დაიკლა 10.765 [illegible] საქონელი.

— **ფუნიკულიორის** ქვედა სართულიან ბა[illegible]ის გასაშენებლად ალმასკომმა გადასდო [illegible].000 მ.

— **ალმასკომის** აგურის ქარხნებში მიმდინარე თვეში დაამზადებენ 1.850 ათას ცალ აგურს.

საკურორტო კამპანია

— **მთავარმა საკურორტო** სამმართველომ აღძრა საკითხი კურორტებზე გასაგზავნ დაზღვეულთათვის რკინისგზის ბილეთების რიგ გარეშე დათმობის შესახებ.

— **საკურორტო გამრჩევ** კომისიაში განცხადების მიღება დღეიდან შეწყდა.

— **დასასვენებელ სახლებში** მუშა-მოსამსახურეები გაიგზავნებიან 1 ივნისიდან.

— **სანატორიუმების** დასასვენებელ სახლების შეკეთება-გასუფთავება დამთავრდა ყველა აგარაკებზე.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 20 მაისს, დღისით, ახალ ბებუთოვის ქუჩაზე გ. ჟორდანიამ უცაბედათ დაჭრა კარლო ებრალიძე. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ჯიბგირობა.** 20 მაისს, ალმასკომის შენობაში არტემ კილოსანიძეს ამოაცალეს 80 მანეთი.

— **შეპყრობა.** 20 მაისს, შეიპყრეს პეტრე კოვერკიანი, რომელმაც გაქურდა სამხედრო საწყობი.

— **ქვემოწალკაში** შეიპყრეს ნიტ. კუროვანოვი და საბა ფახიროვი, რომლებმაც გაძარცვეს თ. ნოვრადოვი.

— **მაისს,** გაქურდეს ტრამვაის საწყობი. ზარალი გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 20 მაისს, არქივის ქუჩაზე გაქურდეს ბაისამ მამედოვის ბინა.

ხელოვნების ქრონიკა

— **შიო არაგვისპირელი.** გამომცემლობა „ქართული წიგნი“ ამ დღეებში შეუდგება შიო არაგვისპირელის „გაზზარულის გულის“ გამოცემას.

— **კონსერვატორიის დარბაზში** ხვალ გაიმართება ი. გრიშაშვილის ლექცია ძველ თბილისის ლიტერატურული ბოჰემის შესახებ.

— **პლასტიკის საღამო.** კვირას, მაისის 23 პატარა თეატრში გაიმართება ოსლოვსკისა და სტეფანოვის პლასტიკის სტუდიის საღამო.

— **„მოლიპულ გზაზე“.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ან. ერისთავის რომანი „მოლიპულ გზაზე“.

—**საბავშვო ოპერა.** კვირას 30 მაისს წითელ თეატრში (ყ. სახალხო სახლი) დადგმული იქნება ქართულ ენაზე ორი საბავშვო ოპერა: „პირველი მაისი“, „ყვავილთა შორის“ მუსიკა შ. თაქთაქიშვილის, დირიჟორი შ. თაქთაქიშვილი, გუნდის ხელმძღვანელი ვანო გოკიელი, რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი. მთელი შემოსავალი გადაიდება საბავშვო თეატრის ფონდის გასაძლიერებლად.

◆

შრომის მუზეუმი

შრომის კომისარიატი შეუდგა დარბაზების მოწყობას შრომის მუზეუმისათვის. ამჟამად მუზეუმი მოთავსებულია პატარა ბინაზე ევანგულოვის ქუჩაზე. ახალი დარბაზები კი მოთავსებულია სახკომისარიატების შენობაში.

ახალ ბინაზე გადმოტანილ მუზეუმში მოეწყობა შემდეგი განყოფილებები: 1. შრომის ფიზიოლოგიის, 2. პროფესიონალური ჰიგიენის, 3. ფაბრიკა-ქარხნების ვენტილიაციის, 4. ტრავმატიზმების (უბედური შემთხვევები) შემსწავლელი განყოფილება, 5. სოციალური დაზღვევის, 6. ქალთა შრომის დაცვის, 8. სანიმუშო სპეცტანისამოსების და სხვა განყოფილებები.

მუზეუმისათვის შეძენილია დიდძალი ექსპონატები, წარმოებების სხვადასხვა დარგების შესახებ. ამჟამად ამზადებენ ჭიათურის და ტყიბულის მაღაროების მოდელებს.

გარდა ამისა მუზეუმთან გაიხსნება ფოტოგრაფიული ლაბორატორია, სამხაზველო ბიურო, თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა და სამულიაჟო სახელოსნო და სხვა.

მნახველებისათვის მუზეუმი გაიხსნება ივნისის შუა რიცხვებიდან.

◆

ავიაცია

გადაფრენა მოსკოვი—ანგორა, მოსკოვი—თეირანი

ამიერ-კავკასიის ავიაქიმმა მიიღო ცენტრიდან ცნობა, რომ ივნისის განმავლობაში მოხდა საზღვარ-გარეთის გადაფრენაში მონაწილე აეროპლანების გადაფრენა აღმოსავლეთისაკენ და ამ დროისათვის მზად უნდა იყოს ყველა აეროდრომები.

აღმოსავლეთისაკენ გადაფრინდება ორი აეროპლანი. პირველი— მფრინავ **მეჟრაუპის** ხელმძღვანელობით გამოფრინდება მოსკოვიდან, გაივლის ხარკოვში ყირიმში, გადასჭრის შავ ზღვას, ჩავა ანგორაში. შემდეგ სამსუნში, ტრაპიზონში, იქიდან მოფრინდება ბათომში, გამოივლის თბილისში, საიდანაც გადაფრინდება სად. „მინერალნაია ვოდი“ და როსტოვით და ლიპეცკით დაბრუნდება მოსკოვში.

მეორე აეროპლანი მფრინავ **მოისეევის** ხელმძღვანელობით გამოფრინდება მოსკოვიდან და ხარკოვით, როსტოვით და მინერალური—წყლებით ჩავა ბაქოში, იქიდან გადაფრინდება თეირანში და უკან მოსკოვში დაბრუნდება იმავე მარშრუტით.

როგორც პირველი, ისე მეორე მარშრუტში აღნიშნულ ადგილებში აეროპლანები დაეშვებიან საწვავ მასალის მისაღებათ.

ა.-კ. ავიაქიმი ამის გამო ამყარებს მეტეოროლოგიურ კავშირს ბაქოსთან.

ბათომში და ევლახში მოეწყობა ბაზა ფრენოსნობისათვის საჭირო ხელსაწყოებით და მასალებით.

გლეხთა სასახლეში

გლეხთა სასახლეში ჩამოსულ გლეხებს შორის კულტურული მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს.

სახლის გამგეობა ყოველდღე აწყობს ლექცია-მოხსენებებს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების შესახებ. შემუშავებულია წინასწარი გეგმა, თუ როდის რა მოხსენება ან რა ხასიათის გართობა უნდა მოეწყოს გლეხებში.

19 მაისს გაიმართა მოხს. სატყ. მეურნეობაზე. შემდეგ წაიკითხეს მოხსენება მონადირეობის შესახებ, ბოლოს [illegible]ილ კავსაძის გუნდმა შეასრულა რამ[illegible]ამე გლეხური სიმღერა. საღამოს აუარებელი ჩამოსული გლეხები დაესწრნენ.

20-ში აგრეთვე გაიმართა მოხსენ. მესაქონლეობაზე. მოხსენება გააკეთა მიწათ.-მოქმ. სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა **ციმაკურიძემ.** მოხსენება გასაგები ენით იყო წაკითხული და გლეხებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

გუშინწინ მოეწყო რადიო-კონცერტის მიღება.

◆

ექსკურსიები

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების საექსკურსიო ბიურომ შეიმუშავა მუშათა და მოსამსახურეთა მიმდინარე საზაფხულო ექსკურსიების გეგმა.

ყოველკვირეულად თბილისიდან მასიური ექსკურსიები გაემგზავრებიან ზაჰესში და მცხეთაში, და აგრეთვე ქართული კულტურის და სიძველეთა ძეგლებით **განთქმულ** ზედაზენის მონასტერში, რომელიც ზაჰესიდან 7 ვერსითაა დაშორებული. ყოველკვირეულად მოეწყობა ექსკურსია თბილისის მახლობელ რაიონებში. პირველი ასეთი ექსკურსია გაემართება სოფ. წყნეთისაკენ, რომელიც თბილისიდან 7 ვერსითაა დაშორებული. ასეთ ექსკურსიებს მიზნად ექნება დასახული თბილისის პროლეტარიატსა და გლეხობის შორის კავშირის განმტკიცება.

მოწყობილი იქნება აგრეთვე ექსკურსიები საქართველოს მეღვინეობისა და მევენახეობის რაიონებში. ამ ექსკურსიების დროს დათვალიერებულ იქნება მიწადმოქმედების მსხვილი მამულები წინანდალში და მუხროვანში.

ივნისში შესდგება ორკვირეული ექსკურსია მოსკოვში.

სასამართლო

„კაზინო“ და სალარო

1924 წ. ივნისში ბრალდებული **ივანე ლომინაძე** დანიშნულ იქნა სიღნაღის მაზრის აფთიაქის გამგეთ. წამლებიდან შემოსული ფული მას უნდა შეეტანა სალაროში, მაგრამ ის ძალიან „გულმავიწყი“ კაცი იყო და ხშირად ერთმანეთში ურევდა სალაროს და „კაზინოს“ დანიშნულებას. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ივანეს სალაროში შესატანი ფული „კაზინოში“ შეჰქონდა და იქ აბარებდა.

დაახლოებით გასული წლის შუა სექტემბერში ივანეს კარს მიადგა რევიზია. რევიზორებმა გასინჯეს ყველა საბუთები, შეადარეს ერთმანეთს და ნახეს, რომ სალაროს აკლდა—4.903 მანეთი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ლომინაძეს „კაზინოში“ ჩაებარებია. ამის გამო ლომინაძე აღიჭურვა სათანადო უფლებებით საბრალმდებლო სკამზე დასაჯდომათ.

28 მაისს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა მისი საქმე.

ქ.

6.000 გაფლანგვა

წინასწარი გამოძიება **ნიკოლოზ მალანიას** საქმეზე დასრულდა. საქმე გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

მალანიას ბრალად ედება 6.000 მანეთამდე საკავშირო თანხების მითვისება და გაფლანგვა ს. მ. უ. საბჭოს პოლიგრაფ-ტრესტის I სტამბის გამგეთ ყოფნის დროს.

მეცნიერება და ტეხნიკა

რა არის პოლიუსი?

ჩრდილოეთ პოლიუსს აქვს მთელი რიგი თვისებები, რომლებიც გამომდინარეობენ იქიდან, რომ ის არის საბოლოო წერტილი იმ (წარმოდგენითი) ღერძის, რომლის გარშემო ბრუნავს ჩვენი დედამიწა. ჩრდილოეთ პოლიუსის ერთი შესანიშნავი თავისებურობათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არასოდეს არ რჩება ერთსა და იმავე ადგილას, არამედ იცვლის თავის მდებარეობას დედამიწის ზედაპირზე. ეს ცვლა არ არის თანაბარი. იმ პერიოდში, როცა ცნობილი მკვლევარი **პირი** 1909 წ. პოლიუსის ახლო იყო, ჩრდილოეთ პოლიუსის ეს გადანაცვლება განსაკუთრებით სწრაფად ხდებოდა—წამში, დაახლოვებით, 15 სანტიმეტრს უდრიდა, რაც სხვადასხვა ობსერვატორიების დაკვირვებებით იქნა შემოწმებული.

ეკვატორთან დედამიწა წამში 465 მეტრის სისწრაფით ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, შუა ევროპაში კი, დაახლოვებით, 300 მეტრის სისწრაფით. პოლიუსზე, პირიქით, ეს მოძრაობა ძლიერ შენელებულია. ბრუნვის დიდი სისწრაფის გამო ეკვატორთან დედამიწის ბურთი ძლიერ ამოზნექილია, პოლიუსებთან კი—მოპტყოა. ისე რომ ეკვატორზე ზღვის ზედაპირი დედამიწის ცენტრისაგან 6.377 კილომეტრით არის დაშორებული.

ვინაიდან მიმზიდველობის ძალა მით უფრო მძლავრია, რამდენადაც ახლო იმყოფება საგანი დედამიწის ცენტრთან, ამიტომ მიმზიდველობის ძალა პოლიუსზე გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა რომელიმე ადგილას. სხეული, რომელიც ეკვატორზე ერთ კილოგრამს (2½ გირვ.) იწონის, პოლიუსზე 5 გრამით (1/40 გირვანქით) მეტს აიწონის. ამიტომ, ყოველგვარი ფიზიკური შრომა, რომლის დროსაც საჭირო ხდება დედამიწის მიმზიდველობის ძალის დაძლევა, მაგ., სიმძიმის აწევა, მთაზე ასვლა. სიარული კი, პოლიუსზე მეტი ფიზიკური ენერგიის დახარჯვას მოითხოვს, ვიდრე ეკვატორზე.

მიმზიდველობის ძალის ეს ზრდა თავს იჩენს აგრეთვე სხეულების ვარდნის სისწრაფის გადიდებაშიც. ეკვატორზე სხეული თავისუფალი ვარდნის დროს ეცემა 489 სანტიმეტრის სისწრაფით წამში, პოლიუსთან კი—492 მეტრის სისწრაფით. საათიც უფრო სწრაფად მუშაობს პოლიუსზე. კედლის საათი, რომელიც 1 დარტყმას იძლევა წამში, პოლიუსზე 224-ით მეტ დაკვრას მოგვცემს დღეში და ყოველდღე წინ წავა 4 წუთით.

სრულიად თავისებური ხასიათი აქვთ ასტრონომიულ დაკვირვებებსაც პოლიუსზე. იქ მზე არ ამოდის ყოველდღე დილით და არ ჩადის საღამოთი, როგორც ჩვენ ვართ შეჩვეული, არამედ, როცა 20 მარტს ამოვა, რჩება ჰორიზონტზე და 24 საათის განმავლობაში უვლის პოლიუსს, თანდათანობით მაღლა მიიწევს და 21 ივნისს ზენიტშია (უმაღლესი წერტილი ცის თაღზე), შემდეგ ნელნელა ეშვება, 23 ენკენისთვეს კი სრულიად ქრება ჰორიზონტიდან.

ის გარემოება, რომ მზე ზაფხულის განმავლობაში ასე დიდხანს არის ჰორიზონტზე, გავლენას უნდა ახდენდეს მეტეოროლოგიურ მოვლენებზეც. პოლიუსზე ადგილი ვერ ექნება ტემპერატურის იმ ცვალებადობას, რომელსაც შეჩვეული ვართ ჩვენ—დღისით სითბოს და ღამით სიცივეს. შეგვიძლია დაუშვათ, რომ მეტეოროლოგიურ ცვლილებებს, რომლებსაც ჩვენში დღე-ღამის განმავლობაში ვამჩნევთ, პოლიუსზე ერთი წლის ხანგრძლივობა აქვს. ასეთ პირობებში მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს პოლიუსზე უდიდესი ინტერესი ეძლევა.

პოლიუსის შესანიშნავი თავისებურობა კიდევ იმაშია, რომ **იქ არ არსებობს დრო** ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. თუ სრულ 12 საათზე გრინვიჩის ობსერვატორიის დროით ჩვენ პოლიუსზე დავდგებით, პირს გრინვიჩის მერიდიანისაკენ ვიზამთ და ერთ ნაბიჯს წინ გადავდგამთ, იქნება დღის თორმეტი საათი; საკმაოა ნაბიჯი მარჯვნივ გადავდგათ—იქნება უკვე დილის 6 საათი; ნაბიჯს მარცხნივ გადავდგამთ—იქნება საღამოს 6 საათი; ერთი ნაბიჯი უკან—იქნება შუაღამე.

ეს იმით აიხსნება, რომ ყველა მერიდიანები, რომელთა მიხედვით სწარმოებს დროს გამოანგარიშება დედამიწაზე, თავს იყრიან პოლიუსში, ისე რომ თეორეტიულად იქ თავმოყრილია დღის ყველა საათები. დროს შესახებ, ისე, როგორც ჩვენ ეს გვესმის, პოლიუსზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. დროს გამოანგარიშება იქ შეიძლება მხოლოდ დედამიწის რომელიმე სხვა პუნქტის ნორმის, მაგალითად, გრინვიჩის მიხედვით.

იმავე მიზეზის მეორე შედეგია ქვეყნის მხარეების გაქრობა—პოლიუსზე არ არსებობს ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი, არის მხოლოდ სამხრეთი. და ქარი პოლიუსთან ჰქრის მხოლოდ სამხრეთისაკენ, ან სამხრეთიდან.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩრდილოეთ პოლიუსს აქვს მეტად საინტერესო თვისებები, რომლებიც დიდათ ანსხვავებენ მას დედამიწის სხვა პუნქტებისაგან. და ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მთელი რიგი გაბედული მკვლევარებისა, თავდადებულად, მრავალ რიცხოვან საფრთხეების დაურიდებლად, ცდილობენ მიაღწიონ ამ პირობითი წერტილს, რეალურად არ არსებულს, წერტილს, რომელიც იცვლის თავის ადგილმდებარეობას, — მიაღწიოს ჩრდილოეთ პოლიუსს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია დამიბრუნოს ძველი სამსახური?

კითხვა.

საქართველოს გასაბჭოების პირველ დღიდანვე, ე. ი. 1921 წლიდან ვიდრე 1923 წლამდე, ვმსახურობდი უბნის მილიციის სამმართველოს საქმის მწარმოებლად. 1923 წლიდან კი გადმომიყვანეს ერთ-ერთ სამაზრო პარტიულ კომიტეტში საინფორმაციო სასტატისტიკო ქვეგანყოფილების გამგედ, სადაც ვიმსახურე 1925 წლის მარტის დამლევამდე. აღნიშნული რიცხვიდან ავად გავხდი, სვანეთის მენშევიკური ავანტიურის წინაამდეგ ბრძოლის დროს ნატკენი ფეხის ქვედა სახსრის გასივების გამო. სრული წელიწადია ვექიმობ და ჯამაგირს დახმარების სახით მაძლევდა დამზღვევი სალარო ამა წლ. 1-ლ აპრილამდე. 1-ლ აპრილიდან კი, თანახმად ექსპერტთა კომისიის შემოწმებისა, დამზღვევ სალარომ მომისპო დახმარების მოცემა, რადგანაც ექსპერტიზამ მიცნო სამსახურისათვის გამოსადეგად. ჩემს ადგილზე ამ ერთი წლის ჩემი ავადმყოფობის განმავლობაში ოთხი კაცია გამოცვლილი. უკანასკნელად ჩემს თანამდებობაზე მხოლოდ 6 თვეა, რაც კაცი დაინიშნა. ვარ განათლ. კავშირის წევრი, წიგნაკიც მაქვს. გთხოვთ განმარტებას: კანონიერი იქნება თუ არა მოვითხოვო ჩემი წინანდელი სამსახურის დაბრუნება. უარყოფით შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია თუ არა მე, როგორც უსახსრო და დაჩაგრული კაცი, რიგის გარეშე დამიშვას სხვა რომელიმე დაწესებულებაში სამუშაოდ?

ია. ეკელი.

პასუხი.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის პუნქტი „ზ“-ის, ადმინისტრაციას აქვს უფლება დაითხოვოს სამსახურიდან მუშა-მოსამსახურე დროებით შრომის უნარის დაკარგვის გამო (ე. ი. ავადმყოფობის გამო) მხოლოდ მაშინ, თუ კი მისი ავადმყოფობა გაგრძელდა ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. აღნიშნულ შემთხვევებში ყოფ. შრომის უნარმოკლებულს, რომელიც ამის გამო კიდეც მოხსნილ იქნა სამსახურიდან, ადმინისტრაცია სრულებით არ არის ვალდებული დაუბრუნოს ძველი სამუშაო, ან და საერთო რიგის გარეშე დაშვებული იქნეს რაიმე სხვა სამუშაოზე. ასეთი დაშვება დამოკიდებულია მხოლოდ ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელის ნებაყოფლობაზე და სრულიად სავალდებულო ხასიათს არ ატარებს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 23

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატისა

„უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოჩენის მიზნით შრომის ბირჟათა მიერ მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშევრებზე ან წამოწყებებსა და კოლექტივებში ჩაბმულ უმუშევართა სოციალური დაზღვევის შესახებ“.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებული იქნეს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე სამოქმედოთ ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომ. არსებულ სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს დადგენილება № 91/908—1926 წლ. 1 აპრ. „უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოჩენის მიზნით შრომის ბირჟათა კომიტეტების მიერ მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშაოებზე ან და წამოწყებებსა და კოლექტივებში ჩაბმულ უმუშევართა სოციალური დაზღვევის შესახებ“.

ა.-კ. შრომის სახ. კომისრის და ა.-კ. შრომის სახკომის სოცდაზღვევის მთავარ სამმარ. უფრ. მაგიერ **გოდაბრელიძე.**

ა.-კ. შრომის სახ. კომ. სოცდაზღვევის მთავარ სამმართვ. მდივანი **მარტინოვი.**

დადგენილება № 91/908

ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომისარიატთან არსებულ სოციალური დაზღვევის უმაღლეს საბჭოსი

„უმუშევართათვის შრომითი დახმარების აღმოჩენის მიზნით შრომის ბირჟათა მიერ მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშევრებზე ან წამოწყებებსა და კოლექტივებში ჩაბმულ უმუშევართა სოციალური დაზღვევის შესახებ“.

„შრომის ბირჟათა კომიტეტების მიერ მოწყობილ უმუშევართა საწარმოებსა და შრომითი კოლექტივებზე საგადასახადო და სოცდაზღვევის დარგში შეღავათების გაცემის შესახებ („ს. ს. რ. კ. კანონთა კრებული“ 1926 წლ., № I, მუხლი 4) ს. ს. რ. კ. ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ 1926 წლის იანვრის 8-ს თარიღით გამოცემულ დადგენილების განსავითარებლად, ს. ს. რ. კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულმა სოცდაზღვევის საკავშირო საბჭომ **დაადგინა:**

1. წამოწყებები და დაწესებულებები, რომლებიც ატარებენ შრომის ბირჟათა კომიტეტების მიერ შრ. სახ. კომ. ან სხვა სახელმწიფო ორგანოსაგან გაღებულ საშუალებებით მოწყობილ საზოგადოებრივ სამუშაოებს და აგრეთვე უმუშევართათვის შრომითი დახმარების გაწევის მიზნით შრომის ბირჟათა კომიტეტების მიერ მოწყობილ უმუშევართა წამოწყებები და კოლექტივები თავისუფლდებიან (პირველნი საზოგადოებრივი სამუშევარის გატარების პერიოდის განმავლობაში, ხოლო მეორენი მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა ისინი შრომის ბირჟის კომიტეტის გამგებლობაში იმყოფებიან) სოცდაზღვევის აანარიცხების შეტანისაგან ყველა იმ უმუშევრებზე, რომელნიც ჩაბმულნი არიან მათთვის შრომითი დახმარების გაწევის მიზნით მოწყობილ მუშაობაში.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა უმუშევართა კოლექტივი თავის თანამშრომლებს დაქირავების წესით აგზავნის სამუშაოდ, მაშინ დამქირავებელმა საერთო საფუძვლის მიხედვით უნდა გადაიხადოს მათთვის სოცდაზღვევის გადასახადი.

2. 1-ლ მუხლში ნაჩვენებ წამოწყებებში და კოლექტივებში მომუშავე უმუშევრები დაზღვეულებთან თანაბრად სარგებლობენ დაზღვევის უზრუნველყოფით.

3. საზოგადო სამუშაოებში მოქცეულ უმუშევრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ უფლება დაზღვეულებთან თანაბრად სოცდაზღვევის უზრუნველყოფაზე, თუ კი საზოგადო სამუშაოზე გაგზავნამდე ჰქონდათ მათ უფლება უმუშევრობის გამო დახმარების მიღებაზე.

4. საზოგადოებრივ სამუშაოებზე ან უმუშევართა წამოწყებებში და კოლექტივებში ჩაბმულ უმუშევრებზე შრომის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევაში გასაცემ დახმარებათა რაოდენობის განსაზღვრის დროს საფუძვლად მიიღება საშუალო დღიური ხელფასი უმუშევრისა საზოვადო სამუშაოებზე ან წამოწყებაში, ანუ კოლექტივში შრომის უნარის დაკარგვის წინა ორ თვეში, ხოლო უკეთუ უმუშევარს აღნიშნულ ვადაზე ნაკლებ ხანს უმუშავნია წამოწყებაში ან კოლექტივში, მაშინ საფუძვლად დახმარების რაოდენობის გამოანგარიშების დროს მიღებული უნდა იქნეს უმუშევარის შრომის ხელფასი იმ დროის განმავლობაში, როცა ის ფაქტიურად მუშაობდა საზოგადო სამუშაოზე ან წამოწყებებში, ანუ კოლექტივში.

5. უმუშევართა კოლექტივებში ან წამოწყებებში მოქცეულ უმუშევართათვის ინვალიდობის გამო პენსიის რაოდენობის გამოანგარიშების დროს, საფუძვლად მიღებული უნდა იქნეს მათი საშუალო თვიური ხელფასი წამოწყებაში და კოლექტივში, სამი თვის განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა წამოწყებაში ან კოლექტივში მუშაობის დატოვებას, ხოლო უკეთუ უმუშევრის მუშაობა კოლექტივში ან წამოწყებაში სამ თვეზე ნაკლებ ხანს გრძელდებოდა, მაშინ დახმარების გამოანგარიშების დროს საფუძვლად მიღებული უნდა იქნას მისი ხელფასი წამოწყებაში ან კოლექტივში ფაქტიური მუშაობის განმავლობაში და უკანასკნელი ადგილის ხელფასი, რომელზედაც ის მუშაობდა წამოწყებაში ან კოლექტივში გადასვლის წინ, საერთოდ 3 თვის.

6. საზოგადო სამუშევრებზე მყოფ უმუშევართათვის ინვალიდობის პენსიის რაოდენობის გამოანგარიშების დროს (მუხ. 3) საფუძვლად მიღებული უნდა იქნეს საშუალო ფაქტიური ხელფასი 3 უკანასკნელი თვისა იმ უკანასკნელ სამუშაოს ადგილზე, რომელზედაც ის მუშაობდა უმუშევრობის დაწყების წინ.

7. საზოგადო სამუშაოებზე და უმუშევართა კოლექტივებში და წამოწყებებში მუშაობის დრო უმუშევრებს ეთვლებათ დაქირავებით მუშაობის სტაჟში, რომელიც საჭიროა პენსიის ან უმუშევრობის გამო დახმარების უფლების მისაღებად.

შენიშვნა: საზოგადო სამუშაოებზე ყოფნის დამადასტურებელ საბუთად იხმარება ცნობა, რომელსაც შრომის ბირჟათა კომიტეტებთან არსებული საზ. სამუშ. კომისიები აძლევენ უმუშევრებს.

8. ამ დადგენილების გამოცემით უქმდება:

ა) შრომის სახ. კომ. ცირკულიარი № 190/42—1923 წლ. 15 მაისის „საზოგადო სამუშევრებში მოქცეულ უმუშევართა სოციალური დაზღვევის შესახებ“ („შრომის სახ. კომ. უწყების“ 1923 წლ. № 19 დამატება).

ბ) მუხ. 9 ს. ს. რ. კ. შრომსახკომის 1923 წლ. 26/10 № 127/27 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებისა იმ შრომ. კოლექტივ. შესახებ, რომელთაც შრომის ბირჟები აწყობენ აღრიცხვაზე მყოფ უმუშევრებისაგან (ს. ს. რ. კ. „შრომის სახ. კომ. უწყებები“ 1923 წლ., № 9/38).

გ) ს. ს. რ. კ. შრომ. სახ. კომ. განმარტება № 27/144/655—1925 წლ. 23/10 „შრომის ბირჟათა კომიტეტების მიერ მოწყობილ კოლექტივებში ყოფნის დროს დაქირავებით მუშაობის სტაჟში ჩარიცხვის შესახებ“ (ს. ს. რ. კ. „შრომის სახ. კომ. უწყებები“ 1923 წლ. № 43—44, და „საზოგადო სამუშაოების გატარების წესის შესახებ“ ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომ. № 153/119—1925 წლ. 18/5 ინსტრუქციის მესამე მუხლიდან (ს. ს. რ. კ. „შრომ. სახ. კომ. უწყებები“ 1925 წლ. № 25, გამოკლებული უნდა იქნეს შემდეგი სიტყვები: „და სარგებლობენ დაზღვეულების ყველა უფლებებით დაზღვევის ყველა სახის მიხედვით“.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის 1926 წლის 1-ლ აპრილიდან.

სოცდაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე—**ნემჩენკო.**

პ/მგ. მდივნის მაგიერ **ფანიგელიდი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მეორე რაიკომი** აცხადებს, რომ დღეს, 22 მაისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება ქალთა ორგანიზატორების და ქალთა კომისიის თათბირი მეორე რაიონის ახალგაზრდა ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

დასწრება დაუგვიანებლად ყველასათვის სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **მესამე რაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემოხსენებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 22 მაისს, დღის 2 საათზე რაიკომის აღმრიცხავ - განმანაწილებელ განყოფილებაში:

1) იაგორ ივანეს ძე იასნოვი, 2) აკაკი კონსტანტინეს ძე ცინცაძე, 3) მნაცაკან პოლოსის ძე პარტიზმანიანი.

მატარებლების მიმოსვლა

გადის თბილისიდან ადგილობრივი დროით

მატარ.			ს.	წ.
№ 1	ლენინგრადში კვირაობით	დილის	9	—
„ 1	მოსკოვში ოთხშაბათობით და შაბათობით	დილ.	9	—
„ 3	როსტოვში	დილის	11	—
„ 5	ბაქოში	საღამოს	8	45
„ 13	ბაქოში	ღამის	12	55
„ 4	ბათომში	შუაღამის	12	30
„ 6.	ბათომში	დილის	11	30
„ 14	ბათომში	საღამოს	7	5
„ 10	ფოთში	საღამოს	9	40
„ 3	ჯულფაში	შუადღის	12	—
„ 14	ნახიჩევანში	ნაშუადღ.	5	—
„ 3	თელავში	ღამის	10	—
„ 13	თელავში	დილის	9	30
„ 16	ბორჯომში	დილის	7	5
„ 18	ბორჯომში	ნაშუად.	3	—
„ 20	ბორჯომში	ნაშუად.	3	45
„ 24	გორში უქმე და უქმეების წინადღეებში	ნაშუადღევის	2	5

მოდის თბილისში ადგილობრივი დროით

მატარ.			ს.	წ.
№ 2	ლენინგრადიდან [illegible]	ღამის	10	15
„ 2	მოსკოვიდან ორშაბათობით და ხუთშაბათობით	ღამის	10	15
„ 4	როსტოვიდან	საღამოს	6	30
„ 6	ბაქოდან	დილის	10	30
„ 14	ბაქოდან	დილის	8	—
„ 3	ბათომიდან	დილის	6	40
„ 5	ბათომიდან	საღამოს	7	45
„ 13	ბათომიდან	ნაშუად.	2	50
„ 9	ფოთიდან	დილის	9	35
„ 4	ჯულფიდან	დილის	7	—
„ 12	ნახიჩევანიდან	შუადღ.	12	15
„ 4	თელავიდან	საღამოს	5	25
„ 14	თელავიდან	დილის	6	35
„ 15	ბორჯომიდან	ღამის	11	15
„ 17	ბორჯომიდან	დილის	5	10
„ 19	ბორჯომიდან	დილის	7	50
„ 25	გორიდან უქმე და უქმეების წინა დღეებში	ღამის	10	20

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ნადეჟდა გრიგოლის ასული მინდიაშვილისა, დედა ოლღა ფილიპეს ასული მინდიაშვილისა, ძმები პავლე და პეტრე ვასილის ძენი მინდიაშვილები, და მარია ვასილის ასული, სიძე კონსტანტინე მიხეილის ძე გაბაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 19 მაისს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

არჩილ ვასილის ძე მინდიაშვილი

გამოსვენება მოხდება კვირას, 23 მაისს, შუადღის 12 საათზე კობის ქუჩა № 19, კუკიის სასაფლაოზე.

1—1 № 2556

ვლადიმერ მანუჩარის ძე ქოჩაქიძე მეუღლით—ნინა კონსტანტინეს ასულით, შვილებით ქალიშვილით თათუშათი თავის ქმრით ექიმი მიხეილ იაშვილით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ნიკო ტარიელის ძე ქოჩაქიძე

გამოსვენება 23 ამ თვეს, კვირას, 12 სათთზე, ლერმონტოვის ქუჩა № 15.

2546

ცოლის და ოლღა გიორგის ასული კოლიევა და შვილი დავითი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხვალ, კვირას, ა | წ. 23 მაისს

ლევან ანტონის ძე ფურცელაძის

დაკრძალვის ორმოცი დღის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე დღის 12 საათზე გარდაცვალებულის საფლავზე.

2548

მეუღლე გრიგოლ იასეს ძე, შვილებით—ვახტანგ, იასე, ნინო და ქეთინო გოგიბედაშვილები; დედა ეკატერინე ყიფიანისა, დები—ეფემია ბეროზაშვილისა და ანასტასია სულაბერიძისა, ძმა ირაკლი ყიფიანი; მულები—თამარა ფარესაშვილისა, ბარბარე კობახიძისა, მატრონა და მარიამ გოგიბედაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ საყვარელი და დაუვიწყარი

თამარა ლუარსაბის ასული გოგიბედაშვილის

გარდაცვალებიდან წლის თავის გამო, კვირას, 23 მაისს დღის 12 საათზე ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

2547

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები, მიხეილ გიორგის ძე და სონა ალექსანდრეს ასული კაკაბაძენი, რძალი თამარ, ძმები: შალიკო, ალიოშა, კაკო, მიშა და ძმისშვილი რეზიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი

ელენე მიხეილის ასული კაკაბაძის

უდროოთ გარდაცვალებას დასაფლავება მოხდება სოფ. კუხში

ქვ. 2549

ა | კ. რკ. გზ. მე-2-რე სამხედრო შეიარაღებული რაზმის უფროსი და მსროლელთა შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე რაზმის თანამშრომელი ნიკოლოზ (ნიკა) აბაზაძის ძვირფას მეუღლის

ბარბალე (ფაცია) მარჯანის ასული აბაზაძის

უდროვოდ დაკარგვას. გამოსვენება კვირას 23 ამა მაისს ნაშუადღევის 2 საათზე. 1-ლი თუმანოვის ქუჩა № 19. დაკრძალვა—წმინდა ნინოს სასაფლაოზე ქალ. თბილისში.

2554

„დინა ძაძუ“-ს
ჩვენების მეორე კვირა
აპოლლო
არფასტო
სოლეი
უკანასკნელი დღე
„ს[illegible]როსკიპოს შვილი“
სეზონის საუკეთესო კომედია
„ხრახნილი მეორე მანქანიდან“
„დინა ძაძუ“-ს
ჩვენების მეორე კვირა
ჩქარა არფასტოში და სოლეიში საუკეთესო სურათი
„ჯავშნოსანი პოტიომკინი“
0—12 ნ. 1265

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20
50—3

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.
25—1

შერეული საჯარო ვაჭრობა

არმიისათვის შეშის დასამზადებლად

[illegible] 27 საოპერაციო წელში, რომელიც გამოცხადებული იყო გაზეთში ამა წლის 6 მაისს,

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებათა მსურველობის გამო

არ შესდგა

და

გადადებულია

ა. წ. 25 მაისის დილის 11 საათისათვის

შესდგება

კავკასიის წითელი არმიის მომარაგების სამმართველოს საბინაო-სამშენებლო განყოფილების შენობაში (ჯორჯიაშვილის ქუჩა № 10).

კავკასიის წითელი არმიის მომარაგების სამმართველოს უფროსის მაგიერ ფრეიგანგი.

ნს. 1327

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა

— სამმართველო —

ამით აცხადებს, რომ 1926 წელს 26 მაისს დღის 12 საათზე გზის და ნაშენების განყოფილების შენობაში (კლარა ცეტკინის ქუჩა) № 73 დანიშნულია შერეული

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც იჯარით გაიცემა შემდეგი სამუშაო: თვითმდინარე ტენობის კოლექტორის მოწყობა ქალაქ განჯიდან სადგურამდი.

ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა განცხადებების შემოტანა დახურულ კონვერტებში, შეიძლება აგრეთვე ფასების და პირობების შეტყობინება სიტყვიერად და დეპეშითაც.

ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვითარი იმის შესახებ, რომ გზების სამმართველოს სალაროში შეტანილია გირაოს განცხადებული ფასის 5 პროცენტის რაოდენობით.

სამუშაოს დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ა/კ. რკინის გზების გზის და ნაშენების განყოფილებაში

ნ. 1328

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მამულების ტრესტი

1926 წ. 30 მაისისათვის ნიშნავს

შეჯიბრებას,

რომლითაც

იჯარით გაიცემა

თივის აცელვა და შენახვა

ყარაიაზის, დავით—გარეჯის და კაჰრეთის ველებში.

შეიძლება გაცემულ იქნეს, როგორც ცალკე სამუშაოები—თივის აკრეფა და გადამუშავება, ისე ყველა სამუშაოები ერთად და მათი ცალკე რაიონები.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ ა. წ. 30 მაისის დღის 2 საათამდე შემოაქვთ სახალხო მამულების ტრესტის სამმართველოში განცხადებები ან პირადათ, ან დახურულ პაკეტებში, განცხადებებში უნდა აღინიშნოს რა სახის სამუშაო და რომელი სათიბის უბანი სურს აიღოს განმცხადებელს.

შეჯიბრებაში მონაწილენი ვალდებული არიან წარმოადგინონ გირაო ნაღდი ფულით ან სხვა უზრუნველმყოფელ დოკუმენტებით; გირაო უნდა შეადგენდეს განცხადებულ სამუშაოს ღირებულების 10 პროცენტს.

შეჯიბრება მოხდება სახალხო მამულების ტრესტის შენობაში.

ნ. 1321 3—2

საბჭოთა სავაჭრო ფლოტი
(СОВТОРГФЛОТ)
აცხადებს, რომ 23 მაისიდან შემოღებულ იქნება
გემების მიმოსვლის ახალი ცხრილი:
ბათომიდან გავა:
კვირას—საღამოს 10 ს. 45 წ.
სამშაბათს—საღ. 10 ს. 45 წ.
ხუთშაბათს—საღ. 10 ს. 45 წ.
ხუთშაბათს—საბარგო-სამგზავრო დილის 2 საათზე.
სოხუმში
ბათომში მოვა:
კვირას—დილ. 4 ს. 50 წუთ.
სამშაბათს—დილ. 5 ს. 40 წ.
ხუთშაბათს—დილ. 5 ს. 40 წ.
ოთხშაბათს—საბარგო-სამგზავრო დილ. 3 ს.
გემების ბილეთები იყიდება—რუსთაველის პრ. № 12.
ის პირები, რომელნიც ბილეთს შეიძენენ სააგენტოში, სარკინიგზო ბილეთებს რიგს გარეშე იღებენ ა.-კ. რკინისგზის ქალაქის სადგურში. ნ. 1326

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 25 მაისს 1926 წ. დღის 12 საათზე, სახლი № 34 სურფ-სარქისის ქუჩაზე მე-5 სამილიციო უბანში, საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის აიბას-გაჯი-გუსეინ-ოღლი ბაგიროვის სახლებს სტალინგრადის სახელმწიფო ქარხანა „კრასნაია-ზასტავას“ ვალის დასაკმაყოფილებლად, აღმ. საქართველოს ოლქის სასამართლოსგან 8 იანვრის და 8 აპრილის ა. წ. თარიღით №№ 54, 730, 731, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლების ძალით; ეს სახლები არის ქვითკირისა, დახურული თუნუქით, შესდგება ათი საცხოვრებელი ოთახიდან, სამი სამზარეულოთი და აგებულია ქალაქის მიწაზე, ზომით 145 ოთკუთ საჟ. ამ სახლს აქვს ხის აივნები. აწერილი სახლები შეფასებულია 5000 მან. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს თბილისის ალმასკომის კომუნალურ განყოფილების და ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების ცნობები იმის შესახებ, რომ არც მას არც მის მეუღლეს და არც მის არა სრულწლოვან შვილებს ქ. თბილისში არავითარი უძრავი ქონება არ მოეპოვებათ და უნდა მისცეს ხელწერილი მასში, რომ ამ პირებს არა აქვთ სახლები სხვა ადგილას.

2555

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსი
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. [illegible]ოს ქ. № 17, ზემო სართული
ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთოდ ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. მჭედლაძის ქ. (ყოფ. საპიორის) № 32
25—

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან 25—18

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები.
დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.
25—6

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ., ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82
25—1 ქვ. 2356

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 12—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობ.)
ავადმყოფების მიღება დილის 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე
ელბაქიძის დაღმართი № 15.

ექიმი ა. ს. ფო[illegible]ტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდისკახლობლად ყოფ. ბო-მ[illegible]ი).
გარდა საქესო [illegible]ფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, [illegible]ლის, სქესობრივი სისუსტე, [illegible]) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას
დილის 8—10 ს. საღ. 4—7 ს-დე. (ყოფ. [illegible]ოლღის) ლენინის ქ. № 3
25—115

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი
ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დ 8-მდე.
35—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოს 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3.
2215 31—

ექიმი ა. დ. [illegible]ქელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11 საღ. 6—8
პლეხანოვის პროსპექტი № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
2537 25—1

დაკარგა პირადობის მოწმობა დიმიტრი პელიძის სახელზე, ჩ. გ.

2552

დაკარგა რკინის გზის ლიტერა მოცემული სოც. უზრ. სახ. კომისარიატიდან (თბილისიდან ქუთაისამდე) ბიქტორ გრიგოლაშვილის სახელზე, ჩ. გ.

2549

დაკარგა მატრიკული გაცემული თბილისის უნივერსიტეტის მიერ სიმონ ხოშტარიას სახელზე ჩ. გ.

2553

დაკარგა პირადობის მოწმობა ჩემი და ჩემის ცოლის № 3740—7818, კავშირის წიგნაკი № 13089, და კოოპერატივის წიგნაკი № 29112 დიმიტრი სირბილაძის სახელზე, ჩ. გ.

2551

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 6